

702
13291



ქართული ენციკლოპედია 1 1989



საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის
საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND
CULTURAL MONUMENTS

საბჭოთაო საბავშვო გამომცემლობა „საბავშვო საქართველო“
თბილისი, 1989



საქართველო
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

სვანეთი. სლავი დაზარალებულია საქართველოს ზელოვნების ძეგლია უიქსაციის
სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში.

ქეკელის ქეტიანი

1 (1989)

ქართული მთხრობის ძეგლები

გამომდის 1984 წლიდან

საკრებელი ძეგლები: ირაკლი აბაშიძე, ანდრია აბაშიძე, გივი ბარათაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გულუგუძე (პ/მე მდივანი), პარმენ ზაქარაია, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მატარაძე, გივი პაპალაშვილი, ალექსი არმაზიძე, თენგიზ შაყაძე, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ცინცაშვილი

რედაქტორი — გივი ბარათაშვილი

Редактор серии — ИРАКЛИИ ЦИЦИШВИЛИ

Редактор — ГИВИ БАРАТАШВИЛИ

ზიო გორდაძე, ვალიკო გუჯაბიძე — ჭეჭაბის ისტორიისათვის	5
ვალიკო გუჯაბიძე — ჭეჭაბის ტაძარი	12
ზიორგი ვილაშვილი — ყორიანის ეკლესიები	24
ანზორ ძალდაძე — შოთა დასახლების უნიკალური ტიპი ხევსურეთში	30
პაატა გაბრინდაშვილი — გორახამარები და ლოდოვანები ქაჯახეთის ოქროყანაში ვარძიხთან	34
მერაბ ძნელაძე, ნინო ხაბუაძე — აღრეელის ისტორიის ხანის ახლად აღმოჩენილი ძეგ- ლი ქვემო ქართლიდან	42
თეზარ თოდუა, ზვიად კვიციანი — დასავლეთ საქართველოს გვიანტიკური ხანის ქანდაკების ნიმუშები	45
ლარი ჯიბლაძე, ირაბა მუსიხვალიშვილი — მეტალურგიული წარმოების ნაშთები გალის რაიონის სოფელ ფიჩორიდან	53
ნინო შანუაშვილი, გორდარძი ნარიშკანიშვილი — ბიკელის ქუჩის კულტონი დაკავში- რებული ერთი რიტუალის სემანტიკა	56
სინანა პაატაძე — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები (ქართულწარწერაში ქაშები)	63
პეტრეიძე შვილიძე — სოფელ მათხოის სიძველენი	74
ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე	74-79

СО ДЕРЖАНИЕ

Г. ГОРДАДЗЕ, Г. ГУДЖАБИДЗЕ — К истории Худжаби	5
Г. ГУДЖАБИДЗЕ — Храм Худжаби	12
Г. ЧИЛАШВИЛИ — Церковь С. Корнани	24
А. КАЛДАНИ — Уникальный тип горского поселения	30
П. ГАПРИНДАШВИЛИ — Курганные захоронения и Мегалиты в Джавахет- ском Окрокане около Вардзия	34
М. ДЗНЕЛАДЗЕ, Н. ХУБУЛУРИ — Новооткрытый памятник Эллинистической эпохи из Квемо Карტი (Абулмугский Некрополь)	42
Т. ТОДУА, З. КВИЦИАНИ — Образцы скульптуры позднеантичной эпо- хи Западной Грузии	48
Л. ДЖИБЛАДЗЕ, И. МУХИГУЛАШВИЛИ — Остатки металлургического про- изводства в селе Пичора Гальского района	53
Н. ШАНШАШВИЛИ, Г. НАРИМАНИШВИЛИ — Семантика одного погребаль- ного ритуала	56
Ц. КАКАБАДЗЕ — Фонды государственного музея, миски с грузинскими надписями	63
А. ПАЙЛОДЗЕ — Село Матходжи и расположенные в нем памятники культуры	68
Аннотации на русском и английском языках	74—79

Handwritten notes and stamps at the bottom left of the page.



კუჯაბის ისტორიისათვის

ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს მდ. ფოლადაურის ხეობაში, მთა ლელვარის ძირას, ამჟამად ახქერფის სახელით ცნობილი უძველესი ქართული სოფლის მახლობლად, რომელიც ადმინისტრაციულად მარნეულის რაიონში შედის.

ჰუჯაბის შესახებ წარსულიდან მწირი ცნობებია მოღწეული.

ვახტანგ მეექვსის ბრძანებით 1721 წელს შედგენილ სტატისტიკურ აღწერილობაში როგორც სამეფო (სადედოფლო) საკუთრება მოხსენიებულია ორი სოფელი: „ხუჯაბი“ და „ზემო ხუჯაბი“.¹

ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, რომელმაც 1742 წელს დაიწყო და 1745 წელს დაასრულა თავისი ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ფოლადაურის ხეობაში „...არს მონასტერი ჰუჯაბისა გუმბათიანი, კეთილადგისა, და აწ ცალიერ არს“.² სოფლების ვახუშტისეულ სიაში კი გვხვდება სოფელი სახელით „უჯაბი“.

ვახტანგ მეექვსის დასტურლამალში (განწესებათა წიგნში) ქვემო ქართლის სხვა პუნქტებს შორის დასახელებულია „ხუჯაბის ქორის ბუდე“, რომელიც დაბეგრული იყო საქორე ვადასახადით.³

იოანე ბატონიშვილის მიერ 1794—99 წლებში შედგენილ „ქართლ-კახეთის აღწერა“-ში ნათქვამია: „ბოლნისის ხეობას რაც სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო სოფლები მიეწერებოდა, არიან ესენი: წულრულაშენი (2), ბოლნისები (3), დარბაზი, სახუნდარი (2),..., სამწვერისი, ბერდიკი, ლურჯი ვანკი, ..., უჯაბი,...“⁴.

დ. ბაქრაძეს 1875 წელს გამოცემულ წიგნში „Кавказ в древних памятниках христианства“ შეტანილი აქვს ეს ძველი როგორც „Уд-жабский монастырь“ და წყაროდ ვახუშტის გეოგრაფიას ასახელებს.

ეკვთ. თაყაიშვილს 1894 წლის ზაფხულში უნახავს ჰუჯაბი და აღუწერია. მის არქივში ინახება უბის წიგნაკი, რომლის პირველ ფურცელს თაყაიშვილის ხელით აწერია: „გუჯაბი, წერაქვი, ლორე“. ამ წიგნაკის ფურცლებზე ნომრით 33-37 მოცემულია ჰუჯაბის მთავარი ტაძრის საველე აღწერილობა.⁵

თაყაიშვილის უბის წიგნაკში შეტანილია კიდევ ცნობა მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით მდგარი ორი მცირე, აღრინდელი ეკლესიის შესახებ. ერთი მათგანი, რომელიც შუაში მდებარეობს, ამ საუკუნის დასაწყისში ჰუჯაბის მონასტერში თავშეფარებულ რუს მონაზვნებს დედა ინოკენტიას წინამძღვრობით რამდენადმე კეთილმოუწყვიათ ღვთისმსახურების ჩასატარებლად. 1910 წელს შემდგარა ამ საყდრის კურთხევა წმ. ნინოს სახელზე. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ვ. პიგარიოვის ინფორმაცია ჰუჯაბის მონასტრისა და მასში მოქმედი რუს მონაზონთა „ივერთა უდაბნოს“ შესახებ.

1936 წლის ზაფხულში ბოლნისის ექსპედიციიდან ჰუჯაბის მონასტრის ეწვიენენ გ. ჩუბინაშვილი, ირ. სონღულაშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ც. გაბა-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

19.330

შელი, ივ. გილგენდორფი და სხვ. ამას მოჰყვა ჰუჯაბის შესახებ ცნობები
ლ. მუსხელიშვილისა და ც. გაბაშვილის შრომებში.

ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავს: „ტაძარი ჰუჯაბისა, მშვენიერი ჩუქურთ-
მებით შემკული, მრავალ ანალოგიას გვიჩვენებს წულრულაშენთან...“, შემდეგ
იგი მიუთითებს, რომ არაბულიდან „ხუჯაბი“... ქართულად შეიძლება ვთარგმ-
ნოთ როგორც „ეჭიბნი“... არის ქართული გვარიც — „ხუჯაბიძენი“, თან დას-
ძენს, რომ „ხუჯაბის“ არაბული ეტიმოლოგიისათვის განმარტება, ..., ხუჯაბი-
ძეთა გვარის არსებობაც“ მას აცნობა ივანე ჯავახიშვილმა. თავის მხრივ
მუსხელიშვილს აგონდება ფიტარეთის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებუ-
ბული „ამირეჯიბი ქავთარ ქუჯაფაძესე („ქჯფაძესე“) და შემდეგ ძველი ქარ-
თული სახელი „ქუჯი“...“

ც. გაბაშვილი აღწერს ჰუჯაბის მთავარი ტაძრის სამხრეთ შესასვლელს
ფოტოსურათისა და სქემის თანდართვით (პორტალის ფოტო შებრუნებით
არის დაბეჭდილი)⁸.

1959 წელს გამოიცა თ. ბარანველის მიერ შედგენილი ცნობარი „საქ-
სსრ კულტურის ძეგლები“ გ. ჩუბინაშვილის წინასიტყვაობითა და ვ. ცინცა-
ძის რედაქციით. მასში მითითებულია: „მარნეულის რაიონი... აბქერაფი. მიდა-
მოები:

ხუჯაბი, სამონასტრო კომპლექსი — 1. ეკლ. გუმბათიანი, XIII საუკ.;
2. ეკლესია, აღრ. შუა საუკ.;
3. სატრაპეზო, განვით. შუა საუკ.;
4. გალავანი, განვით. შუა საუკ.;
5. სხვა ნაგებობანი განვით. შუა საუკ.

შემდგომ პერიოდში დღემდე ჰუჯაბი რამოდენიმე მკვლევარმა მონი-
ხელა. მათ შორის აღსანიშნავია ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპე-
დიციები 1956—58 წლებში, რომელთა შედეგები 1960—64 წ. წ. გამოქ-
ვეყნდა⁹

უმნიშვნელოვანესი სამუშაო ჩაატარა არქიტექტორმა აკ. შავერდაშვილ-
მა, რომელმაც 1978—79 წლებში რამოდენიმე თვე დაჰყო ჰუჯაბში: შეისწავ-
ლა, აღწერა და აზომა იგი. მის მიერ მოპოვებული მასალა განსაკუთრებით ფა-
სიუელია, რადგან ამჟამად ძეგლზე მუშაობა გაძნელებულია ცნობილი მიზეზე-
ბის გამო. შავერდაშვილმა თავისი კვლევის შედეგების საფუძველზე ლ. ხიმ-
შიაშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული სადიპლომო ნაშრომის სახით
შეადგინა ჰუჯაბის მთავარი ტაძრის აღდგენა-გამაგრების პროექტი, რომელ-
მაც მაღალი შეფასება დაიმსახურა სპეციალისტების მხრიდან. 1979 წლის
ზაფხულში შავერდაშვილმა სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ჯგუფი ჩა-
იყვანა ჰუჯაბის მონასტერში რესტავრაციისთვის ძეგლის მოსამზადებლად.
სტუდენტებმა გულდასმით გაწმინდეს მონასტრის მაღალი და ხშირი ბალა-
ხით გადაბურული ეზო, ტაძრის პერანგისა და მორთულობის ჩამოცვენილი
ქვები შეაგროვეს... მათ მიერ ჩატარებულმა სამუშაომ გააადვილა ძეგლის
შემდგომი შესწავლა, ქვედა ნაწილი ფასადებისა გამოჩნდა და აღრე შეფუჩ-
ნეველი ზოგიერთი ხუროთმოძღვრული დეტალი გამოჩვენდა. სამუშაო-
როდ, იმ წლებში ჰუჯაბის მთავარი ტაძრის გამაგრება არ დაწყებულა, ძეგლ-
თა დაცვის საქართველოს მთავარი სამმართველო, თვით, ბ-ნი ირ. ციციშვი-

ლი (როგორც მან ბრძანა იმ ხანებში უნივერსიტეტში გამართული მისი სა-
ქარო ლექციის შემდეგ მიცემული შეკითხვის პასუხად) საჭიროდ მიიჩნევდა
ჰუჯაბის რესტავრაციისას სომხეთის ანალოგიურ სამსახურთან თანამშრომლო-
ბას.

ჰუჯაბის მონასტერში პირველად 1978 წელს გახლდით. იმ დროიდან
მოყოლებული მის შესახებ ჩემთვის ცნობილი ინფორმაციის შევსებას ვაბ-
დენდი კოლეგებთან ერთად 1978—83 წლებში ძეგლის ადგილზე შესწავლით,
ჩვენს მიერვე გადაღებული დიდძალი ფოტომასალის ანალიზით, არქივებში
მუშაობით. როგორც მოსალოდნელი იყო, ეკვთ. თაყაიშვილის არქივში
დაცულ ერთერთ უბის წიგნაკში კიდევ მიკვლეულ იქნა ჰუჯაბის მონასტრის
მოკლე აღწერა (რუსულ ენაზე).⁵

ამ აღწერაში გამოყენებულია სახელდებანი: „გუჯაბი“, „Гуджаб“ და
იქვე „Худжабис-ихали“. შეიძლება გვეფიქრა, რომ „ჰუჯაბი“ თაყაიშვილმა
რუსულად ჩასწერა „Гуджаб“-ის ფორმით, მაგრამ უბის წიგნაკის პირველ
ფურცელზე მისივე ხელით არის ქართულად დაწერილი „გუჯაბი“ (ქართული
ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად „გუჯაბის“ ერთი მნიშვნელობა
არის ჭილაგი, ჭიში, მოღვმა).

შეიძლება აღნიშვნა იმისაც, რომ გელათის 1259-93 წლების სიგელში
ნათქვამია: „...მამული ჩემი მყოფი პატრონთაგან ბოძებული... ხახულისა
ლთისმშობლისათვის შემეწირა და აწცა, ვითა მომიხსენებია, განლაშე ჰაგ-
რევე მას ჰმსახურებდეს: ..., სამნი პარტახტი, რომელთაგან გამოსავალნია:
გუჯაბაური, დერუტული, ქორაული, ჭისლაური...“¹⁰.

„გუჯაბაური“ მოხსენიებულია მე-18 საუკ. საბუთშიც, რომელიც კოდის
პურის ნუსხას წარმოადგენს.¹¹

1915 წლის სტატისტიკური აღწერილობით 217 ქართველი მოსახლე იყო
სოფელ გუჯაბაურში¹².

1982 წელს წერილობითი შეკითხვით მიემართე ბატონ აკაკი შანიძეს: —
ტოპონიმი „ჰუჯაბი“, რომელიც ზოგჯერ გვხვდება ფორმით „უჯაბი“, ხომ
არ არის წარმოქმნილი ზმნიდან „ჯაბნა“: ჯაბ-ნა-ა-ჰ-ჯაბ-ი, ისევე როგორც
ზმნიდან ქმ-ნა-ა მიიღება უ-ქმ-ი? ბ-ნმა აკაკიმ საპასუხო ბარათში ბრძანა: „ჰუ-
ჯაბის ეტიმოლოგია ჩემთვის ნათელი არ არის. ქართულში 3 შეიძლება დაი-
კარგოს (ჰუჯაბი—უჯაბი), ან ხ-დ იქცეს (ჰუჯაბი—ხუჯაბი), მაგრამ გ-დ იგი არ
გადაკეთდება (გ-დ რუსები გადასცემენ ჰ-ს)“.

რასაკვირველია, სარწმუნოა დიდი მეცნიერის აზრი. მაგრამ ცივი გონე-
ბის მიღმა ემოციური დამუხტვით ჭიუტად კრთის მიამიტი ფიქრი, რომ სა-
ხელწოდება „უჯაბი“ წარმოქმნილია ზმნიდან „ჯაბნა“ და მითითებულ ადგილს
შერქმევია მტერთაგან დაუჯაბნელი მკვიდრი ქართული მოსახლეობის (გვა-
რეულობის) საპატივცემულოდ; ხოლო ამ სახელწოდების აგრეთვე ხმარებუ-
ლი ფორმები „ხუჯაბი“ და „ჰუჯაბი“, იქნებ, ნაკვალევია ხანმეტ და ჰემეტ
კილოთა თანაარსებობისა ამ რეგიონში (აკ. შანიძის ვარაუდით, „ხანმეტი კი-
ლო საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იყო, (ასე ვთქვათ, მცხეთა-
ბოლნისის რაიონსა და მიმდგომ მხარეებში), ხოლო ჰემეტი კილო კი მის
დასავლეთით“¹³).

ასევე, შესაძლოა, არც ის იყოს შემთხვევითი, რომ ერთმანეთს წააგავს

„ხუჯაბი“ და არაბული „ხიჯაბი“ (ქართულად: გრძელი მოსასხამი, რომელიც სახლიდან გამოსულ მუსულმან ქალს უფარავს სახესა და სხეულს).
მსგავსება, ვიდრე „ხუჯაბსა“ და არაბულ „ხიჯაბს“ შორის (ქართულად: ხიჯაბი ნი)¹⁴. ეს, ცხადია, სპეციალურ კვლევას მოითხოვს. უნდა დამუშავდეს ჰუჯაბის მთავარი ტიპების შესახებ ჩვენს მიერ შეკრებილი მასალაც.

მანამდე კი ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსის მოვლის საქმე უნდა მოგვარდეს, რაც ახქერფში გასულ საუკუნეში ყარაბაღიდან გადმოსულ სომეხ მოსახლეობასთან¹⁵ მოყვრული (შიდარესპუბლიკური) ურთიერთობის აღდგენას გულისხმობს.

ახქერფში პირველად ჩასულებს კეთილად შეგვხვდა იქაური მასწავლებელი მიხეილ ალკინიანი, რომელმაც ჩვენი თხოვნით ჯერ მიგვასწავლა გზა ჰუჯაბისაკენ, შემდეგ კი თვითონვე შემოგვთავაზა მეგზურობა და, როცა ჩვენმა მანქანამ სოფლის ბოლოს აღმართი ნაწვიმარზე ვერ დასძლია, სხვა ახქერფელის „ვილისით“ აგვიყვანა მონასტრში. წარუშლელი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თუმცა იყო თქორი, ჩამოწოლილი ცა, ბინდმოცული ხეობა, ტაძრის ირგვლივ წელამდე ბალახი... ყოველი ჩასვლისას თან მიგვეყვებოდა ხალიჩიანი მოხუცი — აკოფ ავაქიანი (მცველი, თუ მცველის მოვალეობის ფაქტური შემსრულებელი); იგი ღიმილით იხსენებდა ხოლმე, რომ ჩვენი სტუდენტები მას „დარღმანდიანს“ ეძახდნენ...

ჰუჯაბში ჩასვლა უკმ დღეებში ან დღესასწაულების დროს გვეწევდა. როგორც წესი, ამ დროს ახქერფში ერევნიდან ან მეზობელი სომხური რაიონული ცენტრიდან ავტობუსებით ამოსული იყო გარკვეული საზოგადოება და აქტიურად მონაწილეობდა ახქერფელთა დღესასწაულებსა თუ ხსოვნის დღეებში. ჩვენგან კი მათ ყურადღება აკლიათ. კერძოდ, მარნეულის რაიონის ხელმძღვანელობა თუ რა ზრუნეასაც იჩენს ახქერფის სომეხი მოსახლეობის მიმართ, ძნელი წარმოსადგენი არ არის...

ახქერფი მარნეულის რაიონის უკიდურესი დასახლებული პუნქტია ჩვენი რესპუბლიკის სამხრეთ საზღვართან. ქართული საზოგადოების უყურადღებობამ ამ სოფელთან განლაგებული ჰუჯაბის ქართული სამონასტრო კომპლექსის მიმართ დღევანდელ მდგომარეობამდე მიგვიყვანა: სომხეთის ძეგლთა დაცვის სამმართველო თავის უფლებებს სრულიად უსაფუძვლოდ ავრცელებს ჰუჯაბზე და მის ახქერფელ მცველს ხელფასსაც უხდის. ადრე საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა არც უცხოობდა ამ ამბავს; შეიძლება იმიტომ, რომ ჰუჯაბის კომპლექსი სომხეთის ფარგლებში ეგულებოდა. როგორც სპეციალისტები თვლიან, ჰუჯაბის მონასტერი მდებარეობს საქ. სსრ ტერიტორიაზე. ცნობილი გახდა, რომ სომხეთის ძეგლთა დაცვის სამმართველო შეუდგა ჰუჯაბში სარესტავრაციო სამუშაოების თადარიგს. თუ ეს სამმართველო თავისი გეგმის განხორციელებას დაიწყებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში — ჰუჯაბის მთავარი ტაძარი საგანგებო „პლასტიკური ოპერაციის“ შედეგად იერს შეიცვლის: დამახინჯდება, ან გაქრება, საერთოდ, ბევრი მოწმობა მისი ქართულობისა!

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ საზოგადოებრივი აზრის შესაბამისად უკვე დასახა მეზობელი რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმების



გზით დამაიმედებელი ღონისძიებანი ჰუჯაბის მონასტერში ქართველი სპეციალისტების მიერ რესტავრაციის ჩასატარებლად.

ამასთან, ოცნებაში ღრმად შეტოპვად თუ არ ჩამეთვლება, მინდა აღვნიშნო, რომ საჭიროა:

1. ამოქმედდეს ჰუჯაბის მონასტერი ქართველი რესტავრატორების მიერ აღდგენა-გამაგრების შემდეგ. ამ მიზნით იქ მუდმივად იმყოფებოდეს რამოდენიმე ქართველი სასულიერო პირი, რომ ჰუჯაბის მთავარ ტაძარში მღვდელ-მსახურება ტარდებოდეს მხოლოდ ქართულ ენაზე, „რამეთუ ქართლად ფრიადი ქუეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულიაა ენითა ქ-მი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღსრულების“¹⁵. ახქერფელები ნელ-ნელა მიაჩვენენ ყურს ქართულს და ვინ იცის...

ა) თანამედროვე ქართული მონასტერი მე წარმომიდგენია საკლევეი (მაგ. ხელნაწერთა ან ენათმეცნიერების) ინსტიტუტის მსგავს დაწესებულებად, რომელშიც შეისწავლება, ვთქვამთ, ქართული სასულიერო მწერლობა.

ბ) ერთდროულად შეიძლება ჰუჯაბის მონასტერმა სომხური მოსახლეობის სიახლოვის გამო შეასრულოს თბილისის სახ. უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრის სასწავლო ბაზის ფუნქცია.

გ) ამას გარდა, შეიძლება ჰუჯაბში, როგორც ქართული ზუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლზე, საწარმოო ან სადიპლომო პრაქტიკა გაიაროს თბილისის უნივერსიტეტის, თბილისის სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ან არქიტექტურის ფაკულტეტების სტუდენტებმა.

2. ჰუჯაბის მონასტრის ჩრდილოეთით მიმდებარე ფერდობზე აშენდეს მონასტერში მოღვაწე პირებისა და სტუდენტებისათვის შესაფერისი შენობა ცხოვრებისა და მუშაობის თანამედროვე პირობებით (ისევე, როგორც ბაკურიანის მახლობლად, ცხრაწყაროში, მოქმედებს საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის კოსმიური სხივების ლაბორატორია).

ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა გატარება, ვიმედოვნებ, ხელს შეუწყობს იმას, რომ ჰუჯაბის მონასტერი თავისი შემოგარენით დაუბრუნდეს (ახქერფელებთან ერთად) ქართულ სამყაროს.

¹ მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა ნე-18 საუენენში, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1907, გვ 244—247.

² ბატონიშვილი ვახუშტი — აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 311.

³ დასტურლამალი მეფესა ვახტანგ მეექვსისა, გამოც პ. უმიკაშვილისა, 1886, გვ. 87.

⁴ იოანე ბაგრატიონი — ქართლ-კახეთის აღწერა, 1986, გვ. 56.

⁵ ექვთ. თაყაიშვილის არქივი, ფონდი № 777, გვ. 33—37.

⁶ Пигарев В. — Худжабский монастырь на Кавказе, «Старые годы», 6, 1913 стр. 54.

⁷ ლ. მუსხელიშვილი — ბოლნისი, ენიმის მოამბე, III, 1939, გვ. 364.

⁸ ე. გაბაშვილი — პორტალები ქართულ არქიტექტურაში, 1955, გვ. 31.

⁹ საქ. ისტორიული გეოგრაფიის ტრეზული, I, 1960, გვ. 23; II, 1964, გვ. 13.

¹⁰ თ. ფორდანი — ქრონიკები, II, 1897, გვ. 123.

¹¹ ნ. ბერძენიშვილი — მასალები საქ. ეკ. ისტორიიდან, წ. III, 1955, გვ. 135.

¹² Кавказский календарь, 1915, стр. 93.

¹³ ა. შანიძე — ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თსუ, მოამბე, ტ. III, 1923, გვ. 394.

¹⁴ დ. ბერძენიშვილი — ჰუჯაბი, ძეგლის მეგობარი, № 3, გვ. 5, 1988.

¹⁵ გიორგი მერჩულე — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძე. ქართ. ლიტ. კრესტ., I, 1964, გვ. 132.

გუჯაბი



(ექვთ. თაყაიშვილის 1894 წლის აგვისტოს საველე უბის წიგნაკიდან).

ექვთ. თაყაიშვილის პირადი არქივი დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ საარქივო ფონდის აღწერილობაში დასახელებულ 1305-ე ერთეულს წარმოადგენს უბის წიგნაკი ფანქრით ნაწერი 50 ფურცლით.

წიგნაკს ყდაზე ორად გაკეცილი თეთრი ფურცელი აქვს დაუღვევრად შემოწებებული. ამ ფურცლებზე წარწერილია „ნ. ლოლობერიძის ხელით.

გუჯაბი, წერაქვი და
ლორე, ადგილი
გორული
და აღწერილობა ვორნაის
საფლავებისა
1894 წ. „1

აღწერილობაში ეს უბის წიგნაკი სახელდებულია, როგორც „ექვთ. თაყაიშვილის ფონდი № 777“. წიგნაკის ფურცლები (არა გვერდები) გადანომრილია ფანქრით: ციფრი აწერია ქვედა, მარჯვენა კუთხეში. პირველ ფურცელზე წარწერილია თაყაიშვილის ხელით „გუჯაბი, წერაქვი

ლორე“.

ეს წარწერა, ჩანს, გვიანდელია, რადგან მასში პირველი ორი სიტყვა მელნით არის შესრულებული, მესამე კი ფანქრით. შემდგომ გვერდებზე მოცემულია ყდაზე დასახელებული პუნქტების საველე აღწერილობა, შესრულებულია ფანქრით, რუსულ ენაზე.

წიგნაკის ფურცლებზე ნომრით 33—37 წარმოდგენილი ნაწერი, შესრულებული 1894 წლის 12 და 16 აგვისტოს შორის, ეხება გუჯაბს.

«Гуджаб. Крестобразная церковь... из красного алгетского камня с куполом; с западной стороны и южной портики; по два окна с З и Ю и над ними в сре- ди них роскошные резные кресты. Ка-мень над южными дверями (в резьбе двери) вынут, вероятно, с надписью. Портики, вероятно же, повременны церкви. С вост. стороны две ниши. Ме-жду нишами три окна, среднее выше и больше других, над средним окном, на-верху, круглый в орнаменте просвет. За нишами окна (по одному) боковых алта-рей, среднее большое окно в резьбе, ос-тальные в рамках и...; карниз резной желобчатый. С северной стороны неболь-шой обвалившийся придел. С севера од-но окно в рамках и резьбе.

Купол цилиндрический. Крит кам-нем.

Западный портик делится тремя поперечными арками на три части и от-крыт с пяти сторон с зап. (три арки) и с С и Ю (по одной). Двери с Ю, З и С. В куполе 12 окон.

По краям главн. алтаря по алтарю с особыми входами из нефа и входами с алтаря. Поверх дверей боковые алтар-ные части заделаны. Три нефа на кир-пичных колоннах. Внутри церковь строен из кирпича весь; по архитектуре напо-минает Ахталу следов живописи нет; в главном алтаре сидение у восточной стены в середине о двух ступенях; ме-жду колоннами и западной стеной арки по верх имеют стены; с зап. стор. боко-вые нефа имеют кроме двух больших еще по одному окну. Двери с север. сто-роны заделаны.

Ширина зап. придела две сажени 12 вершков, ширина церкви без при-делов 7 сажени. Ширина север. при-дела 5 аршин, 12 вершков, длина — 5

саж. 8 вершков. Ширина Ю придела 5 аршин. Длина церкви 28 аршин, 6 верш-ков.

С северн. стороны другая церковь без купола, делится на три части, сред-няя большая и две боковые меньше по ширине, средн. имеет окно с вост. (1), с зап. (1), с сев. (1), с Ю (2). Двери с Ю (1) и С (2); две ниши в алтаре и трубы глин. в своде. Главный свод про-валился, а алтарь держится. Северный придел тремя арками делится на три части.

К северу от этой церкви другая ещё маленькая церковь.

Придели имеют окна (2) с З и В.

Купол главной церкви над окном имеет рельефное изображение льва, баранней головы (несколько) и бушеты (?) между окнами.

С западной стороны главной церк-ви обширные жилые помещения.

Ширина церкви 20 аршин, 9 верш-ков. Длина южн. придела 5 сажени, 4 вершка. 3 саж. 13 вершков длина церк-ви до С придела.

Длина церкви главн. до Ю придела 10 аршин, 4 вершка.

Длина церкви внутри 6 саж. 10 вершк.; длина алтаря 8 арш. 3 верш.

Ширина главн. алтаря 7 арш. 2 вершка.

Ширина других алтарей 5 арш. 4 верш. От алтаря до колонны 7 арш. 5 верш.

Ширина церкви внутри 5 саж. 2 арш. 10 вершков.

С зап. стенает Худжабис-цхали с Лельвара и монастырь у подножья Лель-вара. Камни обшивки... и разобраны. Ю и С портики приделы совершенно разрушены. На крыше большие деревья и на куполе, угрожая падением².

¹ აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, აღწერილობა. 1972, გვ. 146.

² ექვთ. თაყაიშვილის ჟღონდი, № 777, გვ. 33—37.

კუჯაბის ტაძარი

კუჯაბის ხუროთმოძღვრული ანსამბლის შემადგენელ მთავარ, ცენტრალურ-გუმბათოვან ტაძარს ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევარნი (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, პ. ზაქარაია, რ. მეფისაშვილი და სხვ.) ერთმანეთს მიაკუთვნებენ შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ისტორიაში ცხოველხატული სტილის მეორე ეტაპის, XII—XIII საუკუნეებში შექმნილ და საერთო სტილისტური კონცეფციით გაერთიანებულ, ძველთა იმ ჯგუფს, რომელსაც შეადგენს ქართლის ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაყოლებით განლაგებული იკორთა, ქვათახევი, ბეთანია, კოჭრის კახენი, ფიტარეთი, წულრულაშენი, ახტალა. ამავე ჯგუფში შედის აგურით ნაშენი და ქვით მოლპირკეთებული და, მამასაღამე, ქვაში ნაკვეთ მორთულობას მოკლებული ტიმოთესუბანი და ყინწყისი.

ამ ძეგლებისათვის დამახასიათებელია განმარტოებული მდებარეობა, მცირე ზომები, მასათა სიმსუბუქე და მოხდენილობა, მარტივი გეგმა, შიდა სივრცის კომპაქტურობა და ზეაზიდული პროპორციები, ფასადების გაფორმება პოლიქრომიული მოპირკეთებითა და სპეციფიკური მორთულობით.

ეს, კათედრალურ ტაძრებთან შედარებით პატარა, შენობები აგებულია სამონასტრო მოღვაწეობისათვის შესაფერის, დიდი დასახლებული პუნქტებიდან დაშორებულ, ღრმა, ტყიან ხეობებში გარემოსთან კომპოზიციური თანხმობით.

გეგმაში ამ ნაგებობათა მასების ჯვრისებური განლაგება, ჯვრის მკლავების თანაკვეთაში ამოზრდილი გუმბათით, თავსდება სწორკუთხედში, რომლის სიგრძე დიდად არ აღემატება სიგანეს. ჯვრის აღმოსავლეთი მკლავი, დამთავრებული წრიული აფსიდით, წარმოადგენს საკურთხეველს, რომლის გვერდებზე განლაგებულია საღიაკვანე და სამკვეთელო. გუმბათქვეშა საყრდენებიდან დასავლეთით ორი, უმეტესად, რვაწახნაგა ბურჯი თავისუფლად დგას, აღმოსავლეთით კი შერწყმულია საკურთხეველის ბემის კედლებთან. სამხრეთისა და ჩრდილოეთის შესასვლელები განლაგებულია გუმბათქვეშა დასავლეთი საყრდენების გასწვრივ, საიდანაც ინტერიერის აღქმა ხდება არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით საკურთხეველთან მიახლოებისას.

შინაგანი იერსახის ცხოველხატულობას ქმნის გუმბათქვეშა სივრცის ზეაზიდული პროპორციები, შეისრული თაღები, განათების კონტრასტულობა (გუმბათქვეშა არესა და საკურთხეველში გუმბათის ყელისა და მკლავების ბოლოში გაჭრილი მაღალი სარკმლებიდან უხვად შემოსულ სინათლეს ენაცვლება დაბალ კუთხის ნაწილებში სუსტი განათება).

ფასადებზე ადრინდელი თაღდის ნაცვლად გამოიყენება მორთულობის თავისებური სისტემა: ფასადების გლუვ ზედაპირს რთავს მდიდრულად მოჩარჩოებული ცალკეული, ან რელიეფური ჯვრით შეწყვილებული სარკმლები; განსაკუთრებული გულუხვობით და ფანტაზიით არის შემკული გუმბათის ცილინდრული ყელის თორმეტი, თაღდში მოქცეული, სარკმელი.

ტაძრის გარე ზედაპირების ქვით მოპირკეთების ძირითადი ფერის ფონ-



ზე აქა-იქ განლაგებული, სხვა შეფერილობის ქვაში ნაკვეთი მორთულობა. შექმნილია ნობას დინამიურ კოლორიტს სძენს¹ 3.

ჰუჯაბის მონასტერი მდებარეობს იმ უძველესი ქართული სოფლის მახლობლად, რომელიც შტერთაგან ხშირად დარბეული და დაცარიელებული რამოდენიმეჯერ იქნა დასახლებული სხვადასხვა ადგილებიდან გადმოსული სომხებით; ახალმოსახლეთა ბოლო ნაკადი მოვიდა შნოლიდან (ყარაბაღი)⁴ 5.

ამჟამად ქართველთა ნასოფლარი, ყარაბაღელი სომხებით გამოცოცხლებული, მაგრამ უკვე არაქართული, თურქული „ახქერფის“ სახელწოდებით, ტერიტორიულად მარნეულის რაიონს ეკუთვნის. მარნეულიდან ახქერფში მანქანით შეიძლება ჩასვლა შულავერის ან სადახლოს გავლით. ორივე ეს გზა ერთმანეთს უერთდება შულავერის—წყალთან, ხოლო რისი საბჭოთა მეურნეობის ახლოს. აქედან საკმაოდ ცუდი და გრძელი გზით, რომელიც სოფელთან მკვეთრად დაბლდება, მანქანა როსტომ მეფის დროინდელი ერთმანეთს მიერთების თეთრი ხილით (თურქულად: ახ-ქერფი) სოფლის ცენტრში შედის, გადაჭრის მას სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით და მდინარეში გატოპვით იწყებს ასვლას ბუჩქნარიან აღმართზე. შემდეგ უკვე საკმაოდ შეღმარებული გზა შედის ხშირ ტყეში, სადაც იგი ნელ-ნელა ისევ დაბლდება. მაღე, ტყიდან დასავლეთით განაპირებისას, გზის დონეზე, არცთუ ისე შორს, ერთბაშად გამოჩნდება ჭერ სახურავგადაცილილი და მცენარეულით დაფარული გუმბათი, შემდეგ თვით ტაძარი; იგი თანდათან მაღლდება თვალწინ იმის გამო, მასთან აღმოსავლეთიდან მიახლოებული და მკვეთრად თავქვედაშვებული გზა დასავლეთით, ღრმა ზევისკენ, დაფერდებულ ეზოს გარს შემოუვლის სამხრეთიდან.

სწორედ ამ მხრიდან არის შესასვლელი მონასტრის ტერიტორიაზე. აქედან მთლიანად მოსჩანს ჰუჯაბის—წყლის ღრმა, მთა ლეღვართან ვიწრო, მაგრამ აქ უკვე განიერი და ჩრდილოეთით გახსნილი, ხეობის ტყიანი ფერდობების მყუდრო გარემოცვაში გარინდებული კობტა ტაძარი. მუჭი იისფერი ქვის პერანგი (აქა-იქ გაბნეული მოყვითალო ლაქებით) მას განდევილობის იდუმალებით მოსავს. ამგვარ განმარტობაში გაჩენილი მოლოდინი საკვირველისა იმდენად ზემოქმედებს მნახველზე, რომ ტაძრისკენ ნელი სვლისას სამხრეთ ფასადზე წყვილ სარკმელსშორისი რელიეფური ჭვარი მას ზვეითკენ მოძრაიე ეჩვენება და თავის თავს ჭვრის ამალების მოწმედ აღიქვამს. ასეთ განწყობილებას ტაძარში შესვლისა და გუმბათქვეშ შეჩერებისას კიდევ უფრო აძლიერებს ტაძრის შიგა სივრცის სრულიად მოულოდნელი დიდი სიმაღლე. ინტერიერის ზეაზიდული პროპორციებითა და შეისრული თაღებით შექმნილი ზესწრაფვის შთაბეჭდილებას ხელს უწყობს სადღაც ძალიან მაღლიდან, თითქოს ციდან — გუმბათის ყელის მაღალი სარკმლებიდან, მომავალი სინათლის სხივების თორმეტი მსხვილი, ქვემოთკენ დახრილი, კონა, თავმოყრილი გუმბათის ყელის ცენტრში და ნათლის სვეტივით ქვედაშვებული.

ბრტყელი ქართული აგურით ნაგები და ქვით შემოსილი ტაძრის სხვადასხვა ნაწილი (გადახურვის ღორფინი მთლიანად, ნაწილობრივ პერანგი, ლავგარდანი, გვიანდელი სამხრეთი და ჩრდილოეთი მინაშენები და დასავლე-




თი კარიბჭე) დაზიანებულია, მაგრამ თავდაპირველი ძირითადი ფორმები მთლიანად წყურთა დღემდე.

შენობის გეგმა ისეთივეა, როგორც დამახასიათებელია ძველთა ზემოთ ხსენებული ჭგუფისათვის: მასების განლაგებით შექმნილი ჭვარი თავსდება სწორკუთხედში, რომლის სიგრძეა დაახლოებით 20 მ, სიგანე — 15 მ; აქაც გუმბათი ეყრდნობა დასავლეთით ორ თავისუფლად მდგომ, ოქტოგონური ფორმის ბურჯს, ხოლო აღმოსავლეთით საკურთხევლის ბემის კედლებს. მაგრამ გუმბათის ყელი სიმაღლით ჩამოუვარდება კორპუსს მკლავის არეში დაახლოებით ისეთივე თანაფარდობით, როგორც ასევე აგურით ნაშენ, ოღონდ მოუპირკეთებელ ყინწვისსა და ტიმოთესუბანში. საკურთხეველი სამკვეთელს უერთდება გასასვლელით, რომელსაც საღიაკენეს მხარეს ცვლის იგივე ზომის ნიშა. სამკვეთლო გახსნილია დარბაზის მხარეს (თავდაპირველად ასევე უნდა ყოფილიყო საღიაკენეც). შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე ორსართულიანია; პირველი სართული საღიაკენეს წარმოადგენს, რომელსაც ამჟამად დარბაზიდან გამოყოფს სხვა სამშენებლო მასალით (ნატეხი ქვითა და სიპით) ამოყვანილი კედელი; მასში დატანებული შესასვლელის თავზე ერთი ვიწრო სარკმელია; მეორე სართულის სათავსის დასავლეთ, ტაძრის თანადროულ, კედელს აქვს ოთხკუთხა მოზრდილი ღიობი, რომელსაც შიგნიდან ოდნავ შეისრული თალი აქვს. სამკვეთლოსა და საღიაკენეში გადახურვის ცილინდრული კამარა აღმოსავლეთით გადადის აფსიდის კონქში. ამ სათავსების აფსიდის ერთადერთი სარკმლის რაფის კუთხეებთან, ქვემოთ, დატანებულია ორი სწორკუთხა, ზემოდან შეისრული მოხაზულობის, ზერელი; ერთი ღრმა თახჩაა, მეორეში კი იწყება ხვეული კიბე, რომლითაც შეიძლება მოხვედრა სამკვეთლოს მხრიდან პირდაპირ, ხოლო საღიაკენედან მეორე სართულის გავლით, საკურთხევლის კონქის ზემოთ არსებულ საიდუმლო სათავსში და შემდეგ სახურავზე. საიდუმლო სათავსს დარბაზთან აერთებს კონქში გაჭრილი, დარბაზის მხრიდან შეუმჩნეველი ვიწრო, სათავსისაკენ თანდათან გაგანიერებული, მრგვალი ზერელი, რომლითაც ნათდებოდა ეს სათავსი და საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა დარბაზში ჩახედვაც. ტაძარში ყველა საბრჯენი და ნიშებისა, თუ შესასვლელების, შიგნიდან მომფარგვლელი თალი შეისრულია. მხოლოდ საღიაკენის კარის რუხი ქვის მოჩარჩოება ზემოთ ნახევარწრიულია; იგი როგორც მასალით, ასევე კომპოზიციით, ტაძრის დასავლეთი გვიანდელი კარიბჭის შესატყვისია და მისივე თანადროული უნდა იყოს.

პუჯაბის მთავარ ტაძარს გარეგნული იერიც ძველთა მითითებული ჭგუფისა აქვს. ამასთან შეიმჩნევა ზოგიერთი თავისებურება.


ამ ჭგუფის ყველა ტაძარში საკურთხევლის სამი სარკმლიდან შუა, დიდი სარკმელი აღმოსავლეთის ფსადის სიმეტრიის ღერძზეა გადაჭრილი, გვერდითი სარკმლები შუა სარკმლის ორივე მხარეს არსებულ ღრმა სამკუთხა ნიშებში გამოდის. ნიშების წრიული თალი ზოგჯერ შემკულია სამყურა კუწუბოებით.

პუჯაბში აღმოსავლეთ ფსადზე საკურთხეველი გამოვლენილია საკმაოდ უღიმღამო, მცირე სიღრმის, სამკუთხა ნიშებით; საკურთხევლის სამივე სარკმელი ფსადზე უშუალოდ გამოდის ნიშებს შორის. ამ სარკმელთა სწორ-




ხუჯაბი. ზედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

Худжаби. Вид с юго-востока.



ხუჯაბი. გეგმა (აკ. შავერდაშვილის ანა-
ზომი).

Худжаби. План (обмер Ак. Ша-
вердашвили).



მუჯაბი. აღმოსავლეთი ფასადი (ცენტრალური მონაკვეთი).

Худжаки. Восточный фасад (центральная часть).

კეთბა, ზემოდან ნახევარწრიული ჩარჩო (ისევე, როგორც ჭკუფის სხვა ტაძრებში) ერთნაირი ელემენტებისაგან შედგება: წვრილი ლილვების ჩაკეტილ ორ კონტურს შორის მოქცეული, ამოზნექილზედაპირიანი, უწყვეტი არშია და მის გარეთ ორი მსხვილი ლილვის ასევე ჩაკეტილი კონტური, ერთმანეთთან შეკრული ოთხი კვადრატული ფილით — ორი ქვედა კუთხეებში და ორიც ზემოთ, წრიული თაღის ქუსლებში. ლილვებს სწორხაზოვან უბნებში, ფილებთან, ამკობს „სამაჯურები“, შედგენილი შენაოქებული მაქმანიბა და ორი ბურთულით. მოჩუქურთმებულია ცენტრალური, შედარებით დიდი, სარკმლის ჩარჩოს ყველა ელემენტი და მის თავზე, მაღლა, წრიული სარკმლის ოთხმარყუფიანი ლილვით გარშემოვლებული არშია. გვერდითი ორ-ორი (ნიშამდე საშუალო და ნიშის გარეთა, მცირე, გვერდითი სათავსების გასანათებელი) სარკმლის მოჩარჩოება არ არის მორთული ნაკვეთი ორნამენტებით. შუა სარკმლის ჩარჩოს შემადგენელი ორლილვიანი კონტური პორიზონტალური უბნის შუაში სამ ლილვად გარდაქმნილი სარტყლის ფოჩიან ბოლოსავით სწორად ეშვება ქვევით ტაძრის ხარისხზე დაყრდნობილ მოჩუქურთმე-

Handwritten text in a decorative border at the bottom left corner, likely a library or archival stamp. The text is partially illegible but appears to contain information about the book's location or ownership.

ბულ მართკუთხა ფილამდე (შდრ. მაღალანთ ეკლესია (XIII ს.), დმანისის სიონი აღდგენის შემდეგ (XIII ს.), ერთაწმინდა (XIII ს.) და სხვ. ოღონდ ამ სარკმლის თავზე ჭვარია. აქ კი მრგვალი სარკმელი). საღიაკენისა და სამკვეთელის სარკმელთა ჩარჩო არ შეიცავს მსხვილი ლილვების წყველ კონტურს. საღიაკენის სარკმლის ზემოთ, კარნიზთან ახლოს, არის პატარა წრიული ხერელი მეორე სართულის სათავისის გასანათებლად. ნიშები ფასადის სიბრტყიდან არაფრით არ არის გამოყოფილი (სხვა ტაძრებში ეს ხდება ლილვების მეშვეობით და ამით ნიშას სიღრმე ემატება); მათ სამკუთხა მოხაზულობის თაღს შემოუყვება სამი სამყურა და კიდეებში ორი პატარა, მრგვალი კუწუბო, რომელთა მიმდევრობა ჰქმნის თაღის სამკუთხა მოხაზულობის პორიზონტალურ ფუძეს და ამით უფრო მოუჭნელს ხდის მას.

ამრიგად, აღმოსავლეთი ფასადისათვის დამახასიათებელი საზეიმო შემკულობა ჰუჭაბში სრული არ არის და არც დაბეჭდილი შესრულებით. ჩანს, ეს განაპირობა რელიეფმა: ტაძარი დგას ჰუჭაბის—წყლისკენ დაქანებული ფერდობის ხელოვნურად შექმნილ ბაქანზე. იგი აღმოსავლეთი ფასადით ებჯინება მკვეთრად დაბრილ კლდოვან ზედაპირს და ამიტომ მასთან იმდენად ვიწრო გასასვლელია, რომ მთელი კედლის დანახვა ქვემოდან შეუძლებელია; მისი აღქმა გაძნელებულია. ფერდობის თავზე გამავალი გზიდან მოსჩანს მხოლოდ აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონი. ეს ალბათ გაითვალისწინეს ოსტატებმა და ზედმეტად არ გაისარჩნენ ნიშების კონსტრუქციული დაბეჭდილობისა და გვერდითი სარკმლების უფუნქციო მორთულობისათვის. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ აღმოსავლეთი ფასადის ნიშების თალი და მისი მომრთველი კუწუბოები, აგრეთვე გვერდითი ნაევების სარკმელთა მოჩარჩოება, შესრულებულია არა მაღალი კვალიფიკაციისა და მხატვრული გემოვნების მქონე მთავარი ოსტატის, არამედ სხვა, დამწყები შევიარდის, ანდა გვიანდელი აღდგენისას მოუჭნელი ხელის მქონე ქვის მკოდველის მიერ.

დასავლეთი ფასადი მთლიანად მხოლოდ შორიდან, ჰუჭაბის—წყლის მეორე, მარცხენა, ნაპირიდან მოსჩანს; ახლოდან კი მისი აღქმა მოუხერხებელია, რადგან ამ ფასადის წინ ხელოვნური ბაქანის ვიწრო ზოლია დარჩენილა, რომელზედაც მოგვიანებით დასავლეთის კარიბჭე დააფუძნეს და, შესაძლოა, ტაძართან მისასვლელად საფეხურები ააყოლეს ფერდობს გაღავენის გავლით ხევიდან კარიბჭემდე (იხ. დასავლეთი ფასადის რეკონსტრუქცია, შესრულებული აკ. შავერდაშვილის მიერ⁶). ამიტომ არც ამ ფასადის კიდურა სარკმლების მოჩარჩოება არის სრულყოფილი.

სამხრეთი ისევე, როგორც დასავლეთი ფასადის მთლიანად დანახვა შესაძლებელია შორიდან; ხუროთმოძღვარმაკ თავისი ეპოქის მხატვრულ გემოვნების შესაბამისად ჭვარი, როგორც რწმენის აღიარებისა და ვედრების აღელენის სიმბოლო, მოათავსა ამ ფასადებზე მკლავის არეში გამოკრილ ორ სარკმელს შორის. ჯვრით შეწყვილებული სარკმლების მორთულობის სისტემა ისეთივეა, როგორც აღმოსავლეთ ფასადზე. სარკმელთა მოჩუქურთმებული არშია და ლილვური ბილასტრები, სარკმელთა შორის თავისუფლად მოთავსებული ჯვრის გრძივი, ნაკვეთი ორნამენტით შემკული, მკლავი შესრულებულია მოყვითალო ქვით, რომლის ფერი ნათლად იკვეთება ტაძ-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბ. გლ. ი. თმბა

რის პერანგის ძირითად, მუქ იისფერ, ფონზე. ჯვრის განივ, ასევე მოჩუქურთმებულ, იისფერ მკლავს ზემოთ მისი პარალელური, თითქმის ტოლსიგრძის, ჩალისფერი ქვის ჩასმა, თითქოსდა ჯვრის ანალოგიური შეფერილობის ტანის დასაფრთხიანებლად, ხუროთმოძღვრის კარგ მხატვრულ მიგნებად უნდა ჩაითვალოს. მართლაც, ფასადის მუქ ფონზე ჯვრისებურად აქცერებული ყვითელი გამა მშვიდი კვრეტისას ჯვრის ამალღების ასოციაციას იწვევს.


ჩრდილოეთის სადა ფასადზე მკლავის არეში გაჭრილია ერთი მაღალი სარკმელი, რომელიც სხვა ფასადების მთავარი სარკმლების მსგავსად არის მოჩარჩოებული.

ტაძრის სამი შესასვლელიდან დასავლეთ და სამხრეთ პორტალს აქვს სარკმელთა მორთულობის შესატყვისი მოჩარჩოება; ამასთან სამხრეთისა უფრო მდიდრულია. ტიშანის ერთიანი ქვის ზედაპირი დასავლეთ და ჩრდილოეთ შესასვლელებში გლუვია, სამხრეთისაში კი ამქამად საგულდაგულოდ არის ამოტეხილი.⁷ ჩრდილოეთის სადა შესასვლელი საშინაო დანიშნულებისა ჩანს; იგი გამიზნული უნდა ყოფილიყო მონასტრის ბინადართათვის, რადგან ჩრდილოეთიდან ტაძარს ეკვროდა სამონასტრო მეურნეობისთვის განკუთვნილი, თუ აღრინდელი საეკლტო, ნაგებობანი და ამდენად ვარეშე პირი მონასტრის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში არც ხედებოდა; საზეიმო სამხრეთი და, მოგვიანებით, დასავლეთი პორტალები კი ემსახურებოდა ტაძარში მომსვლელთ.

გუმბათის ყელის თორმეტი, ფასადთა სარკმლების მსგავსად მოჩარჩოებული, სარკმელი მოთავსებულია გარე წყვილი ლილეებით შექმნილ წრიული მოხაზულობის თაღდში. თაღების შეერთების ადგილებში მონაცვლეობით ზემოდან ჩასმულია ბირთვი მოჩუქურთმებული ზედაპირით და ვერძის თავი (რომელთა სრული რაოდენობა არ არის შემორჩენილი). ჩრდილოეთ მხარეს შუა სარკმლის თავზე, გუმბათის ლავგარდანსა და თაღებს შორის, გუმბათის საპირეში ზის ქვა ლომის რელიეფით (ქვემოდან იგი სახედარივით მოჩანს, რომ არა მარყუჭი ზემოთ აპრეხილი კუდის ბოლოში და დაბალი, მრგვალი, ყურები). აქვე, შემდეგი სარკმლის ლიობში შემორჩენილია მრგვალებერეებიანი კერამიკული ალათის ფრაგმენტი. გუმბათის ყელი, ფასადთა მსგავსად, ორი ფერით ეღერს და ამით გუდარების სამრეკლოს გვაგონებს; ოღონდ აქ მუქ იისფერზე ჩალისფერი მოკლე ზოლები არის არარეგულარულად განლაგებული. ტაძრის პერანგზე ფერთა ასეთი შეხამება ხუროთმოძღვარს ჩრდილოეთით გახსნილი ხედის ზაფხულ-შემოდგომის შეფერილობამ თუ უკარნახა (ბევრს უნახავს, ალბათ, ზაფხულობით ვარძიისკენ მიმავალ გზაზე შორს გაშლილი, გზისკენ ნელ-ნელა დაქანებული ველები, სადაც დიდ ფართობზე ქართულ ზამბახისფრად მღელვარე ველის ყვავილებში შერეულია ხოლმე მწიფე ყანის ძნისფერი ზოლები).

ტაძრის ცოკოლი სამსაფეხურიანია: ზედა ლილეოვანი, ორი ქვედა სწორკუთხა. მხოლოდ აღმოსავლეთით, რელიეფის გამო, ხარისხი ერთ, სწორკუთხა, საფეხურს შეიცავს.

კარნიზი ორნამენტიანია; თითოეული სამი ელემენტისგან შედგება. ზედა ნაწილის თაროსა და ლილვს შორის წრეთარგის ზედაპირზე ნაკვეთი ორნა-





შენტული წნული ამჟამად გადაცრეცილია; ქვედაზე ორ ლილვს შორის ღარანული სებური ზედაპირი გლუვია.

სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი მოგვიანო ხანის მინაშენებიდან ამჟამად ნაწილობრივ შემორჩენილია დასავლეთის სამნაწილიანი კარიბჭე, რომელიც ნატეხი და რიყის ქვებითაა ნაშენი და მოპირკეთებულია ტაძრის პერანგის ქვისგან ჭიშითა და ფერით განსხვავებული რუხი ქვით. შუა ნაწილის ორფერდა სახურავის კეხი უსწორდება ტაძრის დასავლეთ ფასადზე წყვილ სარკმლებს შორისი რელიეფური ჭრის ბაზისს. გვერდითი ნაწილების ცალფერდა გადახურვა უკვე აღარ არსებობს. სამივე ნაწილის მარტივი პროფილის, მაგრამ ჩუქურთმიანი ლავგარდანი ჭერ კიდევ ცოცხალია. კარიბჭე სამხრეთ არის განხილული ხუთი წრიული თალით (სამი დასავლეთ, ხოლო თითოთითო სამხრეთ და ჩრდილო მხარეს); ამ თაღების მოხაზულობა და მორთულობის სისტემა მისდევს დასავლეთი ფასადისა და გუმბათის ყელის სარკმლებისას იმ განსხვავებით, რომ ლილვებს შორის მოქცეულ არშიას ჩაზნექილი ზედაპირი აქვს და მოუჩუქურთმებელია. კარიბჭის დასავლეთი ფასადი შუა ნაწილში მორთულია რამოდენიმე რელიეფით: ორსაფეხურიანი თაღის თავზე ისევე, როგორც ტაძრის სამხრეთი და დასავლეთი ფასადების რელიეფური ჭრის მკლავების ბოლოებთან, დასმულია მოჩუქურთმებული ზედაპირის მქონე ბირთვი, რომელსაც გარს უვლის ოთხმარყუჟიანი ლილვი; მარჯვენაში ზის მომცრო ზომის ბირთვები. ამ ხუთბირთვიან სისტემასა და გადახურვის კეხს შორის მოთავსებულია დაბალი რელიეფის ჭვარი სამყურა კვირტებით გლუვი და ტოლი მკლავების ბოლოში. ბირთვების ხუთეულის ქვემოთ და თაღის გარეთ დასმულია თითო, ლილვშემოვლებული და ჩუქურთმით შემკული, ბირთვი; სამხრეთი ბირთვის თავზე მოთავსებულია ჭიხვის სტილიზებული თავი.

ტაძრის კედლები შიგნიდან შეღესილია. ამჟამად ქვედა ნაწილებში ბათქაში ჩამოცვენილია და აგურის წყობა მოჩანს. ამ საუკუნის დასაწყისში, უფრო ადრეც თუ არა, უბატრონო, შესასვლელგახსნილ ტაძარში უამინდობის დროს თავს აფარებდნენ არაქრისტიანი მწყემსები თავიანთი ფარით⁸ და რა დღეც დაადგებოდა ტაძრის კედლების ქვედა ნაწილებს, ძნელი წარმოსადგენი არ არის. დარბაზში მოხატულობის არა თუ ნაშთი არ ჩანს, მისი ფერადოვანი კვალიც კი ჩამორეცხილია. კედლის მხატვრობა შემორჩენილია მხოლოდ სადიაკვნეში გაფერმკრთალებული ფრაგმენტების სახით საკურთხევისგან გამოყოფ კედელზე, აღმოსავლეთი სარკმლის კრილში, კამარის თაღში და სხვ. ისიც იმის წყალობით, რომ ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე ორსართულიანია და ძირითად, ლორფინგადაცლილ, სახურავში ჩაქონილი წვიმა, ან გამდნარი თოვლი, რამდენადმე ფერხდება სადიაკვნესა და მის ზემოთ, მეორე სართულის სათავსს შორის არსებული კამარული გადახურვის სისქეში.

1983 წლის ზაფხულში შევეძელით მოხატულობის ნაშთთა ფოტოფიქსაცია და კედლის მხატვრობის თავდაპირველი სქემის ნაწილობრივი აღდგენა. კამარის ჩრდილო კალთასა და კედლის ზედა ნაწილზე განთავსებულ რეგისტრში ფრაგმენტულად შემორჩენილია „ნათლისღება“. უკეთ განირჩევა კო-



მპოზიციის ცენტრი — იორდანში მდგომი ქრისტე. იგი ზომებით აღემატება ანგელოზს, რომლის სხეული (თავი ჩამორეციხილია) ნაოკიან სამოსელში მოხატულია სცენის მარჯვენა მხარეს მდინარის ნაპირთან. მეორე ნაპირი, იოანე ნათლისმცემელი, ან სხვა ფიგურები აღარ შეიმჩნევა. ქრისტეს მსხვილი სხეული აქვს; მხრებს უკან გადაშვებული გრძელი თმა წვრილ ზოლად მოჩანს კისრის გასწვრივ ყურის ძირიდან მხრის დასაწყისამდე. შარავანდზე ჯვრის მხოლოდ გრძივი, ბოლოგანიერი, მკლავი განირჩევა. სახე და ტანი წელს ზემოთ ფრონტალურად არის გამოსახული; ქვედა ტანი კი სამი მეოთხედით არის მიბრუნებული დასავლეთისკენ. ერთი ფეხი მუხლს ქვემოთ ტერფიანად პროფილშია, მეორის ტერფი აღარ ჩანს. მაკურთხეველი ხელი მიმართული აქვს დასავლეთით ნახატის ქვედა კუთხისაკენ, სადაც ვედრების პოზაში გამოსახულია საერო პირი. იდაყვში მოხრილი მეორე ხელის მტევანი შეჩერებული აქვს თეძოსთან, ნახატის ფერადოვანი გამა ძლიერაა ჩამორეციხილი. ამ სცენას მეზობელი, უკვე განურჩეველი კომპოზიციისგან გამოყოფს მუქი ფერის ზოლი; პორიზონტალურ უბანზე კი ქვემოდან მას საზღვრავს მცენარეული მოტივის ორნამენტული სარტყელი. ქვედა რეგისტრში შელესილობა დაფარულია უამრავი, ნახშირით შესრულებული, თანამედროვე ნაქლამებით.

„ნათლისღების“ ეს გამოსახულება უნდა მიეკუთვნებოდეს XI—XII საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ჩვეულებრივ იკონოგრაფიულ ტიპს, რომლის საწყისი, როგორც ეკ. პრევალოვა მიუთითებს,⁹ სირიულ-კაპადოკიურ ტიპშია საძიებელი და რომლისთვისაც დამახასიათებელია აქ შემორჩენილი „ნათლისღების“ კომპოზიციაშიც არსებული დეტალები: ნახატის ქვედა ნაწილში განიერი და შუაში თალისებურად შევიწროებული მდინარე, მისი ნაპირის ზიგზაგისებური მოხაზულობითა და მკვეთრი, მაგრამ მდოვრე ამალღებით.

ქრისტეს სხეულის პროპორციები არ არის „კლასიკურად“ დახვეწილი, მაგრამ უფრო რეალურია, ვიდრე პალეოლოგოსთა დროინდელი წვრილი, სიგრძეში გაწეილი ფიგურები. ქრისტეს ქვედა კიდურების სიმრგვალე, შექმნილი მუქი საღებავის მსხვილი და მდოვრე ხაზით, გამკვეთრებულია ღია ფერის განივი წანასმებით. ნახატის შესრულებაში ერთგვარი პრიმიტიულობა იგრძნობა.

საღიაკვნიდან დარბაზში გასასვლელთან, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ჩრდილოეთ კედლიდან ერთი საფეხურით წინ გამოწეულ, დაახლოებით ერთი მეტრის ჭიგანის, სიბრტყეზე შემორჩენილია საერო პირის გამოსახულება იატაკიდან, ასე, ორი მეტრის სიმაღლეზე.

ჩამორეციხილ მოხატულობაზე, როგორც ნისლში, მოჩანს ვედრების პოზაში გამოსახული მამაკაცი. ყველაზე უკეთ განირჩევა აღმოსავლეთისაკენ სამი მეოთხედით მიბრუნებული სახე. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ეს სახე მარჯვნივ მიმართული, რალაც შინაგანს მიყურადებული, მზერით და სინანულისმავგარი გამომეტყველებით. აქვს ოდნავ მორკალული, ფაქიზი მოხაზულობის თხელი წარბები, ნუშის მოყვანილობის თვალები ქუთუთოების მკაფიო ხაზით, თხელი სწორი ცხვირი რბილად დაბოლოებული თითქოსდა მთრთოლვარე ნესტოებით, ზომიერი სისქის ტუჩები კუთხეებში სევდანარევი ღმირის ჩქამით, მუქი ფერის მომრგვალებული წვერი საკინძმედ,


წვერს შეერთებული არც თუ სქელი უღვაშები, ყურის ძირთან შეკვეცილა მუქი თმა.

მისი საზეიმო სამოსელის თეთრ ფონზე მუქი მოჩითვის ძლივს შესამჩნევნი კონტურული კვალა. ცალი მხრიდან მკერდზე ირიბად გადმოშვებული აქვს განიერი ლენტო (ლორანი?), რომლის ღია ფონზე მუქი, არათანაბარი ზომის, ლაქების თავისუფალი განლაგებაა (იქნებ, მსხვილი ძვირფასი ქვების შესაძლო მორთულობისა), კიდევზე კი ჩასდევს არშია ორ ხაზს შორის მოქცეული მუქი ზოლის სახით. მუქი ფერის, ნაპირებზე თეთრზოლიანი, განიერი სამკლავური წაბილწულია ნახშირით შეიარაღებული „ბარბაროსის“ მიერ. პერთალი ფერის თავსაბურავს ზემოთ აქვს შროშანისებური ეწწებოები, რომელთა უკან მოჩანს მრგვალი თალი ღილისმაგვარი წვერით და, თითქოს, განზე ცერად გაშვებული წვეტები (ამ უკანასკნელთა შესახებ დაბეჭილებით თქმა ძნელია).

აქვე, მამაკაცის გამოსახულების მარჯვნივ, მისი მხარის გასწვრივ და ხელის მტკევანს ზემოთ თითქოს შეიმჩნევა რაღაც შენობა (ტაძრის მოდელი?) მუქი შეფერილობის საფეხუროვანი გადახურვით.

შელესილობაჩამოშლილ დარბაზში მოხატულობის კვალზეც აღარ ოცნებობს დამთვლიერებელი, ასეთი განწყობილებით შედის იგი განათებული დარბაზიდან შედარებით ბნელ სადიაკნეში და აქ ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, კედელზე თეთრ ბინდში ძლივს გასარჩევ, თითქოს წარსულიდან მომზირალ, სახეს წააწყდება მოულოდნელი სასწაულივით; შემდეგ მას, ამით გაოგნებულს და კედლის წინ გაშეშებულს, რაღაც გრძნეული ხილვებით მუხტავს უფრო ახალგაზრდა რომ ეთქმის, ვიდრე შუახნის, მამაკაცის მშვიდი რწმენით, შინაგანი ღირსებითა და დაოკებული ძალით სავსე ლამაზი სახე...

ვედრების პოზაში გამოსახულ მამაკაცის სახის აღმოსავლეთისკენ სამი მეოთხედით მიბრუნება და თვით მისი ტიპაჟი (სახის მშვიდი, გარინდებული გამომეტყველება, დახვეწილი ნაკვთები, მოგრძო ოვალი; ნუშისებური ფორმის თვალები; თხელი, სწორი ცხვირი¹⁰) მოხატულობის დამათარიღებელი სხვა ნიშნების აღარ არსებობისას გაუბედავად, მაგრამ მაინც, მანიშნებელი უნდა იყოს იმისა, რომ ამ პორტრეტის შესრულება საგულისხმებელია არა უგვიანეს XIII საუკუნის დასასრულისა. ამის დასტური იქნებ ისიც იყოს, რომ საერო პირის გამოსახულება მოთავსებულია არქიტექტურულად გამოყოფილ (ხუროთმოძღვრის მიერ მისთვის თავიდანვე გამიზნულ) ადგილზე — სადიაკნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში კედლის სწორკუთხა სვეტის წინა ზედაპირზე. XIII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული ტაძრის¹¹ დარბაზისკენ თავდაპირველად გახსნილი სადიაკნის ჩრდილო კედლის ეს ნაწილი კი დღის განმავლობაში ყველაზე დიდხანს იქნებოდა განათებული ჭერ სადიაკნის აღმოსავლეთი და შემდეგ განივი მკლავის სამხრეთ ბოლოში გაკჭრილი წყვილი, მაღალი სარკმლებიდან შემოსული სინათლით.



ქართული მმართველი ფეოდალური (სამეფო?) წრის თუ რომელი პირა
გამოსახული ამ პორტრეტზე, ან ვისი სახელობისაა და ვისი საფასითაა
აგებული ქუჩაბის მთავარი ტაძარი, საჭიროებს სპეციალურ კვლევას.

←
ქუჩაბი. საღიაკენის ჩრდილო კედლის მო-
ხატულობა (სქემა).

Худжаби. Роспись северней сте-
ны в дьяконнике (схема).

ქუჩაბი. სერო პირს პორტრეტი (სქემა).

Худжаби. Портрет светского лица
(схема).

- 1 Чубинашвили Г. — Вопросы истории искусства, I, 1970, стр. 289.
2 Беридзе В. — Некоторые аспекты груз. купольной архитектуры, 1976, стр. 72.
3 პ. ზაქარაია — ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, 2, 1978, გვ. 163.
4 ლ. მუსხელიშვილი — ბოლნისი, ენიშკის მონაბე, III, 1938, გვ. 384.
5 ლ. მუსხელიშვილი — არქეოლოგიური გათხრება მანავრის ხეობაში, საქ. სახ. მეზეუ-
ში, 1941, გვ. 11.
6 აკ. შვეერდამელი — ქუჩაბის ხუროთმოძღვრული ანსამბლის გუმბათიანი ეკლესიის
რეკონსტრუქცია-რესტავრაცია, საღილოშო ნაშრომი, თბილისის სამხატვრო აკადემია, 1979.
7 ეს იმას მოწმობს, რომ ამ მთავარი პორტალის ტიმპანზე ქართულად იწებოდა ამოკ-
ვეთილი საამშენებლო წარწერა; იგი 1894 წელსაც არ დახვედრა ქუჩაბში ჩასულ ექვთ. თა-
ყაიშვილს (ექვთ. თაყაიშვილის ფონდი № 777, გვ. 33).
8 Пигарев В. — Худжабский монастырь на Кавказе, «Старые годы», 6, 1913,
стр. 56.
9 Привалова Е. — Роспись церкви Георгия Калоубанского близ Михета,
ქართული ხელოვნება, A 8. 1979, გვ. 145.
10 ა. კლდიაშვილი — ვარძიის ანანაურის ეკლესიისა და მიმდებარე დასავლეთის სათავის
მოხატულობათა შედარება. ძველის მეგობარი, № 3, 1986, გვ. 31.
11 ქ. აბაშიძე — ...და აწ ცალიერ არს „ახალგაზრდა კომუნისტი“, 22. II. 1988.

სორიანის ეკლესია


ყვარლის რაიონი მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით. აქ შემორჩენილია შუა საუკუნეების როგორც საერო, ისე საეკლესიო მონუმენტური ნაგებობები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლის საქმეში. განსაკუთრებით თვალშისაცემია ძეგლების არა მხოლოდ მრავალრიცხოვნება, არამედ მრავალფეროვნება და ფუნქციურად განსხვავებულ ხასიათი, რაც სამშენებლო საქმის დიდი ტრადიციების მაჩვენებელია. ასეთი დასკვნების გამოტანის უფლებას იძლევა დიდმნიშვნელოვანი საეკლესიო ნაგებობანი — ნეკრესის ანსამბლი, ძველი გავაზის ტეტრაკონქი, ბარცანას ანსამბლი, საბუეს წმ. შიოს ეკლესია და ნათლისმცემელი, გრემის მთავარანგელოზი და სხვ.; საფორტიფიკაციო ნაგებობანი — ყურის ციხე, არეშის ციხე, ციხისჯვარი, ყვარლის ციხე, ყადორის ციხე და სხვ.; საერო ნაგებობები — გრემის ქარვასლა ფუნდუქები, აბანოები, სასახლეები, სამების ქარვასლა და სხვა მრავალი. აქვე უნდა მოვიხსენიოთ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამომზეურებული არაერთი შესანიშნავი ძეგლი არეშის ნაქალაქარზე (სოფ. მთისძირი) და ძველი გავაზის ტერიტორიაზე.

წინამდებარე წერილი მიზნად არ ისახავს ყვარლის რაიონის არქიტექტურული ძეგლების (მიწისზედა თუ თხრით გამოვლენილ) მიმოხილვას. ეს საქმით სისრულით არის წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში.¹ ჩვენი სურვილი მეტად მოკრძალებულია — ორი ძეგლის გაცნობა გვსურს მკითხველისათვის, რათა მათ ისეთავე ყურადღება დაიმსახურონ ძეგლის დამცველთა და აღმდგენთაგან, რომელთა საქმიანობაც ამ ბოლო დროს, თუნდაც ყვარლის რაიონის მიხედვით, მხოლოდ შექების ღირსია. მართლაც და ყვარლის რაიონში აღდგენითი და საკონსერვაციო სამუშაოების შედეგად ბევრ ძეგლს დაუბრუნდა პირვანდელი სახე. მათ შორისაა გრემის რამდენიმე ეკლესია, ქულბაქები, მათარსას ეკლესია, ბარცანას ეკლესია, არეშის საყდარი, ყურის ეკლესია და ბაზილიკა, ყვარლის ცხრაკარა და დუბე, ნეკრესის ანსამბლი და სხვა.

რაიონის არქეოლოგიური ძეგლების გამომზეურებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ს. ჭანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელიც 1963 წლიდან ახორციელებს სამუშაოებს ჭერ გრემის ნაქალაქარზე (ხელმძღვ. პ. ზაქარაია) და შემდეგ კი ძველი გავაზის, არეშის და ნეკრესის ნაქალაქარებზე (ხელმძღვანელი ლ. ჭილაშვილი). აღნიშნული ექსპედიცია, გარდა არქეოლოგიური სამუშაოებისა, აწარმოებს დიდი მასშტაბის დაზვერვებსაც, როგორც ყვარლის, ისე მიმდებარე რაიონების ტერიტორიაზე (საინგილოს ჩათვლით), რის შედეგადაც არაერთი მიწისზედა ძეგლია მიგნებული და დაფიქსირებული. მე, როგორც ამ ექსპედიციის მონაწილეს 1978 წლიდან საშუალება მქონდა შემესწავლა და გამოემქვეყნებინა ორი ძეგლი — ვაზოვანი და დუბე². ამჟამად კი საზოგადოებას ვთავაზობ ცნობას ორი უცნობი და მეტად სავალალო, თუმცა არაუიმედო მდგომარეობაში მყოფი ძეგლების შესახებ.

სურ. 1. ყორიანი № 1. გვეშა.

Кориани № 1. План.



მარობაში მყოფი ძეგლის შესახებ, სურვილით, რომ მათ მიეცევა სათანადო ყურადღება სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების თვალსაზრისით.

ორივე ძეგლი ქ. ყვარლის აღმოსავლეთით 3—5 კმ მდებარე ვრცელი ნაქალაქარის ტერიტორიაზეა. ადგილი ხალხში ცნობილია ყორიანის სახელით (ალაგ-ალაგ ქვის ყორეების მიხედვით, რომლებიც ძველ ნაგებობებს უკავშირდება).

პირველი ძეგლი, რომელსაც პირობითად ყორიანი № 1 სახელით აღვნიშნავთ, სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევებს წარმოადგენს. ის ქ. ყვარლიდან 3 კმ-ზე მდებარეობს, ქალაქიდან ყვარლის „ზღვისკენ“ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, ტყის ზოლში. ნანგრევებზე დიდრონი ხეებია ამოსული, რამაც, აშკარაა, დიდი როლი ითამაშა ნაგებობის რღვევის პროცესის დაჩქარებაში. იგივე მცენარეული საფარი იმაზეც მიუთითებს, რომ ეკლესიას უკანასკნელი 2—3 საუკუნის განმავლობაში მრეველი აღარ ჰყოლია და მწყობრიდან გამოსულა.

ეკლესია დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთით. შემორჩენილია ცენტრალური ეკლესიის დიდი ნაწილი გადახურვის ვარშე და გვერდის ეკლესიების კედლების ფრაგმენტები, რომლებიც ძირითადად ნანგრევების გროვის შთაბეჭდილებას ახდენს. მიუხედავად ამისა, ძეგლის პირვანდელი საბის მეტ-ნაკლები სურათის აღდგენის საშუალება არსებობს.* ეკლესია ნაგები ყოფილა რიყის მსხვილი და ასევე ნატეხი ქვით კირღულაბზე. ზოგ ადგილზე კედლების როგორც შიდა, ისე გარე პირზე შეინიშნება კირით ნალესობა. აგური არსად დადასტურებული არაა (ეკლესიის სიგრძეა 13,2 მ, სიგანე — 12,2 მ. ცენტრალურ ეკლესიას შესასვლელი ჰქონდა სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან (კარის ღიობი გარეთა მხრიდან 1,2 მ, შიგნითა მხრიდან 1,4 მ).

* ძეგლები აზომილია 1987 წ. ნ. ბახტაძის მიერ.



სურ. 2. ყორიანი № 1 ჩრდილო-დასავლეთიდან.

Кориани № 1 с северо-запада.


სურ. 3. ყორიანი № 1 სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

Кориани № 1 с юго-востока.



სურ. 4. ყორიანი № 2. გეგმა.

Корнани № 2. План.



ცენტრალური ეკლესია აღმოსავლეთ ნაწილში ბოლოვდება ნალისებური აბსიდით. კონქის ტრიუმფალური თალი ეყრდნობოდა შირიმისაგან გამოთლილ იმპოსტებს, შემორჩენილია მარტივად პროფილირებული მხოლოდ ერთი მათგანი ჩრდ. მხარეს. კედლები მტკიცედ არის ნაგები (სისქე — 0,9 მ). ცენტრალური ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში დატანებულია ბრტყელი ქვებით შეკრული თალიანი გასასვლელი ჩრდ. ეკლესიაში. ეს უკანასკნელი გეგმაში ოთხკუთხაა. სამხრეთის კედლის ზედა ნაწილში ორი გრძელი ქვა გამოშვერილი. ასეთივე ქვებია — შემორჩენილი ცენტრალური ეკლესიის დასავლეთისა და სამხრეთის კედლებზეც. ჩრდ. ეკლესიაში შემორჩენილია კარზე გადატარებული თალის ნაწილი, სამხ. აღმოსავლეთ კუთხეში კი თაღნარის პილასტრი.

სამხრეთის ნაგი თითქმის მთლიანადაა დარღვეული და ამოვსებულია ქვალორლით. მისი მხოლოდ მოხაზულობის აღდგენა მოხერხდა.

ჩვენი აზრით, ეკლესიის მშენებლობა ორ ეტაპად არის საგულისხმებელი. პირველად აუგიათ ცენტრალური ეკლესია (დარბაზული ტიპისა), შემდეგ კი მიუშენებიათ გვერდის, ჩრდილოეთის და სამხრეთის ეკლესიები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებოდა გარშემოსავლელით. ეკლესიის გადახურვა ისევე ყოფილა როგორც სხვა მსგავს ნაგებობებში — ცენტრალური ნაწილის სახურავი უფრო მაღალია, გვერდის ეკლესიებისა და შემაერთებული ტალანისა კი შედარებით დაბალი; თანაც ამ უკანასკნელთა გადახურვა კონსტრუქციულად ეყრდნობოდა ცენტრალური დარბაზის სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის საფასადო კედლებში დატანებულ ქვის შვერილებს და თაღნარს. საგარაუდოა, რომ ამ ქვის შვერილების ფუნქცია იყო მიშენებული თაღნარისათვის სიმტკიცის მიცემა.

არაერთხელ არის აღნიშნული, რომ სამეკლესიოანი ბაზილიკების არქიტექტურული სიახლის მიგნება და გადაწყვეტა განპირობებული იყო ქრისტიანულ კანონიკაში მომხდარი ცვლილებებით და მრევლის გამრავლებით, სადაც, ჩვენი აზრით, მშენებლობის ორი ეტაპი უნდა გამოიყოს. პირველი მიეკუთვნება ის ეკლესიები (მათ შორის ზემოთ აღწერილი ყორიანი № 1



სურ. 5. ურიახი № 2 ჩრდილო-აღმოსავ-
ლეოიდან.

Кориани № 2 с северо-востока.

სურ. 6. ურიახი № 2. ცენტრალური
ეკლესია დასავლეთიდან.

Кориани № 2. Центральная цер-
ковь с запада.





ეკლესიაც), რომლებიც თავდაპირველად დარბაზულ ნაგებობებს წარმოადგენდნენ. შემდეგ კი უშენებენ აქეთ-იქიდან ორ ეკლესიას და შემაერთებულ კორიდორს (გარშემოსავლელს). მისი დამახასიათებელი კონსტრუქციული დეტალი ცენტრალური დარბაზის სამი მხრიდან (გარდა აღმოსავლეთისა) გადახურვის დამკვერი თაღნარის მოწყობაა. რაც შეეხება სამეკლესიოანების მეორე ჯგუფს, მათი მშენებლობა ერთბაშად ხდება, წინასწარ არის ჩაფიქრებული სამივე ეკლესიის აგება. ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ გვერდის ნაგებობის და გარშემოსავლელის გადახურვის დამკვერად გვევლინება არა თაღოვანი სისტემა ცენტრალური ეკლესიის ირგვლივ, არამედ კონსოლები ამავე ეკლესიის სამივე კედელზე (გარდა აღმოსავლეთისა), რომლებიც კეთდება მშენებლობის პროცესშივე. ყოველივე ეს მიუთითებს წინასწარ გამიზნულ გვერდის სათავსების (ეკლესიების) ფუნქციურ დანიშნულებაზე. პირველი ჯგუფის ეკლესიები უფრო ადრეულია, ვიდრე მეორე ჯგუფისა.

მასასადამე, ყორიანი № 1 ეკლესიის სახით საქმე უნდა გვქონდეს პირველი ტიპის სამეკლესიოან ბაზილიკასთან.

ყორიანი № 2 პირველი ეკლესიიდან 2 კმ არის დაშორებული ჩრდილოეთით, ის შედარებით მოწესრიგებული შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა ასევე დანგრეულია (სიგრძე 15, 75 მ, სიგანე 13, 4 მ). შემორჩენილია მხოლოდ ცენტრალური ეკლესიის კედლები, სამხრეთის ეკლესიის ნაშთი და გარშემოსავლელის ნაწილი. დამზობილია აღმოსავლეთ-დასავლეთით. ის ტყეში მდებარეობს და მთლიანად ხეებით არის დაფარული. ეკლესია ნაგებია რიყის დიდრონი და ნატეხი ქვით კირლუბაზე. აღმოსავლეთის მხარეს ნაღისებრი აბსიდი აქვს, რომლის კონქიც, ისევე, როგორც პირველ ეკლესიაში, დაყრდნობილი ყოფილა შირიმის ქვისაგან გამოთლილ სადა იმპოსტებზე. საკურთხეველი ნათდებოდა აღმ. კედელში დატანებული შირიმის ქვით მოჩარჩობული სარკმლით. ცენტრალურ ეკლესიას ორი შესასვლელი ჰქონდა -- სამხრეთიდან და დასავლეთიდან (სიგანე 1,1 მ). კარი ყოფილა დატანებული ჩრდ. კედელშიც, იგი ამოუქოლავთ. კარის ღიობი ვაკრილი ყოფილა რიყის ქვის თაღიან ნიშაში. (სიგანე 2,5 მ). მეორე ასეთივე ნიშაა გვერდითვე. კონქსა და ეკლესიის გადახურვას შორის სიციხილეა. ეკლესიას ეტყობა გადაკეთების კვალი.

საერთო შთაბეჭდილებით ძველი მეტად ორიგინალურ ნაგებობას წარმოადგენს, შეიძლება ისიც ვანებისლოთ სამეკლესიოანების ჯგუფში, თუმცა განსხვავებული ნიშნებითაც ხასიათდება. ეს მომენტი უფრო აძლიერებს მისი შესწავლის სურვილს, რაც მოუხერხებელია ძველის ავარიულობის გამო.

ორივე ძველი მეტად საინტერესო არქიტექტურული ნაგებობაა და ხასიათდება ადრეული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთი დიდი ჯგუფის -- სამეკლესიოანი ბაზილიკებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

აუცილებლად მიგვაჩნია, ჯერ ერთი, მათი აყვანა სახელმწიფო აღრიცხვაზე და მეორე, რაც მთავარია, ძეგლებზე სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება.

¹ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетий. Тб., 1959 г. პ. ზაქარაია, ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, თბ., 1975; ლ. კილაშვილი, ძველი გავაზი, თბ., 1975; ლ. კილაშვილი კახეთის ჭალაქები, თბ. 1980 წ.

² გ. კილაშვილი ეპოქა — კახეთის ერთი უცნობი არქიტექტურული ძეგლის შესახებ „ძეგლის მეგობარი“ № 71, თბ., 1986; დუბის საყდარი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე 40 ბ 1988 წ.

მთური დასახლების უნიკალური ტიპი ხევსურეთში


ხევსურეთი კავკასიონის ცენტრალური ქედით ორ ნაწილადაა გაყოფილი: პირაქით და პირიქით ხევსურეთად. მაღალი ქედი თავისი უღელტეხილებით (2800—3000 მ ზღვის დონიდან), წლის მეტი ნაწილის განმავლობაში თოვლით იყო დაფარული და აღნიშნულ კუთხეებს შორის მოძრაობა წყდებოდა. იმავედროულად პირიქით ხევსურეთი თითქმის მთელი წლის მანძილზე ღია იყო მტრულად განწყობილი მეზობლების, მათ შორის პირველ რიგში, ჩეჩნებისა და ინგუშებისათვის და მათგან ხშირ თავდასხმებსაც განიცდიდა. ამრიგად, გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ხევსურეთის ცალკეული ნაწილები იზოლირებული იყვნენ ერთმანეთისაგან და მტერთან ბრძოლისას ერთმანეთის დახმარების იმედი ნაკლებად უნდა ჰქონოდათ. ამან თავის მხრივ განაპირობა პირიქითელ ხევსურთა ცხოვრების წესში ორგანიზებული სამხედრო მოქმედების ტრადიციის წამყვანი როლისა და დასახლების ფორმასა თუ საცხოვრებელში დაცვითი ფუნქციის წამყვანი მნიშვნელობა.

პირიქით ხევსურეთში ნამყოფ მოგზაურთა თუ მკვლევართა მეტი ნაწილი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ აქ სოფლები მიუვალ ადგილებზეა განლაგებული და მათ ციხესიმაგრის იერი გააჩნიათ. მართლაც, პირიქით ხევსურეთში გამოირჩევიან დასახლებები, რომლებიც კლდოვან კონცხებზე ან სხვა ძნელად მისადგომ ადგილებზეა გაშენებული.

პირიქით ხევსურეთის ერთ-ერთი უძველესი დასახლება ძველი შატილი (ქაჩუს ციხე) მდ. პირიქითის არაგვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე წამოშვერილ კონცხზე მდებარეობს (ფასადი და ჩანახატი იხ. სურ. 1, 2). ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან მას ღრმა ჭარაფები ეკვრის. ერთადერთი ვიწრო მისასვლელი აღმოსავლეთის მხარესაა. ცენტრალურ გზასთან დასახლება ძნელად მისასვლელი ბილიკითაა დაკავშირებული, ამასთან ძალზეა დაცული სახნავე-სათესი სავარგულებიდან. ამჟამად, რომ ძველ შატილში საცხოვრებელ და სამეურნეო ფუნქციებზე თავდაცვის ფუნქცია პრევალირებს. კონცხის ასათვისებლად ვარჯისი ტერიტორია ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმული კოშკური საცხოვრებლებითაა განაშენიანებული, რომელთა მასიურ კედლებს ადგილი პრაქტიკულად მიუღწეველი გაუხდიათ და დასახლებისათვის ერთიანი ციხესიმაგრის სახე მიუციათ. მართალია სტრატეგიული თვალსაზრისით ადგილი იდეალურად იყო შერჩეული, მაგრამ სამეურნეო და ყოფით საქმიანობასთან დაკავშირებულმა რიგმა სიძნელეებმა, განსაკუთრებით უწყლობამ მოსახლეობა აიძულა მიეტოვებინა დასახლება და დაბლა ჩასულიყო საცხოვრებლად.

ძველი შატილის დასახლების სტრუქტურა ერთგვაროვანია. იგი მხოლოდ კოშკური საცხოვრებლებისაგან შედგება და ერთიან. მტკიცედ შეკრულ ციხეს ჩამოგავს. ვფიქრობ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სოფლის მნიშვნელობით დღემდე რელიქტის სახით შემორჩენილი ტერმინი ციხე სწორედ მსგავსი დასახლებული პუნქტის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

ახალი შატილი ან შატილი მდ. არაგვისა (არგუნი) და შატილის წყლის




სურ. 1. ქაჩუხ ციხე. ფასადი.

Рис. 1. Замок Качу. Фасад.

სურ. 2. ქაჩუხ ციხე. ჩანახატი.


Рис. 2. Замок Качу.



შეერთების ადგილას ამართულ კლდოვან კონცხზეა აგებული ცენტრალური გზის პირას (სურ. 3 — ხედი სამხრეთიდან, სურ. 4 — ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან). სტრატეგიული თვალსაზრისით ადგილი აქაც იდეალურადაა შერჩეული. დასახლებას ორი მხრიდან მდინარე ჩამოედის, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს ქარაფებია, ზოლო დასავლეთის მხარე ერთმანეთზე მიდგმული კოშკური საცხოვრებლებითაა გამაგრებული. ეს მხარე, როგორც ადვილად მისადგომი, დამატებით ვალენის კედლით ყოფილა დაცული. როგორც ვხედავთ დასახლება აქაც ერთიანი ციხესიმაგრის სახეს ატარებს და აშკარაა, რომ მშენებელი რელიეფის თავისებურებებს სტრატეგიული თვალსაზრისით ანეითარებს, თუმცა ყოფისა და მეურნეობრივი საქმიანობისათვის ახალი ადგილი ბევრად უფრო მოსახერხებელი იყო ძველთან შედარებით. სასმელი და სამეურნეო დანიშნულებისათვის საჭირო წყალი უშუალოდ დასახლებასთანაა. შატლის წყალზე იყო გამართული წისქვილები, ახალი დასახლება საზნავ-სათე-


ხურ. 3. შატილი. ხედი სამხრეთიდან.

Рис. 3. Шатили. Вид с юга.



ხურ. 4. შატილი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

Рис. 4. Шатили. Вид с юго-востока.



სი თუ სათიბ-საფარგულებთან და საზაფხულო იაღლებთან უფრო ახლოს მდებარეობდა და, რაც მთავარია, ცენტრალური საგზაო კომუნიკაცია მის გვერდით გადიოდა.

არდოტის ხეობის დასახლებულ პუნქტებს შორის მუცო ყველაზე მიუღვომელია. საცხოვრებელი და დაცვითი ნაგებობანი აქ სამ კლდოვან ტერასაზეა განლაგებული. დასახლების სამხრეთ-დასავლეთის მისაღვომი ზღუდის კედლით ყოფილა გამაჯრებული, რომლის კარი საღამოს იკეტებოდა და დილით იღებოდა, ასე, რომ დაგვიანებული მგზავრი, მონადირე თუ მოსახლე იძულებული იყო გაღავანთან გაეთია ღამე. ძნელად თუ მოიძებნება კავკასი-

ონზე სოფელი, რომელიც შეუვალობის თვალსაზრისით მუცოს შეედრებოდეს; თუმცა აქ სხვა ფუნქციებია უგულვებელყოფილი, რამაც მოსახლეობა აიძულა მიეტოვებინა იგი. მუცოში ცხოვრების მძიმე პირობებზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მოსახლეობა იძულებული იყო ნახევარი კილომეტრით დაცილებული ხევიდან სახედრებით ეზიდა წყალი.

დასახლების სტრუქტურა მუცოში უკვე შეცვლილია. მას მთისათვის დამახასიათებელი გვიანდელი, ჩამოყალიბებული კლასიკური იერი გააჩნია. ჯერ ერთი, თვით საცხოვრებელი ნაგებობანია არაერთგვაროვანი, ამასთან საცხოვრებლად ვარგისი სამი ტერასის შესაბამისად სამ უბნადაა დაყოფილი. რაც მთავარია, თხემი, ანუ „უნეზბანი“ აღზევებულ პირიანებას (თორღვა) უკავია საცხოვრებლად. სოფლის განაპირას აგებული ამავე პიროვნების კოშკი კეტავდა ხეობაში გამაველ ცენტრალურ გზას.

მუცოდან არდოტის ხეობას აღმა აყოლილი მგზავრი სამიოდე კილომეტრის შემდეგ სოფელ არდოტში ხვდება. სოფლის ნაგებობანი მალალი მთის ფერდზეა განლაგებული და ისე მოხერხებულადაა მოფარებული ბორცვებს, რომ უცხო ადამიანი ვერც კი შეამჩნევს, ვიდრე ზედ არ წაადგება. დასახლება კოშკური საცხოვრებლებისაგან შედგება. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთის მისაღვამს ზეიადაურების კოშკი იცავდა. სოფელში მეორე კოშკიც მდგარა — მურღოვეებისა, რომელიც საძირკვლამდეა დანგრეული.

ქანჭახის წყლის შუაწელზე მდებარეობს სოფელი ძველი ხახაბო. იგი ძნელადმისადგომ კლდეებზეა შეფენილი და კოშკური საცხოვრებლებისაგან შედგება. ამ უკანასკნელთა კედლის წყობაში გამოყენებული კლდის მონატები ქვების შეფერილობა ისეა შეხამებული კლდეებთან, რომ დასახლება ახლო მანძილიდანაც ძნელად შესამჩნევია. ცხოვრების მძიმე პირობებმა მოსახლეობა აიძულა თავდასხმების საფრთხის შემციარების შემდეგ მიეტოვებინა ძველი სამოსახლო და კლდეების ძირში დასახლებულიყო, წყლის პირას. მიტოვებული სოფელი თანდათან დაინგრა. ამჟამად სოფლისაგან მხოლოდ ერთადერთი კოშკური საცხოვრებლის კედლებიდაა შემორჩენილი.

წარმოდგენილი მასალა მიგვანიშნებს, რომ პირიქითის არაგვისა და არდოტის წყლების ხეობებში, რომლებიც შედარებით ადვილი მისადგომია მტრებისათვის და იმავდროულად კავკასიონის მალალი ქედითა და მისი განშტოებებით მოწყვეტილი იყო თანამომეტაგან, გვიანამდე ფუნქციონირებდა დასახლების ტიპი, რომელიც ძირითადად თავდაცვით ფუნქციაზე იყო გამიზნული. ამ ტიპის მახასიათებელთაგან აღსანიშნავია მისი ძნელადმისადგომ ადგილებში განლაგება, შემადგენელ ნაგებობათა ერთგვაროვნება (კოშკური საცხოვრებელი, კოშკი) და განაშენიანების სიმჭიდროვე, რაც სოფელს ციხესიმაგრის სახეს აძლევდა. დასახლების ეს ტიპი თავისი პირვანდელი ფორმით მხოლოდ პირიქით ხევსურეთს შემოუნახავს. მისასაღმებელია, რომ ამ ტიპის ერთ-ერთი უნიკალური დასახლება შატილი უკვე თითქმის რესტავირირებულია. ვფიქრობ. აუცილებელია ძველი შატილისა (ქაჩუს ციხე) და მუცოს კონსერვაცია. ხლო რაც შეეხება არდოტს, აქ გასამაგრებელია ზეიადაურების კოშკი. კოშკის პირველი და მეორე სართულების ჭერა გუმბათოვანია. ანალოგიური შემთხვევა არ გვხვდება კავკასიონის სხვა კუთხეების კოშკებში და ამ თვალსაზრისით ზეიადაურების კოშკი უნიკალურია.

**გორასამარხები და ლოდოვანები ჯავახეთის
ოპროვანაში ვარკიასთან***

1985 წლის ივლისში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, არქეოლოგიის კვლევის ცენტრის, მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციის ხელმძღვანელს ოთარ ლამბაშიძეს, ჩითახევის სამეცნიერო-ბაზაზე, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეისტიკის ლაბორატორიის ვარძიის სამეცნიერო ბაზიდან, ვანის ქვაბის ექსპედიციის ხელმძღვანელმა გივი გაფრინდაშვილმა აცნობა, რომ ვარძიის მახლობლად მდ. მტკვრის ნაპირზე, ადგილ ოქროყანაში, შემთხვევით აღმოჩნდა მიწისქვეშა ნაგებობა — დარანი. დარანი თავახდლია და გადაუდებელია მისი შესწავლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ ახალმშენებლობის გამო, ადგილი შესაძლებელია ძველი დაიღუპოს.

მისივე ცნობით, ახჩიის თავიდან ნიალისაყენ მიმავალი გზის გაფართოებამ დაანგრია შუაბრინჯაოს ხანის, ასეთივე ტიპის ნაგებობა და არსებული მასალა თითქმის მთლიანად განადგურდა. უფრო მეტიც, ნიალის ველზე, მიწების ათვისების პროგრამას შეეწირა, მეცნიერთათვის კარგად ცნობილი, „ყორღანული ველის“ ლოდოვანები დუმეილაში. ამ ძეგლის კვლევას კი, თუ გავითვალისწინებთ სპეციალურ ლიტერატურას, მტკვარ — არაქსის და შუაბრინჯაოს ხანის დარნული კულტურის სამაროვანთა თუ დასახლებების სტრუქტურის შესასწავლად ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა.

ექსპედიციების ხელმძღვანელები ადგილზე გაეცენენ ძეგლთა მდგომარეობას, საქმის კურსში ჩააყენეს რაიონის ხელმძღვანელობა და ესაუბრნენ მომავალი კვლევითი სამუშაოების გეგმებზე.

აღნიშნული ცნობები ერთ საერთო მეცნიერულ პრობლემას — მეგალითური კულტურის, კერძოდ, დარან-ლოდოვანების კვლევა-ძიებას და დაცვას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ დარანი არის როგორც ქვით ნაგები, ასევე კლდეში ნაკვეთი ან კლდისა და ლოდოვანების კომბინირებით შექმნილი მიწური სადგომი, ამიტომ, მათი შესწავლა სპელეისტიკის — გამოქვაბულთმცოდნეობის დარგის ამოცანასაც შეადგენს. ერთი მნიშვნელოვანი დარანი — სახლსამყოფი ჯავახეთის სოფ. იხტილაში (ისტორიული ღრტილა) გ. გაფრინდაშვილმა შეისწავლა კიდევ. ამ დარნის გამოვლენის შედეგად ისტორიის ინსტიტუტში, ორმოცდაათიანი წლების ბოლოს, აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით დარნების კვლევა-ძიების წამოწყებაც დაისახა¹. ამ მიზნით მრავალი დარანი აღიაროცა ჯავახეთში, მაგრამ ეს სამუშაო ინსტიტუტში აღარ განხორციელებულა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, თვით ღრტილის დარნის არქეოლოგიურ შესწავლას მოგვიანებით 1966 წ. უკვე სპელეისტიკის ლაბორატორიის მიერ გ. გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით².

* წაითხულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიმდინარეობდა ვარძიის 800 წლისთავს.

მესხეთ-ჭავჭავთის ექსპედიციის წევრებს: გ. ტაბატაძეს, დ. კვიციანიძეს და სტატიის ავტორს დაგვევალა ოქროყანის დარნული ნაგებობის არქეოლოგიური გათხრა. ასე ჩაეყარა საფუძველი ჭავჭავთის ოქროყანის არქეოლოგიურ უბანს ო. ღამბაშიძის ხელმძღვანელობით. ადგილზე კონსულტაციას გვიწევდა გ. ვაფრინდაშვილი; მანვე ჩაატარა ძეგლის პირველადი არქიტექტურული აზომვა და ფოტოფიქსაცია.

ოქროყანად წოდებული ადგილი წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო საყანე ფართობს; იგი მდებარეობს სოფ. მირაშხანსა და კორისხევს შორის ვარძიის ზემოთ ოთხ კილომეტრზე.

მირაშხანი ორიოდვე წელია შეიქმნა ისტორიულ ახჩიისა და მირაშხანის ნასოფლართა გაერთიანებით. აქ აქარლები დასახლდნენ.

ასპინძის რაიონის ძველი ნასოფლარების განახლება საქართველოს მთავრობის საგანგებო ღონისძიებით სრულდება.

სოფ. მირაშხანი ერთადერთი სოფელია ვარძიის ზემოთ. იგი ძველი ტერიტორიიდან გამოვიდა და ვარძიის მიმართულებით მდ. მტკვრის მარცხენა, ვიწრო სანაპირო ზოლიც საკარმიდამოებად აითვისა, მათ შორის ოქროყანაც.

ოქროყანასთან მდ. მტკვარი ვიწრო ხეობაშია მოქცეული; ორივე სანაპირო კალთა, ჭავჭავთის პლატოდან და ერუშეთის მთიანეთიდან დაშვებული კლდის ქარაფოვან ტერასებს წარმოადგენს. თვით ოქროყანა დაბალი, შლადი კლდის ფერდობისაგან გამოყოფილია სამანქანო გზით, რომელიც მიემართება ახჩიის თავისა და ნიალის ველისაკენ, სადაც ცნობილი გორასამარხებია არქეოლოგიურად შესწავლილი.³

ოქროყანის ლოდოვანი ნაგებობა შემთხვევით აღმოჩნდა. ელექტროდენის ბოძის დასადგმელად ორმოს ამოთხრის დროს ექსკავატორმა დიდი ლოდი ამოიღო და ქვეშ ნაგებობა გამოჩნდა. მეტრნახევარი სიგანისა და ნახევარი მეტრის სიღრმის ორმოში თავაბდილი ნაგებობა და სახურავის ამოღებული ერთ-ერთი ბრტყელი ლოდი ადგილზე ხელუხლებელი დაგვხვდა* (სურ. 1, 2). იმათვეთვე აშკარა გახდა, რომ საქმე გვექონდა ჭავჭავთისათვის კარგად ცნობილი დარნული ტიპის ნაგებობასთან. მაგრამ საცხოვრისი იყო იგი თუ სამარხის დასაკრძალი კამერა და მისი ქრონოლოგია ეს არქეოლოგიურ გათხრას უნდა გადაეწყვიტა. ამ ინტერესსა და ექვს იწვევდა ისიც, რომ გორასამარხები მდ. მტკვრის სანაპირო ზოლში საერთოდ მიკვლეული არ ყოფილა. ისინი მაღალ პლატოებსა და კლდოვან ტერასებზეა დადასტურებული, ხოლო გორასამარხების ხანის დასაბუღებები საერთოდ შეუკვლეველია.³

ოქროყანის № 1 ნაგებობის არქეოლოგიური გათხრით გამოვლინდა ოთხი ლოდოვანი ფილით გადახურული მიწური ნაგებობა (სურ. 3). გადახურვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შემორჩენილი ქვა-ყრილის ფრაგმენტებით გამოირკვა, რომ ნაგებობა წარმოადგენს გორასამარხის დასაკრძალ კამერას.

გორასამარხს, ბორცვთან ერთად, არც ტრადიციული ქვის წრე შემორჩა; თუმცა ნაგებობის თავზე, მიწაში გვხვდებოდა გაბნეული მოზრდილი ქვები, რაც ეგებ დანგრეული ქვის წრის ნაშთებია.

* შეცნობითავე ზემოთ აღნიშნული ცნობისა და ძეგლის ადგილზე ვაცნობისათვის მაღლობა ეფქმის ასპინძის რაიონილიციის თანამშრომელს კაპიტან ა. ბეჭუარს.



1



2




3



4


5

6




სურ. 1-6. ოქროყანა № 1 ვორახამარში.
„ღარნის“ ტიპის დასაქრძელი კამერა.

Фото 1—6. Окронана № 1 курган.
Погребальная камера типа «Дарани».



Եփ. 7-11. № 2 և № 3 գտնահանումներ.

Фото 7—11. Курганы № 2 и № 3.



Եփ. 12. № 1 գտնահանումի. ՅՈՅՁ.

Фото 12. Курган № 1. План.



ნაგებობა განვითარებულია ზუსტად აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენ და შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა: მისი მიწური ლოდოვანი შედგება დროშისისა და კამერისაგან, მათ შორის მოზრდილი ქვების ტიხართ. თავლია დროშისის კედლები შეერთებულია კამერის თანდათან შევიწროებულ წაგრძელებულ ნაგებობასთან. მისი ყორე კედლები ფლეთილი ბრტყელზედაპირიანი ქვებითაა ამოყვანილი. კამერის გრძივი კედლები ჰერთან ვიწროვდება, გრძელი ბრტყელი ლოდებით არის გადახურული და აქა-იქ შევსებულია წვრილი ქვებით (სურ. 4, 5, 6, 12).

კამერა თითქმის ამოვსებული იყო მიწითა და ქვებით; ხოლო დროშისი ამოქოლილი მოზრდილი ქვებით. ექსკავატორს ამოუღია კამერის შესასვლელთან არსებული გადახურვის პირველი ლოდი. კამერის გათხრა მოხერხდა მხოლოდ ჰერიდან 1,78 მეტრის სიღრმეზე.

აქ უკვე, კამერის იატაკი მიწის ფენითა და არქეოლოგიური მასალით ერთი მეტრის სიმაღლეზე წყლით დაფარული აღმოჩნდა. ამ სამუშაოს გაგრძელება მომავალი წლისათვის გადაედეთ. წყლის გასაშვებად კამერის ჩრდილო-დასავლეთით ღრმა ორმო ამოვიღეთ, მაგრამ ისიც, იმავე დონეზე, შეივსო წყლით. დავიწყეთ დროშისის წინ მდინარისაკენ არხის გაკრა და თვით დროშისის განათვისუფლება ქვებისაგან. აუცილებელი ვახდა წყლის საქაჩის გამოყენებაც.

დროშოსში ტიხარის მახლობლად, ჩრდილოეთის კედელთან, ქვის წყობის სადგარზე აღმოჩნდა ჩამტვრეული შავპირილი თიხის დერგი. აქვე, ტიხართან ქვებს შორის, ადამიანისა და საქონლის ძვლები შეინიშნება. კამერაში ტიხართან შავად გამომწვარი, ვარდისფერსარჩულიანი ჭურჭლის ნამტვრევი, პატარა სასმისის ფრაგმენტები და მსხვილფეხა საქონლის ორი კბილი ამოვიდა.

გამოირკვა, რომ მდ. მტკვრის სანაპირო ზოლი არქეოლოგიური დაზვერვის გარეშე დარჩენილია; თუმცა, ორმოცდაათიანი წლებიდან ამ მხარეში და კერძოდ, ვარძიის მიდამოებში ფართო სადაზვერვო სამუშაოები ტარდებოდა.^{3 4 5}

ოქროყანის ტერიტორიისა და მიმდებარე ფერდობების დაზვერვით, № 1 სამარხის გარდა, ოქროყანაში დარჩული კულტურის კიდევ ორი № 2 და № 3 ნაგებობა გამოვლინდა. № 1 სამარხიდან ეს ნაგებობანი, ჩრდილო-დასავლეთით ორასიოდე მეტრში მდებარეობენ. გვერდი-გვერდ განლაგებულ ამ ნაგებობათა თავზე სამანქანო გზა გადის: გზაზე № 2 სამარხის ქვის წრის დასავლეთი ნაწილია შემორჩენილი. ორივე კამერა თითქმის მიწითაა ამოვსებული და აღმოსავლეთიდან დაზიანებული შესასვლელები ღიობებით არის გახსნილი სამანქანო გზის ფერდობში (სურ. 7, 8).

გაშიშვლებული ჭგუფური ლოდოვანი დავადასტურეთ სამანქანო გზის კლდოვან ზედა ფერდობში, № 1 სამარხიდან ასიოდე მეტრში სამხრეთ-დასავლეთით. მოხეტქილი ლოდოვანი ფიქალის ჩამოზვავებული გროვია ამ დაბალი კლდის ძირში. ეს შლადი კლდე, აშკარად დარჩული ლოდოვანების ადგილობრივი

სამშენებლო კარიერია. იგი მიგვანიშნებს, რომ დარჩული სამარხები ასეთივე ადგილობრივი კარიერების ბაზაზე იქმნებოდა. ეს ხელს უწყობდა დარჩული ნაგებობების მშენებლობის ლოკალური ტრადიციის განმტკიცებას მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე.

მდ. მტკვრის ხეობის ზემო წელში მრავალი გორასამარხია გამოვლენილი: ნიალის ველი, ახჩია, ვარძია, ვაღმა ქაქკარი, ბერის ხევი, ზედა თმოგვი, ბერთაყანა, კეკელეთი, ზეელი.

ამ გორასამარხთა მნიშვნელოვანი ძეგლები არქეოლოგიური გათხრებით მონოგრაფიულად შესწავლილია³⁷

კვლევის შედეგად დადასტურებულია თრიალეთური კულტურის ლოკალური ვარიანტი, სადაც წინარე მტკვარ—არაქსის კულტურის ტრადიციების შემკვიდრეობითობა დასტურდება.

აღნიშნული გორასამარხები მიეკუთვნება შუაბრინჯაოს ეპოქას და ძვ. წ. XVII—XVI სს. თარიღდება.

ამ ძეგლებისადმი ჩვენი ინტერესი მნიშვნელოვნად დაკავშირებულია დასაქრძალ კამერასთან; იგი სამშენებლო კონსტრუქციითა და შიდა სივრცით იდენტურია ფეოდალურ ეპოქაში ცნობილი დარანებსა. ყოველი სახის მიწურ ლოდოვანს — სამარხს, სამალავ — სახლსამყოფს თუ ეკლესიას ადგილობრივი ძირძველი ჭავახი მოსახლეობა დარანს უწოდებს.

შუაბრინჯაოს სამაროვნების დასაქრძალი კამერის და ფეოდალური ეპოქის დარანის ეს იდენტურობა, ისტორიული ჭავახეთის ტერიტორიაზე მათი სამშენებლო კონსტრუქციის ტრადიციის უწყვეტობაზე და შემკვიდრეობითობაზე მიუთითებს. აღნიშნული ნაგებობები „დარჩული კულტურის“ ძეგლებად მივიჩნიეთ, ხოლო ამ ტიპის დასაქრძალი კამერების შემკველ გორასამარხებს „დარჩული კულტურის“ გორასამარხები ვუწოდეთ და ჭავახ ტომთა ეთნოგენეზს დაეუკავშირეთ“.*

აღმოჩენილი გორასამარხის დასაქრძალი კამერა იდენტურია, ცნობილი დარჩული კულტურის სამარხთა კლასიკური დასაქრძალი კამერებისა.³⁷

№ 1 გორასამარხში აღმოჩენილი დამტერეული ქურჭელი ალვადგი-

* ამ საკითხით ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დავინტერესდი. წლების მანძილზე ადგილზე ვეცნობოდი ახჩია-ნიალისა და ბერთაყანის არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილ შუაბრინჯაოს ეპოქის გორასამარხებს და ფეოდალური ხანის დარანებს. პროფ. ო. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით 1962 წ. მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტში, სტუდენტთა საკავშირო კონფერენციაზე წავიკითხე მოხსენება თემაზე: „Месхетские строительные традиции и погребальные сооружения курганов“. ეს ნაშრომი უცვლელად გვიან გამოვაქვეყნე. აქ, „მესხეთი“ ძველთა გამოხრელ არქეოლოგთა შესაბამისად არ არის ნახმარი.* ჩემს პუბლიკაციაში „მესხეთი“ როგორც ზოგადი ტერმინი „სამცხე-ჯავახეთის“ სინონიმია. უფრო ადრე, 1983 წ. აღნიშნული თემის გაფართოებით დავიკავი სადიპლომო ნაშრომი — დარჩული კულტურა საქართველოში“, შევსებული მასალებით, რომელიც 1984 წ. მოხსენდა ივ ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის კვლევის ცენტრის ახალგაზრდა მეცნიერ თანაშრომელთა სესიის.



ნეთ. სახეზეა ქილა შავპრიალა თიხისა, მორუხო-მოშავო ფერის სარჩულით. ოვი ხასიათდება პირგადაშლილი მაღალი ყელით, მოყვანილობის ტანზე და ნაბრად გამობერილი მუცლით და ბრტყელი ძირით. მხარზე შემოსდევს ერთნაირი მანძილით დაშორებული რვა კოპი (სურ. 11).

მსგავსი ჭურჭელი სადა და სხვადასხვა სახის ორნამენტული მოტივით კარგადაა ცნობილი აღნიშნული გორასამარხებიდან. მისი უშუალო პარალელური მასალა არის მახლობელ ახჩიის № 2 გორასამარხში, კერძოდ № 37 და № 39 ქილებში.²

ოქროყანაში ჩვენ მიერ შესწავლილი № 1 გორასამარხი დასაკრძალა კამერის გეგმიურ-სივრცობრივი სტრუქტურით, კონსტრუქციითა და სამშენებლო მასალით, ასევე მასში მოპოვებული კერამიკული ჭურჭლის ხასიათით წარმოადგენს ახჩია-ნიალის და ზველის მიდამოებში ცნობილი შუაბრინჯაოს ხანის კულტურის ძეგლს და იგი, მსგავსად ამ რეგიონის გორასამარხებისა, უნდა მოეჭყეს მდ. მტკვრის ხეობის ზემო წელში დადასტურებული თრიალეთური კულტურის წრეში. ამავე ეპოქის კულტურის წრეს მიეკუთვნება, ზემოთ დასახელებული, ნიალის ველისაკენ მიმავალ გზაზე არსებული დარღული კულტურის დანგრეული ძეგლი. შემორჩენილია კამერის შემორკალული ფრაგმენტი დასავლეთ კედელთან (სურ. 9). ამ ნანგრევებთან უნაბავთ სხვადასხვა ჭურჭელი; ადგილის დათვალიერებით აქა-იქ მოხერხდა შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნამტვრევების შეგროვება, მხოლოდ ერთი თიხის ჭურჭელი — ბადია გადარჩენილა.*

ბადია ხასიათდება: მოყავისფრო თიხით და მოყავისფრო სარჩულით, გაბრიალებული ზედაპირით. ღარიანი მოზრდილი ცალი ყურით; მუცელგამობერიოი და შევიწროებული ქუსლიანი ძირით; ბადია პირმოყრილია. პირთან შემოუყვება ამოღარული ხაზი. მის ქვემოთ, სამსართულიანი ორნამენტული მოტივია — ქვედა და ზედა ერთნაირი ორზოლოვანი ტეხილი არშიების შუაში, ჭვარდინი ხაზების მწკრივია ნაკაწრი სტილით შესრულებული (სურ. 10).

მსგავსი ფორმის ბადიები სადა თუ ორნამენტული, ქუსლიანი თუ უქუსლო და სხვადასხვა ფერის თიხისა, ზემოთ აღნიშნულ სამაროვანთა მრავალსამარხშია დადასტურებული³ (მაგ. ახჩიის გორასამარხებში № 34 — ორნამენტული ბადია, ან სადა ფორმის № 78, ტაბ. IX; № 104, 106, სურ. 10, № 155, სურ. 16).

ორნამენტის სტილით, განლაგების ხასიათით და თვით ფორმით აღნიშნული ბადიები აშკარად ერთი ტრადიციისა და ერთი ეპოქის ნაყოფია. ამიტომ, აღნიშნული დარღული ნაგებობა და ჭურჭელი ისე, როგორც შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, იმავე შუაბრინჯაოს ეპოქით თარიღდება.

ვარძიის მიდამოების გორასამარხების არსებობა უკავშირდებოდა მაღალმთიან პლატოებსა და ტერასებს. „ოქროყანის“ გორასამარხებისა და ლოდოვანების სახით კი, პირველად დადასტურებული მათი მდებარეობა დაბლობში, უშუალოდ მდ. მტკვრის ნაპირზე. ეს საშუალებას იძლევა აღვნიშნოთ, რომ ისტორიული ჯავახეთის ამ რეგიონში, სადაც მთა და

* ბადია და ცნობები გამოგვცა სოფ. თმოგვის მცხოვრებმა ა. ზაზაძემ, რასთვისაც მადლობას ვუხდით.



ბარი უშუალოდ ერთმანეთთანაა გადაბმული, ერთიანადაა ათვისებული ბრინჯაოს ხანაში.

ბუნებრივია, ისტორიულ ჭავახეთში, ვარძიის მიდამოებში დარჩული კულტურის ძეგლების კვლევის გაგრძელება, როგორც ადრე ცნობილი გორასამარხებისა და დარჩული ველების, ასევე ოჭროყანის კახალ მიკლეული გორასამარხებისა და ლოდოვანების შესასწავლად. მით უმეტეს, რომ მიუკვლეველია ამ ეპოქის დასახლებანი; შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს დარჩული კულტურის წარმომავლობისა და ტრადიციის საკითხი. ისტორიული ჭავახეთის ტერიტორია საქართველოში „დარჩული კულტურის“ კერაა. მისი არსებობა შუაბრინჯაოს ხანაში და უფრო ადრეც უკვე დადასტურებულია შესწავლილი გორასამარხებითა და ლოდოვანებით. „დარჩულ კულტურას“ მისი მატარებელი ტომის ეთნიკურ ინტერპრეტაციამდე მივყავართ.⁶

¹ გ. გაფრინდაშვილი, მიწური სახლსამუფის საყურადღებო ნიმუში, ლიტერატურული გაზეთი, 1959, № 11.

² მისივე, კლდეში ნაკვეთი ძეგლები საქართველოში სპელეოლოგთა VII სამეცნიერო სესია, სპელეოსტიკური კვლევა-ძიებანი, 1969.

³ ო. ჭაფარიძე, ი. კვიციანი, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, მესხეთ-ჭავახეთის არქეოლოგურა ექსპედიციის მუშაობის შედეგები, 1981, გვ. 6, 7, 9.

⁴ Т. Чубинашвили, О. Гамбашидзе, Т. Татишвили, Археологические разведки южных районах Грузии (Месхет-Джавახети) в 1953—1955 гг. 4, Москва, 1957.

⁵ Г. Гаприндашвили, Пещерный ансамбль Вардзиа, Тбилиси, 1960, გვ. 21—38.

⁶ П. Г. Гаприндашвили, Месхетские строительные традиции и погребальные сооружения курганов, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოამბე, 122 № 1, აპრილი, 1986.

⁷ ო. ლაშაშვიძე, ახალი მასალები სამცხე-ჯავახეთიდან, წინა აზია-ვეფსისტურ სამყაროსთან ერთობის საკითხისათვის, ძეგლის მეგობარი, № 63, 1983.

მირაბ ძნელაძე, ნინო ხუბულური

ადრეულინისტური ხანის ახლად აღმოჩენილი ძეგლი კვემო ქართლიდან




(ახულმუგის სამაროვანი)

ქვემო ქართლში, კერძოდ, დმანისის რაიონში, 1981 წლიდან მუშაობს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მაშავერას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი კახა კახიანი), რომლის შექმნაც რაიონის ტერიტორიაზე ახალმშენებლობის ფართოდ გაშლამ — ძირითადად კი, სამელიორაციო, აგურ-ქარხნისა და ბუნებრივი გაზის ტრასისათვის განკუთვნილი ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობამ განაპირობა. ექსპედიციის მიერ მიკვლეულია და შესწავლის ობიექტი გახდა წინაქრისტიანული ხანის საქართველოს, სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის, მრავალი არქეოლოგიური ძეგლი, მათ შორის ახულმუგის ანტიკური ხანის სამაროვანიც.

ახულმუგის სამაროვანი მდებარეობს დმანისის რ-ნის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, ბოლნისის რ-ნის საზღვართან, მდ. მაშავერას ხეობაში, დმანისის ნაქალაქარის მახლობლად მდებარე ახულბუქის ხევის მარცხენა მხარეს, სამანქანო ტრასიდან — ხეობაში 2,2 კმ-ზე.

ახულმუგი მოხსენიებული აქვს ბატონიშვილ ვახუშტი ბაგრატიონს — „დმანის ქუევით არს ჩრდილოთ კერძ ხინწის ხევი. მას ქუევით დაბა ახულმუგი. აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაყვარდისა“.¹ ვახუშტის დროინდელი ტოპონიმი — „ახულმუგი“ დღეისათვის შეცვლილია „ახულბუქით“, თუმცა კი ფუძე ტოპონიმისა — „ახულ“-ი შერჩენილი აქვს. იგი, ჩვეულის აზრით, შესაძლოა, ახულეთის ძეთა საგვარეულოდან მომდინარეობდეს. „ახულეთის ძე ივანე, კახეთის დიდგვაროვანი ფეოდალი, 1124 წელს დავით აღმაშენებელმა (მის მამასთან — ახულეთთან ერთად) ანისის გამგებლად დანიშნა. დემეტრე I-ის მეფობაში კი მან გაანთავისუფლა თურქთაგან დმანისი. თამარის პირველი ისტორიკოსი მოიხსენიებს მას როგორც გამოჩენილ სარდალსა და თურქებთან მრავალი ბრძოლის მონაწილეს“.²



ახულმუგის ხეობა ერთი შეხედვითაც იქცევა ყურადღებას. მის მარჯვენა მხარეს, იქ სადაც იგი უერთდება მდ. მაშავერას, დგას ახულმუგის ერთნაწიანი დარბაზული ეკლესია, რომლის აშენების თაღაპირველ თარიღადაც ვ. ჭაფარიძე V—VI ს-ის პირველ ნახევარს გულისხმობს.³ ხეობაში შეხედვებით ფეოდალური ხანის სხვადასხვა დროინდელი ნამოსახლარების, სამაროვნებისა და აბანოს ნაშთებს.



ტაბ. 1.

Табл. 1.

აბულმუგის ადრეელინისტური სამაროვანი აღმოჩნდა 1985 წლის 23 იელისს, როდესაც მაშავერას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა შეამოწმეს ღმანისის რ-ნის მელორეობის გაერთიანების მაშინდელი ღირქე-




ტაბ. II.

Табл. II.

ტორის ზაქარია დიმიტრის ძე ოძიშვილის* ცნობა ხეობაში მშენებლების მი-

* აღსანიშნავია და სამაგალითოდ ამ პიროვნების დიდი სიყვარული და ზრუნვა საქართველოს წარსულის ამსახველ ძეგლებზე. ამ მხრივ შეიძლება განსაკუთრებული მადლიერებით მოვიხსენიოთ, აგრეთვე, დმანისის რანის სოფ. განთიადის მკვიდრი — ლევან ციხელაშვილი, რომლის თანადგომითაც რაიონში აღმოჩენილ იქნა რამდენიმე უნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლი.



ბაზ. III.

Табл. III.

ერ ქვაყუთების აღმოჩენა-დაზიანების შესახებ. შესწავლილ ფართობზე გარდა გვიანშუასაუკუნეების ღრობიანი ნაშთისა (მარანი, სახელოსნო და სხვა სათავსები) აღმოჩნდა ადრეელისისტური ხანის სამაროვნის ნაშთიც (სურ. 1).



სამაროვნის შესწავლილი ნაწილი (27 სამარხი) წარმოდგენილია ძირითადად ქვასამარხებით (სურ. 4, 6, 7, 9), მხოლოდ მე-5 და 22-ე სამარხები წარმოდგენენ ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებს, თუმცა, ქვის ფილები ორმოს გამართვამდე იღებდა მონაწილეობას.

ქვასამარხები ჩაქრილია მოჩალისფრო თიხნარ გრუნტში და წარმოადგენენ ქვის ფილებით შედგენილ, ბანურად გადახურულ, წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის ქვაყუთებს, რომელთა ნაწილებიც — სახურავი და კედლები შედგენილია, ერთი ან ორი, ქვის დაუმუშავებელი ბრტყელი ფილები-საგან, ხოლო იატაკი გამართულია მოსწორებულ თიხნარ გრუნტზე. განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს სამარხი № 22, რომელიც თავისი აღნაგობით განსხვავებულია სამაროვნის ყველა სამარხისაგან, იგი შედარებით გრძელიცაა, რაც მიცვალებულის კევრით გადახურვით უნდა ყოფილიყო განპირობებული (სურ. 2, 3). კევრიანი სამარხების აღმოჩენა იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა კი, იგი ცნობილია უკვე გვიანბრინჯაოს ხანიდანვე, როგორც საქართველოს, ისე სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებიდან.

მეტად საყურადღებოა მიცვალებულთა დაკრძალვის სამი, განსხვავებული, წესის დადასტურება: 1. მიცვალებულს კრძალავენ სამარხში მარჯვენა გვერდზე (განუსაზღვრელად სქესისა და წლოვანებისა), ხელფეხმოკეცილ ან მკვეთრად ხელფეხმოკეცილ პოზაში დამხრობილი NW — SO სიგრძივ ღერძზე (სამ NN 1 — 26), თავით NW მხარეს. ერთ შემთხვევაში (N 27) კი NO — SW სიგრძივ ღერძზე, თავით NO მხარეს. 2. მიცვალებულის ძვლებს ალაგებენ გვერდით ან თავკედელთან — ძირითადად მიცვალებულის ქვედა კიდურებთან ან ნაწილობრივ მასზედაც (სურ. 6). მისი პოზა და დამხრობა არ დგინდება. როგორც ჩანს, სამარხის მეორად გამოყენებასთან გვაქვს საქმე. 3. მიცვალებულის, ერთ შემთხვევაში 2 მიცვალებულისა, ნაკლული ძვლები დალაგებულია სამარხის სახურავზე (სურ. 7). მათი დაკრძალვის პოზა და დამხრობა არ დგინდება. დაკრძალულთათვის ინვენტარიც არ ჩაუყოლებიათ. ჩვენის აზრით, აქაც სამარხის მეორად გამოყენებასთან გვაქვს საქმე, მხოლოდ წინასაგან განსხვავებით თავდაპირველად დაკრძალულის ძვლები სამარხიდან ამოიღეს და შემდეგ ახლადდაკრძალულისათვის გამართულ სახურავზე დაალაგეს. ამით უნდა აიხსნას, ალბათ, სახურავზე დაკრძალული — დაღებულა ძვლების ნაკლებობაც.

27 სამარხში (სამარხზეც) დაკრძალული აღმოჩნდა 35 ინდივიდი: ბავშვი — 11 (1—12 წლამდე), ქალი — 7 (18—50 წლამდე), მამაკაცი — 17 (25—60 წლამდე). სქესი და წლოვანება განსაზღვრა ანთროპოლოგმა ნანა კილაძემ.

სამაროვნის შესწავლილ ფართობზე გამოვლინდა შემდეგი სახის არქეოლოგიური მასალა — თიხის კურკელი როგორც წესი, ყველა სამარხში იქნა დადასტურებული: ხელადა, ღოჭი, ღერგი, ჯამი, ფიალა, სამარილე. არის მოხატული თიხის კურკელიც, სამეურნეო და საბრძოლო იარაღები: დანა, ცული, შუბისპარი, სალესი ქვა; სამკაული: სამაჯური (რკინისა და ბრინჯაოსი), საკინძი (რკინისა და რკინის ვერცხლისთავიანი), სასაფეთქლე რგოლები (ვერცხლისა და ბრინჯაოსი), ვერცხლის ნახევარმთავრისებრი გულსაკიდი, მძივები (სარდიონის, გიშრის, ვერცხლის, მინისა და პასტის). მოპოვებულმა სა-

მარხელმა მასალამ გვიჩვენა, რომ აბულმუგის სამაროვნის შესწავლილი ნაწილი განკუთვნილია დაბალი და საშუალო სოციალურ ფენათა წარმომადგენელთათვის. აბულმუგის სამაროვნის არსებობა შეიძლება ზოგადად მივაკუთვნოთ იმ პერიოდს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იქმნება დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანება — ქართლის (იბერიის) სამეფო. აბულმუგის სამაროვანზე დაკრძალულთათვის თან ჩატანებული ინვენტარი დიდ მსგავსებას პოულობს ძვ. წ. IV ს. ბოლოსა და III ს. დროინდელი ძეგლების მასალებთან (ღრმახევისთავი, გომარეთი, ახალსოფელი, კუმისი, თეთრიწყარო, კუშჩი, კამარახევი, მუხადგვერდი, ნატახტარი, ქოთიში, ეცო, შავსაყდრები, დაფნარი და სხვ.). ნაწილობრივად მსგავსი მასალები სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზედაცაა აღმოჩენილი.

ამრიგად, აბულმუგის ადრეელინისტური ხანის სამაროვანი კიდევ ერთი ახლად აღმოჩენილი ძეგლია, რომელსაც გარკვეული სინათლე შეაქვს ქართლის სამეფოს არსებობის პერიოდის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და დემოგრაფიული სიტუაციის წარმოსადგენად.

ზემოთ აღინიშნა, რომ აბულმუგის ხევი მდიდარია როგორც ბუნებრივი, ისე ისტორიული ძეგლებით. უკვე რამდენიმე წელია რაც იქ ინტენსიურ საძიებო სამუშაოებს აწარმოებენ გეოლოგებიც. ამაზე კარგის მეტი რა გვეთქმის (ისწავლება ჩვენი მიწა-წყლის ფიზიკური გარემო) თუ, რა თქმა უნდა, არ შესრულდა „ბოროტი“ თუ „კეთილი“ ენების მიერ ნათქვამი — „ამ ხეობასაც მალე იგივე უნდა დაემართოს რაც კაზრეთის მიდამოებსო“. როგორც იტყვიან — „ღმერთმა დაგვიფაროს ამ უბედურებისაგან“.

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 315.

2 ქსე, I, თბ., 1975.

3 ვ. ჯაფარიძე, ადრეული შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან. თბ., 1982. გვ. 31—32; 3, 81.



**დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური
ხანის ქანდაკების ნიმუშები**

დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის ნაქალაქარებზე აღმოჩენილ მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მასალათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თიხისა თუ ბრინჯაოს მცირე ქანდაკებები, რომელთა შესწავლას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის საქალაქო კულტურის ისტორიისათვის. წინამდებარე ნაშრომში განხილულია დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ნაქალაქარებზე სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ქანდაკების ნიმუშები, რომლებიც სიუჟეტის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: საკულტო და პორტრეტულ სკულპტურად.

ისევე როგორც წინა ხანებში, ახ. წ. პირველ საუკუნეებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საკულტო ქანდაკებას. II ს. ზოგიერთ ქალაქში, უკვე აღმართული ყოფილა მთავარი ღვთაებების ქანდაკებები. რამდენადმე ამას მოწმობს არიანეს ცნობა ფასიანელი ქალღმერთის ქანდაკების შესახებ (Arr, PPE, 9), რომელიც ამავე დროს მკათიო მაჩვენებელია მონუმენტური სკულპტურის არსებობისა. შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია ამ ჯგუფის მცირე ქანდაკებები, რომლებიც წარმოდგენილია უპირატესად ბრინჯაოსაგან ჩამოსხული სხვადასხვა გამოსახულებებით. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს ბიკვინტის დიონისეს ქანდაკება (სურ 1), რომელიც II-III სს. კულტურულ ფენაშია აღმოჩენილი.¹ დიონისეს ფიგურა მოცემულია შიშველ. მჭდომარე მღვდომარეობაში, მარცხენა ფეხი მორთხული აქვს, ხოლო მარჯვენა წინ გამოწეული. გამოსახულების მარცხენა მკლავი მოხრილია და ყურძნის მტევანი, რომელიც ხელში უკავია, მკერდთანაა მიტანილი. იდაყვში ოდნავ მოხრილი მარჯვენა ხელი წინაა გამოწეული. გამოსახულება იყურება პირდაპირ, ოდნავ მობრუნებული სახით. აღსანიშნავია, რომ ჩვენში დიონისეს გამოსახულებანი პირველად ელინისტურ ეპოქაში ჩნდება. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია დიონისესა და მისი წრის პერსონაჟების გამომხატველი ნიღბების ფრაგმენტები, რომლებიც ისევე როგორც ელინისტური სამყაროს სხვა რეგიონებიდან მომდინარე დიონისეს გამოსახულებანი დახვეწილი პროპორციებით გამოირჩევა და მათი თანამგზავრებიც უკსიმალურად არიან წარმოდგენილნი. ახ. წ. პირველი საუკუნიდან დიონისეს კულტის პოპულარობის დაცემასთან დაკავშირებით, მეღვინეობა-მევეხაზეობის მფარველი ღვთაების გამოსახულებათა რიცხვმა მნიშვნელოვნად იკლო. ამავე დროს მისი გამოსახულებებიც ნაკლებად დახვეწილი და სიუჟეტურადაც მარტივია. ასე მაგ. თრაკიაში, სადაც დიონისური მისტერიები ყველაზე უფრო პოპულარული იყო, რომაულ ხანაში დიონისე გამოსახულია მხოლოდ კვრთხითა და თასით ხელში. ზოგჯერ კი იგი წარმოდგენილია პერაკლესთან, ზევსთან ან არესთან ერთად. ბიკვინტური დიონისეც მხოლოდ ერთი ატრიბუტითაა წარმოდგენილი — ყურძნის მტევნით. ფორმითაც დაუბვეწავია. ზურგის მხრიდან შეიმჩნევა არაპროპორციული ნაკვთები. მიუხედავად ამისა, „მჭდომარე დიონისე“ საკმაოდ ცოცხალი და დინამიურია, რაც



სურ. 1. დიონისეს ქანდაკება. ბიკვინტა.

სურ. 2. მეთევზის ქანდაკება. ბიკვინტა.

Скульптура Диониса. Пицунда.

Скульптура рыбака. Пицунда.

დამახასიათებელია ელინისტური ხანის „დიონისეებისათვის“. ბიკვინტური დიონისე ელინისტური ეპოქის დიონისეს გამოსახულებებთან ახლო დგას ასევე ფორმისა თუ სიუჟეტის სხვა დეტალებითაც. სახელდობრ, სხეულის ნაწილების შესრულების მანერითა და ატრიბუტაციის მხრივ იგი სიახლოვეს იჩენს ტარსუსის დიონისე-ბიკვების ყურძნით ხელში გამოსახულ ქანდაკებებთან. ბიკვინტური დიონისე სიუჟეტურად ახლო დგას, აგრეთვე ძვ. წ. IV-III სს. მირმეკონის თიხის რელიეფზე გამოსახულ შიშველ, მჭდომარე დიონისესთან.²


ამგვარად, ბიკვინტური დიონისეს ქანდაკება თვალსაჩინო ნიმუშია ელინისტური ხელოვნების ტრადიციების გაგრძელებისა თუ აღორძინებისა გვიანანტიკურ ხანაში.

საკულტო ქანდაკების საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს, ასევე ბიკვინტაშივე, II-III სს. ფენაში აღმოჩენილი ე. წ. „მეთევზის“ ქანდაკება,³ (სურ. 2). მებაღური ფეხშიშველია და დისკოსებრ საგანზე დგას. მარჯვენა ხელით მრგვალი, სალტიანი კალათა უჭირავს, მარცხენათი — მხარზე გადაკიდებული ბადის სადავე. თავზე შვერილი აქვს. სხეულის ნაწილები პროპორციულია,

4. ძეგლის მეგობარი № 1 (1989).

სურ. 3. ნახევრადფანტასტიკური მამაკაცის გამოსახულება (სოხუმი).

Скульптура изображения полу-фантастического мужчины (Сухуми).



სურ. 4. ქალის სკულპტურული ბუსტი.

Бюст женщины (Сухуми).



ხოლო პირისახის ნაკვთები გამოხატულია თითქმის რეალისტურად, ნორმალურ პროპორციებში. ყოველივე ეს, ფიგურას მონუმენტური ქანდაკების იერს ანიჭებს. რაც შეეხება ქანდაკების ენობრივ მხარეს, იგი სამეურნეო საყოფაცხოვრებო სიუჟეტურ სკულპტურათა წრეს განეკუთვნება. ქანდაკებას ზუსტი და პირდაპირი ანალოგია არ მოეპოვება, მაგრამ მის ცალკეულ ნიმუშებს შეიძლება ზოგიერთი პარალელი მოეძებნოს. ასე მაგ. სახის ნაკვთების ზოგიერთი დეტალით, ის რამდენადმე ემსგავსება მირამეიონის „ვაკურის“ სკულპტურულ გამოსახულებას⁴ და ტანისის მჭლომარე მამაკაცის ქანდაკებას,⁵ რომლებიც შესაბამისად II-III სს. თარიღდება. ითვალისწინება და თავზე შვერილის გამოსახულებით, იგი გენეტურად უკავშირდება კავკასიის ადრერკინის ხანის ანთროპომორფული პლასტიკის იმ ჯგუფს, რომლებ-



საც აღნიშნული ნიშნები ახასიათებთ, თუმცა აშკარად განსხვავდება ფიგურული ნიშნების რიოდის ძეგლებისაგან დამუშავების მანერითა და მაღალი პროფესიული დონის ნიშნებით. კონკრეტულად განსხვავება არის, აგრეთვე ჩაქმულობასა და პირისახის „გამომეტყველებაში“, რომლებიც შესრულებულია ახალი დროის მხატვრულ-სტილისტური ნორმების მიხედვით. ამრიგად, ჩანს, ერთი მხრივ, ქანდაკების ძველი, ტრადიციული ნიშნების მდგრადობა და განვითარება, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი ეპოქის შესაბამისი სტილისტური ელემენტები.

მცირერიცხოვანი, მაგრამ საინტერესო ნიმუშებით არის წარმოდგენილი ტერაკოტული საკულტო სკულპტურებიც, რომელთა შორის აღსანიშნავია სებასტოპოლისში აღმოჩენილი ნახევრად ფანტასტიკური მამაკაცის გამოსახულება⁸ (სურ. 3). ფიგურა ძალზე დისპროპორციულია—თავი ტანთან შედარებით დიდია, წელზე საკმაოდ დაგრძელებული, ხოლო ზედა კიდურები სქელი და მასიურია. სახის ნაკვთები სქემატურია და კარიკატურულად, უტრირებულადაა გადმოცემული. ფიგურას აქვს არაბუნებრივად დიდი ცხვირი, რომელიც ქვემოთკენ ბოლოვდება ფართო, სამკუთხა კრილით, პარიზონტალურად ჩამოჭრილი პირი, ვიწრო სამკუთხა ფორმის ნიკაბი და მაღლა აზიდული წარბები. ყოველივე ეს გროტესკულ სახეს აძლევს მას.

მთელი რიგი ნიშნებით (ტანის წაგრძელებული პროპორციები, მაღლა აზიდული მორკალული წარბები და მოკლე სქელი ხელები) სებასტოპოლისის გროტესკი ანალოგიურია ფანაგორიისა და მირმეკონის ზოგიერთი გროტესკისა, რომლებიც II-III სს. თარიღდება⁹. სებასტოპოლისის ქანდაკებაც ამავე საუკუნეებს უნდა განეკუთვნოს. აღსანიშნავია, რომ სებასტოპოლისის გროტესკი, ბოსფორული სკულპტურების მსგავსად, კულტის მსახურს განასახიერებდა და რომელიდაც ადგილობრივ პოპულარულ ღვთაებას უნდა უკავშირდებოდეს.

რაც შეეხება პორტრეტულ სკულპტურას, იგი დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი. ესაა 1957 წ. სოხუმის ყურის ფსკერზე შემთხვევით ნაპოვნი ქალის სკულპტურული ბიუსტი (სურ. 4), რომელიც გამოკვეთილია ადგილობრივი ჯიშის კირქვისაგან. გამოსახულება ანთროპომორფულია და ის საფლავის ქვას უნდა წარმოადგენდეს.⁸ დედაკაცის პირისახის ნაკვთები გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ტრაფარეტულობითა და სქემატიზმითაა შესრულებული: სახე შებღთან ერთად დამბრტყელებულია და ნიკაპისკენ ვიწროვდება, ტუჩები გამოსახულია პარიზონტალური კრილი ხაზებით, ცხვირი ქვემოთკენ დაგრძელებულია. წვრილ თვლებს გარშემო შემოუყვება ოვალური მოყვანილობის ქუთუთოები, გუგა გამოხატულია კონუსური ფორმის წერტილოვანი ღრმულებით. საკმაოდ პროპორციულად არის გამოკვეთილი მხრები და ყელი. ნახევარფიგურას აქვია გულამოღებული კაბა, რომელიც მთლიან, დაუნაწევრებელ მასალაა გამოხატული. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ანთროპომორფული ქანდაკებები გვხვდება, აგრეთვე მცირე აზიის ბერძნულ ნეკროპოლებზე და პომპეიშიც.⁹ განსაკუთრებით ფართოდაა იგი გავრცელებული ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ქალაქებში, რომელთა ზოგიერთ ნიმუშს რამდენადმე ემსგავსება კიდევ სოხუმში აღმოჩენილი ქალის პორტრეტი. ასე მაგ., პანტიკაპეონიდან მომდინარე საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ქალის პორტრეტი თვა-



ლების ფორმით; ცხვირისა და პირის მოყვანილობით ახლო დგას სკულპტურასთან. მხატვრულ სტილისტური თვალსაზრისით, სებასტოპოლისის ქანდაკება ემსგავსება ქერსონესში აღმოჩენილ ქალის ანთროპომორფულ გამოსახულებას, რომელიც ახ. წ. II-ს. თარიღდება. აღწერილი ქანდაკების მსგავსია, აგრეთვე ახ. წ. III ს. ინტერკოზის საფლავის ქვაზე გამოსახული ქალის პორტრეტი.¹⁰ ზემოთ მოტანილი პარალელური მასალების გათვალისწინებისა და სტილისტური მონაცემების მიხედვით, სოხუმის ანთროპომორფული ქანდაკება ახ. წ. II-III სს. უნდა დათარიღდეს.

საინტერესოა საკითხი სოხუმის ანთროპომორფული საფლავის ქვის ეთნიკური კუთვნილებისა და მისი წარმომავლობის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში ბოსფორული ანთროპომორფული ქანდაკების წარმომავლობის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: მკვლევართა ერთი ნაწილი, მას ადგილობრივ წარმოშობისად მიიჩნევს¹¹, ხოლო მეორე ნაწილი ელინურ მოვლენად თვლის და ბოსფორის ქალაქის მოსახლეობას მიაკუთვნებს.¹² ამ უკანასკნელ მოსაზრებას დღეისათვის მრავალი მკვლევარი იზიარებს.¹³ მართალია, ჭერჭერობით ძალზე ძნელია მხოლოდ ერთი ეგზემპლარის მიხედვით რაიმე კონკრეტული დასკვნის გამოტანა, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოხუმის ანთროპომორფული საფლავის ქვა, ქალაქის ელინიზებული თუ ბერძნული მოსახლეობის რიგით წარმომადგენელს უნდა ეკუთვნოდეს.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის ქალაქებში საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა საეულტო და პორტრეტული სკულპტურა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთი მხრივ ძველი, ტრადიციული ფორმებისა თუ ნიშნების შენარჩუნება-განვითარება, ხოლო მეორე მხრივ პრიმიტიულობა და სქემატიზმი, რაც დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქების ღრმა პროვინციულობითა და რომაული კულტურის რადიაციის ზედაპირულობით აიხსნება.

1. რ. რამიშვილი — ბრინჯაოს ორი ქანდაკება ბიკენტიდან. — შსკ: 1963, გვ. 134; დღი პერიოდი I. თბ., 1975, გვ. 119. ტაბ. 14, 1.

2. М. А. Наливкина — Терракоты Мармекия и Тиритака. МИА № 15, 1952, ст. 334.

3. რ. რამიშვილი — დასახლებული ნაშრომი გვ. 119.

4. В. И. Денисова — Керапластика Боспора. Л., 1981, ст. 108.

5. Т. М. Арсеньева — Новые находки италийских и западноримских изделий из Танаиса. — Проблемы античной культуры. М., 1986, ст. 133, рис. 4.

6. М. М. Трапш — Труды II. Сухуми, 1969, ст. 353.

7. М. М. Кобылина — Терракотовые статуетки Пантикапей и Фанагории. М., 1971, ст. 163—164, табл. XXXVII, 1.

8. М. М. Трапш — Труды II. Сухуми, 1969, ст. 355, рис. 51.

9. A. Mau. Pompeji in Leben und Kunst. Leipzig 1900. გვ. 411, სურ. 242.

10. Carnuntum Jahrbuch 1985. Wien 1986, გვ. 137. სურ. 11.

11. А. П. Иванова — Боспорские антропоморфные надгробия. — СА, XIII, 1965, ст. 46; В. Ф. Гандукевич — Некрополи некоторых боспорских родов. — МИА, 69, 1959, ст. 178—179.

12. В. Д. Блаватский — Пантикапей. М., 1964, ст. 83—84.

Л. Колесникова — Кому принадлежали антропоморфные надгробия Херсонеса? — СА № 3, 1973, ст. 43—45.

13. Н. В. Молева — К вопросу об этнической принадлежности и происхождении Боспорских антропоморфных надгробий. — Проблемы античной истории и культуры. Ереван, II, 1979, ст. 367.



მეტალურგიული წარმოების ნაშთები გალის რაიონის სოფელ ფიჩორიდან

უკანასკნელ წლებში, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნ. კანდ. მ. ბარამიძე), ინტენსიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა მრავალი არქეოლოგიური ძეგლი, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე უცნობი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში. მათ შორის თავისი მასშტაბურობით ყურადღებას იპყრობს გალის რაიონის სოფ. ფიჩორის ნამოსახლართა კომპლექსი, სადაც ყველაზე აღრეული კულტურული ფენები აღმოჩნდა ცენტრალურ ბორცვზე (დაწყებული ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულიდან, ვიღრე ძვ. წ. IV ს-მდე).

მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად ცენტრალურ ნამოსახლარზე გამოიყო 8 კულტურული ფენა.¹ გამოვლინდა მეტად საინტერესო მასალა, რომელთა შორის განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს VIII, VII, VI და V ფენებში მიკვლეული მეტალურგიულ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ნივთები; საქშენი მილები, სხვადასხვა ფორმის ყუამილიანა ცულების, თოხებისა და კომბინირებული იარაღების ყალიბები. ამ საინტერესო მონაპოვართან ერთად მონაზეინსა და VIII, VII VI ფენებში აღმოჩნდა ბრინჯაოს 8 თოხი, რომელიც, როგორც ჩანს, აქვე მიკვლეულ ყალიბებშია ჩამოსხმული, რასაც ადასტურებს მათი ტიპოლოგიური შედარება და თოხის კიციხეებში შემორჩენილი ბრინჯაოს ნაღვენთები.


ყუამილიანი ცულის ყალიბები გვხვდება მხოლოდ VIII—VII ფენებში (ტაბ. I. 11—13). ისინი ყველა ერთი ტიპისაა, ახასიათებთ სწორი შეეტილი ტანი და მოკლე ყუა. ყუამილიანი ცულების (ვეგულისხმობთ ყალიბების მიხედვით), სიგრძე მერყეობს 14—15 სმ შორის, ხოლო ტანის სიგრძე 4—5 სმ აღწევს. მათი ყუის სიგრძეა 4—6 სმ, ხოლო სამუშაო პირის სიფართე 4,5—5 სმ. ყველა ყუამილიანი ცული ხასიათდება გორდა ასიმეტრიული პირით, რითაც ისინი გარკვეულ მსგავსებას ავლენენ კოლხური ცულის პროტოტიპებთან და კოლხურ ცულებთან. მათთვის დამახასიათებელია ყუის თავსა და ბოლოში გამოყვანილი რელიეფური ზოლები.

ფორმის მიხედვით მოხსენიებული ცულების ყალიბები ახლოს დგას სოფ. განთაიდის (ყარა—დერეს)², ისპანის³, კემბულთას, ფასკუს⁴, სვანეთისა და კრასნოდარის მუზეუმებში დაცულ ყუამილიან ცულებთან.

ასევე მეტად საყურადღებო იყო ცენტრალური ბორცვის პროტოკოლხური პერიოდის ფენებში აღმოჩენილი თიხისაგან დამზადებული თოხის ყალიბები და ბრინჯაოს თოხები (ტაბ. II).


1982 წელს მონაზეინ ფენაში გამოვლინდა ურეკელი ტიპის მხრებ-მომრგვალებული სამკუთხა პირიანი თოხი (ტაბ. II—1). მისი სიგრძე 14 სმ აღწევს. მასაც შიდა მხარეს, ურეკის თოხის მსგავსად, ვერტიკალურად მიუყვება რელიეფური ზოლი.

1986-88 წლებში ნამოსახლარის VIII, VII და VI კულტურულ ფენებში მიკვლეულ იქნა დღემდე სრულიად უცნობი ფორმის ბრინჯაოს თოხები (7




Շձ. I.

Табл. I.



Շձ. II.

Табл. II.



Շձ. III.

Табл. III.

Շձ. IV.

Табл. IV.



ცალი). ყველა ისინი ერთი ტიპისაა, სამკუთხაპირიანი და მხრებმომრგვალებული; სატარე ზერელი დატანილი აქვს ტანის ყველაზე განიერ ნაწილზე; ურეკის ტიპის თოხთან შედარებით ახასიათებთ მოკლე და ფართო ტანი, მათი სიგრძე მერყეობს 11—13 სმ შორის.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე სამკუთხაპირიანი თოხების აღმოჩენა იმიტომაც არის საყურადღებო, რომ დღემდე ისინი გვხვდებოდა მხოლოდ შემთხვევით მონაპოვარ განძებში გურია—აჭარის ტერიტორიაზე.

ფიჩორის მონაპოვართ ცხადი ხდება, რომ სამკუთხა პირიანი თოხები გავრცელებული ყოფილა იმდროინდელი კოლხეთის მთელ შავიზღვისპირა ზოლში.

ცენტრალური ნამოსახლარის VIII, VII, V ფენებში აღმოჩნდა ორმხრივი და ოთხმხრივი ნაკლული კომბინირებული ყალიბები (ტაბ. III). ერთ-ერთი მათგანი შედარებით სრული სახითაა შემორჩენილი (ტაბ. III—1—4). იგი ოთხმაგია, თავისკენ ოდნავ წაწვეტებული და თავნაკლული.¹ წახნაგზე გამოყვანილია სხვადასხვა იარაღების დასამზადებელი ყალიბები. ერთი მათგანი ტოლფერდა სამკუთხედისმაგვარ ბრტყელ სატევარს ეკუთვნის (ტაბ. III—1), მეორე წახნაგზე, მის საპირისპირო მხარეს, გაურკვეველი დანიშნულების ნივთია ამოკეთილი (ტაბ. III—2), მას ოვალური ფორმის თავი ბოლოსკენ შევიწროვებული აქვს. მსუბუქად დაშვებული ვიწრო მხრები ყალიბის განიერ ნაწილისაკენ სიმეტრიულად ფართოვდება. პატარა წახნაგებზე ორ მოპირდაპირე მხარეს დატანილი აქვს ვიწრო მხრებდაშვებული შუბისპირი, რომლის მასრის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი და პატარა კოვზის (ციცხვის მაგვარი ნივთი).

დანარჩენი კომბინირებული ყალიბები იმდენად ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, რომ ძნელი ხდება მასზე ჩამოსხმული ნივთების ტიპოლოგიური დანიშნულების გარკვევა.

აქ აღმოჩენილ სხვა ნივთებიდან ყურადღებას იპყრობს საქშენი მილები, რომლებიც ძირითადად გამოვლინდა VIII—VII ფენებში (ტაბ. IV). ისინი ნაკლული სახითაა შემორჩენილი და მილისებური მოყვანილობისაა.

ამრიგად, როგორც დაგინახეთ ცენტრალურ ბორცვზე გამოვლენილია სრულიად უნიკალური ნივთები. ამ აღმოჩენებით ცხადი ხდება, რომ უძველეს პროტოკოლხურ პერიოდში ენგურის ქვემო წელზე, კერძოდ დღევანდელ სოფ. ფიჩორის ტერიტორიაზე, არსებობდა მძლავრი მეტალურგიული კერა.

სამუშაოები მომავალშიც გაგრძელდება, რაც უფრო ნათელს მოფენს ძველის ნამდვილ ხასიათს.

¹ მ. ბარამიძე, ლ. ჯიბლაძე, ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვის არქეოლოგიური მონაპოვარი (წინასწარული შედეგები) იბეჭდება ეურნალ „მაცნეში“.

² ალ. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი; 1974 წ. გვ. 43, ტაბ. VII-7.

³ Т. Микеладзе, Д. Хахутаншвили. Древне Колхидское поселение Намчедури, Тб., 1985, таб. 48.

⁴ МАК, выпуск VIII, 1900, таб. VIII 5 (უვაროვას კოლექცია).

⁵ შ. ჩართოლანი, სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1977 წ. ტაბ. XII—1, 2, 3; ტაბ. XIII—2.

⁶ Иессен А. Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века, материалы и исследования по археологии СССР, 23, М.—Л., 1951, стр. 97, рис. 26а.



მიცვალებულის კულტან დაკავშირებული ერთი რიტუალის სემანტიკა

მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. წიწამურის მიდამოებში, ე.წ. არაგვის მარცხენა ნაპირზე გათხარა ყორღანი (სამარხი № 13), რომელიც მშენებლობისას ნაწილობრივ იყო დაზიანებული. ყორღანის თავზე გამართული საეარაუდო ყრილი დღეისათვის აღარ არსებობს. გათხრებისას გამოვლინდა ქვაყრილი, რომელიც სამარხის საზღვრების დადგენის საშუალებას იძლევა.

სამარხ კამერას შემოუყვება ორრიგად დაწყობილი რიყის დიდი ქვებით შედგენილი კრომლესი, რომლის დიამეტრი 16 მეტრს უდრის. წრის სიგანე 5,7 მეტრია. უშუალოდ კამერის თავზე 6 მეტრი დიამეტრის წრიული ქვაყრილია გამართული. დასაკრძალავი კამერა წარმოადგენს ოთხკუთხა, კუთხეებში მორგვალელებელ ორმოს, რომლის ზომებია 2,4×2,5 მ. კამერის სიმაღლე 3 მეტრია. კამერა მთლიანად შევსებული იყო რიყის მოზრდილი ქვებით. კამერის SW და SO კუთხეებში შეკრულია 0,5×0,7 მ. ფართობის ორი ნიშა, რომლებშიც შეწყობილია ხარის თავ-ფეხი (სურ. 1). ძირითადად კამერის სამხრეთ-დასავლეთ კედელში გამოკრულია 2,1 მ. სიგრძის, 0,6 მ. სიგანის და 1 მ. სიმაღლის თახჩა, სადაც დაწყობილია თიხის კურკელი და მსხვილფეხა საჭონლის ნეკნების და ფეხის ძვლები.

სამარხი კამერის კედლებზე აშკარად შეიმჩნევა ფოსოები ძელებისათვის, რომლებიც, ალბათ, გადახურვის კონსტრუქციასთანაა დაკავშირებული.

სამარხში ჩაუსვენებიათ ერთი ძლიერ ხელ-ფეხ მოკეცილი მიცვალებული — მარჯვენა გვერდზე, თავით SO მხარეს. მიცვალებული დასვენებულია ცხვარზე. მიცვალებულის დაკრძალვამდე გარკვეული რიტუალი ჩანს შესრულებული. შეწირული ცხვარი ბრინჯაოს სატევრით დაუკლავთ, რაზეც მიუთითებს ცხვრის კისრის მალეში ჩატოვებული სატევარი (სურ. 2); ჭერ ცხვარი დაუსვენებიათ მარცხენა გვერდზე, ყელთან და ცხვირთან ობსიდიანის ანატეციები დაუწყვიათ, შემდეგ ზედ დაუკრძალავთ მდიდრულად მორთული მიცვალებული. ცხვრის კეფასთან დაწყობილია მსხვილფეხა საჭონლის, ხოლო მიცვალებულის ზურგს უკან წვრილფეხა საჭონლის ძვლები. მიცვალებულის ფეხების არეში, სამარხი კამერის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დადასტურდა ცეცხლის კვალი.

სამარხი, ზოგადად, შეუბრინჯაოს ხანით თარიღდება.

სამარხის აღნაგობა და დაკრძალვის ორიგინალური რიტუალი საინტერესო მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას იძლევა. სამარხის მონოგრაფიული შესწავლის შედეგები უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება. ამჯერად მხოლოდ დაკრძალვის რიტუალზე, კერძოდ, მიცვალებულის ცხვარზე დაკრძალვის ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

მიცვალებულის ცხვარზე დაკრძალვის ან სამარხში ცხვრის ჩატანების ფაქტები, საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე არცთუ ისე დიდი რაოდენობითაა დადასტურებული. დაკრძალვის ეს რიტუალი ძირითადად „დიდი მცხეთის“ ტერიტორიიდანაა ცნო-



ბილი — წეროვნის № 47 სამარხი, ნატახტარი — 111 სამაროვნის № 28 სამარხი და ნატახტარი — I სამაროვნაზე გათხრული კატაკომბური ტიპის სამარხები (ვ. ნიკოლაიშვილის და ვ. საღრაძის ცნობა).

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი რიტუალი იშვიათია, გარკვეული მოსაზრების გამოთქმა დღესვე შეიძლება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს სხვადასხვა ხალხების ზღაპრებში დადასტურებული ცხვართან (ერკემალთან) დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები.

ქართული ხალხური ზღაპრის — „ფაშუნდის“ მიხედვით გმირი ქვესკნელში დევის სახლში მოხვდა, სადაც ერთ ოთახში ორი ცხვარი იყო დაბმული — შავი და თეთრი. თუ თეთრს შეაჯდებოდა ქვეცას წაიდიოდა, თუ შავს — იქვე დარჩებოდა (5. გვ. 62).

მსგავსი სიუჟეტისაა ერთ-ერთი ქართული ხალხური ზღაპარი: შავ-თემურაზი ქვესკნელში ჩავარდა, რადგან მიწის ზედაპირზე ამოსვლისას ძმებმა თოკი გადაუტრეს. ცოლმა ასწავლა: იქ სამ თხას (ერკემალს) ნახავ: თეთრს, შავს, წითელს; თეთრს შეაჯდები, ზევით ამოგიყვანს, თუ წითელს — აქეთ-იქით გატარებს, თუ შავს — მეორე ქვესკნელში ჩაგიშვებსო. გმირმა მხოლოდ შავი თხის (ერკემალის) დაქერა შესძლო და მეორე ქვესკნელში ჩაეშვა (4. გვ. 94-95).

„ქართული ზღაპრის „ნაბოლარას“ გმირი კის საშუალებით ქვესკნელში ხვდება. ცოლმა ჩასძახა, როდესაც სამი თხა — ლურჯი, წითელი და შავი — გამოივლის, წითელს მოკიდე ხელი და ზევით ამოგიყვანსო. მაგრამ ნაბოლარამ მხოლოდ შავისთვის შეძლო ხელის მოკიდება და ქვედა ქვესკნელში მოხვდა (8. გვ. 32).

თურქული ზღაპრის „ქვესკნელის არწივის“ მიხედვით უფლისწული ჭაში ჩავიდა წყლის ამოსატანად, კის ფსკერზე ორი ერკემალი გაჩნდა — თეთრი და შავი. თუ გმირი თეთრ ერკემალს შეაჯდებოდა, ზევით ამოვიდოდა, თუ შავს — საიჭიოში მოხვდებოდა. ამ შემთხვევაში გმირი საიჭიოში მოხვდა შავი ერკემლის მეშვეობით. ქვესკნელიდან იგი არწივს ამოჰყავს, რომლის ბარტყევიც მან გველისაგან გადაარჩინა (16. გვ. 60-61).

სპარსულ ზღაპარში „ფრინველ სიმურგის დახმარება“ გმირი ქვესკნელში სამი კის გავლით ჩაეშვა. მესამე კის ფსკერზე ორი ერკემალი უნდა მოსულიყო — თეთრი და შავი, როდესაც ისინი ჩხუბს დაიწყებდნენ, გმირი თეთრ ერკემალზე უნდა შემეჭდარიყო, მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოვიდოდა იგი მიწის ზედაპირზე, თუ კი შავს შეაჯდებოდა მიწისქვეშ შეიდი იარუსით ჩაეშვებოდა. ზღაპრის გმირი შავ ერკემალზე შეჭდა და მიწისქვეშ შეიდი იარუსით ჩავარდა. იქიდან იგი ამოვიდა ფრინველ სიმურგის დახმარებით, რომლის ბარტყევიც გველეშაბისაგან გადაარჩინა (11. გვ. 56-57).

პოლონურ ზღაპარში „ხუთი ცხვარი“, უფლისწული ქვესკნელიდან თეთრ ცხვრებს ამოჰყავს (13. გვ. 227-231).

ამრიგად, ამ ზღაპრების მიხედვით, გმირის ქვესკნელში ჩასვლა ორ ეტაპად არის გამოყოფილი: ჯერ იგი ორმოში ან ჭაში ჩადის, ორმოდან ქვესკნელში ჩასვლა კი სხვადასხვა საშუალებით ხდება. ერთ-ერთი მათგანია ერკემალი (ცხვარი) ან თხა.* ცხვრის ან თხის საშუალებით ზღაპრის პერსონაჟი ან ჩადის ქვესკნელში, ანდა ამოდის მიწის ზედაპირზე. გარკვეული მნიშვნელობა

* ცხვარი და თხა სემანტიკურად ახლობელი ცხოველები არიან და ხშირად ცვლიან ერთმანეთს (6. გვ. 84).

აქვს ცხოველის ფერს. თეთრი ფერის ცხოველებს უფრო ხშირად ზევით ამოკ-
ყავთ, შავი ფერისას კი ქვესკნელში ჩაჰყავთ ზღაპრის გმირები.

ზღაპრებში და მითებში მნიშვნელოვანი როლი სამ ფერს ენიჭებოდა:
თეთრი, შავი, წითელი. შავი ცხვარი უფრო ხშირად ქვესკნელში ჩადიოდა,
თეთრი — შუასკნელში ამოდიოდა, წითელი აქეთ-იქით დადიოდა ქვესკნელში.

ქართულ ფოლკლორში ფერის სიმბოლიკას გარკვეული მნიშვნელობა
აქვს. აქ დომინირებს შავი, თეთრი და წითელი ფერები. ი. გაგულაშვილის აზ-
რით, ხალხური წარმოდგენებით, ქვესკნელის იარუსებს სიმბოლურად შეესა-
ბამება თეთრი, შავი და წითელი ფერები. (7. გვ. 68).

საინტერესოა, რომ არხოტის თემში, ხევსურეთში მიცვალებულის სუ-
ღარა სამწაირი უნდა ყოფილიყო: ერთი თეთრი — შიგნით ჩასაცმელი, მეო-
რე წითელი, ან კრელი — თეთრის გარეთ ჩასაცმელი, ხოლო სულ გარეთ ჩა-
საცმელი, მესამე — ლურჯი „სკლატისაგან“ უნდა ყოფილიყო შეკერილი
(სკლატი — მუღი) ჩოხის მსგავსი (1. გვ. 10).

ი. გაგულაშვილის დაკვირვებით, სხვადასხვა ფერის არსებანი შეესაბამე-
ბიან ქვესკნელის იმ ნაწილს, სადაც ისინი არიან მოთავსებული (შავი მხედა-
რი — შავი ქვესკნელი და ა. შ.). (7, გვ. 72-78).

როგორც ჩანს. ფერთა სიმბოლიკა უნივერსალურია. ვ. ტერნერის აზრით,
სამწილადი კლასიფიკაცია დაკავშირებულია თეთრ, წითელ და შავ ფერებთან
(15. გვ. 71) (ზოგიერთ აფრიკულ ტომში მხოლოდ ამ ფერებს აქვს პირველადი
მნიშვნელობა, დანარჩენი ფერები ნაწარმოებია ასე, ლურჯი ფერი შავთან
არის გაიგივებული (15. გვ. 71-72).


საყურადღებოა, რომ შუა აზიის ეთნოგრაფების მიერ დადასტურებულია
წარმოდგენა მსხვერპლად შეწირულ ცხვარზე, როგორც დამხმარეზე საიქიოში,
მას გადაჰყავს მიცვალებულის სული ხიდზე, რომელიც საიქიოს სააქაოსაგან
ჰყოფს (6. გვ. 12). შესაძლოა, იგივე მიზანს ემსახურება ხორეზმის თურქმე-
ნებთან დადასტურებული ჩვეულება ცხვრის მსხვერპლად შეწირვა იმ მო-
მენტში, როდესაც მიცვალებული გამოჰქონდათ სახლიდან, რადგან მათი სუ-
ლები შეერთებულიყვნენ და ერთად გამგზავრებულიყვნენ საიქიოში (14.
გვ. 115-116).

ირანელების რწმენა-წარმოდგენებით მსხვერპლად შეწირული ცხვარი
მკვდრეთიდან აღდგომის დღეს შესთავაზებს მიცვალებულს ზურგზე შეჯდო-
მას და „სერატის ველზე“ გადაყვანას სამოთხეში. „სერატის ველი“ კი არის
ხიდი ჯოჯოხეთის უფსკრულზე (6. გვ. 218) .

ცხვარი — მედიატორი გვხვდება ძველ ბერძნულ მითებშიც. ოდისეესმა
და მისმა მგზავრებმა ციკლოპ პოლიფემეს გამოქვამულიდან ცხვრების მეშ-
ვეობით დააღწიეს თავი. ოქროს ვერძით გაგზავნა ღრუბელთა ქალღმერთმა ნე-
ფელემ თავისი შვილები — ფრიქსე და პელე კოლხეთში.

ამრიგად, მითოლოგიურ აზროვნებაში ცხვარი ხშირად ჯადოსნური გა-
დაადგილების საშუალებადაა წარმოდგენილი. სხვადასხვა ხალხების ზღაპ-
რებში, ლეგენდებში და ეთნოგრაფიულ მასალებში დასტურდება, რომ სკნე-
ლებს შორის მედიაციის საშუალებას ზოგიერთ შემთხვევაში ცხვარი (ვერძი)
წარმოადგენდა. ცხვარი, როგორც მედიატორი, მკიდროდ არის დაკავშირე-
ბული წარმოდგენებთან „კოსმიური ხის“ — სამყაროს ღერძის შესახებ.

სამყაროს ხე — კოსმიური ხე — arbor mundi; ერთ-ერთი უნივერსა-




եցհ. 1.

φOTO 1.

եցհ. 2.

φOTO 2.





ლური სახეა მსოფლიო მითოლოგიაში. წარმოდგენები სამყაროს ხეზე დას-
ტრდება პრაქტიკულად ყველგან ან წმინდა სახით, ანდა ვარიანტებით
„ნაყოფიერების ხე“, „სიცოცხლის ხე“, „აღმავლობის ხე“, „შამანის ხე“ და
ა. შ. (10. გვ. 398).

სამყაროს ხის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ, არქაული ტრადიციების მი-
ხედვით არსებობს გიგანტური ხე, რომლის ფესვები ქვესკნელში ჩადის, გვირ-
გვინი კი ცაში ადის. ხის შემცველებს წარმოადგენენ: მცენარეები, ტაძარი,
კოშკი, ანთროპომორფული ფიგურა, კიბე, თოკი. ამიტომ, სამყაროს ხე — ეს
ფიგურალური ცნებაა, უფრო სწორი იქნება ვილაპარაკოთ სამყაროს ღერძზე—
axis mundi (9. გვ. 51).

სამყაროს ღერძი ვერტიკალურად სამწილადია, თითოეულ ნაწილს შეესა-
ბამება გარკვეული არსებანი, უფრო ხშირად ცხოველები: ზედა ნაწილს —
ზესკნელს — ფრინველები (არწივი); შუა ნაწილს — შუასკნელს — ჩლიქოს-
ნები (ირემი, თბა, ცხენი, ცხვარი). უფრო გვიანდელ ტრადიციებში ადამიანი;
ქვედა ნაწილს — ქვესკნელს კი ქვეწარმავლები — გველები, ბაყაყები, თაგ-
ვები, თევზები, ზოგჯერ ფანტასტიკური, კტონიური ტიპის ურჩხულები
(10. გვ. 400).

შუასკნელის ცხოველები, რომლებიც კოსმიურ ხესთანაა დაკავშირე-
ბული, მედიატორის როლს ასრულებენ. ისინი აერთიანებენ სამივე სამყაროს.
ამის მაგალითია ციყვი სკანდინავური მითოსიდან, იგი ხტის სიცოცხლის ხე-
ზე, გველიდან — ხის ფესვებიდან, არწივამდე, რომელიც ტოტემში ბუდობს
(9. გვ. 54).

სხვადასხვა ბუნებრივ-კლიმატურ ზონაში ადამიანი ყურადღებას აქცევ-
და მისთვის ცნობილ ცხოველებს. ევრაზიის ტყეებში მცხოვრებლებისათვის
ასეთი ცხოველები იყვნენ დათვები, ტყის მღრღნელები, ოქეანის სანაპიროს
მცხოვრებლებისათვის — ზვიგენები, ვეშაპები (9. გვ. 83).

წინა აზიის მცხოვრებლებისათვის ასეთ ცხოველებს წარმოადგენდნენ
თხები, ცხვრები, ირმები, ხარები (9. გვ. 84). ცხვრის გამოსახულებები შედა-
რებით იშვიათად გვხვდება. ცხვრის გამოსახულებიანი კერამიკა ძირითადად
ირანშია მოპოვებული (ტალი — ბაკუნი, სუზი).

საქართველოს ტერიტორიაზე ცხვრის გამოსახულებები უძველესი დრო-
იდან გვხვდება, რაც უნდა მოწმობდეს ამ ცხოველის განსაკუთრებულ მნიშ-
ვნელობას ამ ტერიტორიაზე მცხოვრები არქაული საზოგადოების რწმენა-
წარმოდგენებში. შესაძლოა, ამ ცხოველის მნიშვნელობა მითოლოგიაში და-
კავშირებული იყო მესაქონლეობის მზარდ როლზე. გ. ფხაკაძის დაკვირვებით,
ქვემო ქართლში აღრებრინჯაოს ხანის სამარხების გათხრისას, იქ აღმოჩენილ
ცხოველთა ოსტეოლოგიურ მასალაში 96% წვრილ ჩლიქოსნებს ეკუთვნის (3.
გვ. 133).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ
გარკვეული არქაული საზოგადოების მითოლოგიურ აზროვნებაში ცხვარი,
(თბა), ვერძი—წარმოდგენდა მედიატორს შუასკნელსა და ქვესკნელს შორის.
ჩვენი აზრით, სწორედ ამ წარმოდგენებთან, მიცვალებულის სულის
საიქიოში მეგზურობას, თუ თანადგომასთან უნდა იყოს დაკავშირებული მიც-
ვალებულის ცხვარზე დაკრძალვის რიტუალი.

საინტერესოა, რომ წიწმურის № 13 სამარხის გვერდით გაითხარა კატა-

კომბური სამარხი № 16, რომელშიც ცხვარი იყო დაკრძალული. რევერენსი
ჩანს, ეს უკანასკნელი დამოუკიდებელ სამარხს არც კი წარმოადგენს და
დაკრძალულია № 13 სამარხში დაკრძალული მიცვალებულისათვის ჩატა-
რებულ რიტუალთან. შესაძლოა ამ სამარხში დაკრძალულ ცხვარს, ძირითად
(№ 13) სამარხში აღმოჩენილ ცხვართან ერთად გარკვეული რიტუალური დი-
ტვირთვა ჰქონდა. თუმცა არ არის გამოჩენილი, რომ № 16 სამარხშიც დამოუ-
კიდებელ სამარხს წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ ამგვარი წესი შუა აზი-
ასა და ავღანეთში არის დაფიქსირებული.

ცხვრების დაკრძალვა სამარხებში დადასტურებულია ბრინჯაოს ხანის სა-
მაროვნებზე შუა აზიასა და ავღანეთში. ასეთი რიტუალი გვხვდება ნამოსახ-
ლარ საპალითეფაზე ოთხ სამარხში, № 7 და 44 სამარხში თითო ცხვარი დაკ-
რძალული იყო მარჯვენა მხარეს თავით ჩრდილოეთისაკენ, ე. ი. იმ წესით რო-
გორითაც მამაკაცებს კრძალავდნენ ამ ნამოსახლარზე. № 90 სამარხში ორი
ცხოველი ესვენა: ერთი მარცხენა, მეორე მარჯვენა გვერდზე (მარცხენა გვერ-
დზე ჯალებს კრძალავდნენ ამ ნამოსახლარზე). 99 სამარხში, ქალის ჩონჩხის
გვერდით თხის ჩონჩხი ესვენა, მის ზემოთ კი მამაკაცი იყო დაკრძალული.
ყველა შემთხვევაში სამარხი ინვენტარი საკმაოდ მდიდრული იყო (11-21
კერამიკული ჭურჭელი საკმლით), № 90 სამარხში კი მსხვერპლად შეწირული
ცხოველის ძვლებიც ელაგა (6. გვ. 112).

ცხვრების დაკრძალვა სამარხებში დადასტურებულია ბრინჯაოს ხანის ავ-
ღანურ ძეგლებზე დაშლი I. ამ სამარხებშიც დიდძალი კერამიკა ელაგა. ვ. სა-
რიანიდის აზრით, ეს სამარხები არ უნდა ჩაითვალოს კენოტაფებად, ხოლო
ცხვრები — საიჭიო საგზლად, რადგან ერთი დაკრძალული ცხვრის წინ იდო
საქმელი — ცხვრის ბეჭი. (წიწამურის № 16. ცხვრის, სამარხშიც საგზლად ხორ-
ცი იყო ჩატანებული). ამის გარდა, სამარხებს ჩრდილოეთის ორიენტაცია
ჰქონდა, რაც დამახასიათებელია ამ პერიოდის სამარხებისათვის ამ რეგიონში
(12. გვ. 55).

ე. ანტონოვის აზრით, ამგვარად დაკრძალული ცხვრები წარმოადგენდნენ
ე. წ. გამოსასყიდ სამსხვერპლოს. გამოსყიდვის რიტუალი მდგომარეობს შემ-
დეგში: ავადმყოფი ადამიანის მაგიერ ღვთაებას მსხვერპლად სწირავდნენ
ცხვარს, თხას, ან სხვა ცხოველს, ადამიანს კი კისერზე დანას გაუსვამდნენ.
ცხოველებს კრძალავდნენ როგორც ადამიანებს და ამ დროს წარმოთქვამდნენ
გარკვეულ შელოცვებს (6. გვ. 111).

ამგვარი რიტუალური პრაქტიკა დაფიქსირებულია უძველეს წინა აზიაში
და ლემდე გვხვდება ენოგრაფიაში. ხეცურეთში დადასტურებულია ავად-
მყოფი ადამიანის მაგიერ ცხვრის ან კურატის დაკლა. ავადმყოფის პატრონი
შეეცდებოდა ხთიშვილთ „ყელი მასტეხოს“ (მოალბოს) და შეუთქვამს (შე-
პირდება, ვალად დაიდებს) „სახმთო-ლაძისთეას“, საკლავებს: ცხვარს, ან კუ-
რატს; — ჯვრის კარზე მახვეწურთ (მახვეწრები — ვინც ავადმყოფის მორჩე-
ნას შეეხვეწებოდა ხატს) მოიყვანს და არაფერს დაიშურებდა ავადმყოფის
მორჩენისათვის (1. გვ. 4). მსგავსი რწმენა-წარმოდგენები გავრცელებული იყო
სამეგრელოშიც. იმ განსხვავებით, რომ ცხვრის მაგიერ იქ მოზვერს პირღე-
ბოდნენ წმ. გიორგის (2. გვ. 164).

შესაძლოა, ამგვარ გამოსასყიდ სამსხვერპლოს წარმოადგენდა № 16 სა-
მარხში დაკრძალული ცხვარი.



ჩვენი აზრით, წიწამურში გათხრილ ყორღანში (სამარხი № 13) დაკრძალული მიცვალებულის ცხვარზე დასვენება მანიშნებელი იყო გარკვეული რიტუალისა, დაკავშირებული სამყაროს აგებულების შესახებ არსებულ რწმენა-წარმოდგენებთან, რომლებშიც ცხვარი მედიატორის როლს ასრულებს სკნელებს შორის. არ არის გამორიცხული, რომ ცხვარი წიწამურის ყორღანში მიცვალებულის სულის მეგზურს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც მიცვალებული საუკუნო სამყოფელში ხვდება.

1. ბალიაური მ., მაკალათია ნ. — მიცვალებულის კულტი არხოტის თემში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III. თბ., 1940.
2. სახოკია თ. მიცვალებულის კულტი სამეგრელოში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III. თბ., 1940.
3. ფხაკაძე გ. «ჭვემო ქართლის ენოლოგი», თბ., 1963.
4. ქართული ხალხური ზღაპრები. ტ. I. თბ., 1938.
5. ქართული ხალხური ზღაპრები. თბ., 1986.
6. Антонова Е. В. Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азии. М., 1984.
7. Гагулашвили И. «Грузинская магическая поэзия». Тб., 1983.
8. Грузинские народные сказки, т. 2, М., 1988.
9. Евсюков В. В. Мифология китайского неолита». Новосибирск, 1988.
10. Мифы народов мира. Т. I, М., 1980.
11. Персидские сказки. М., 1987.
12. Сариниди В. И. Древнейшие земледельцы Афганистана. М., 1977.
13. Сказки народов мира. М., 1987.
14. Снесарев Г. И. Реликты домусульманских верований и обрядов у узбеков Хarezма». М., 1969.
15. Тэрнер В. Символ и ритуал. М., 1983.
16. Турецкие сказки. М., 1986.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები


ქართულწარწერიანი ჯამები

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ლი-
თონის ფონდში დაცულია ქართულწარწერიანი სპილენძის ჯამის რამდენიმე
ექსპონატი.

სუფრის კურკლეულიდან, საქართველოში ყველაზე მეტად ხმარებაში ყო-
ფილა ხელადა და ჯამი. შემთხვევითი არ არის, რომ ხელმწიფის კარის გა-
რიგებაში მელვინეთხუცესის გვერდით ცალ-ცალკე მოიხსენიება მეხელადეთ-
უხუცესი და მეჯამეთ-უხუცესი¹. მეჯამეთხუცესს აბარია... კარავი სამზარეუ-
ლოსა და უვერცხლო კურკელი: სპილენძისა და შეშისა²; სპილენძისა და შეშის
(ხის) გარდა, ჯამი, თასი, ფიალა, ჯამთასი, ბადია მზადდებოდა ოქროს, ვერც-
ხლის, ხისა და თიხისაგან. „თასსა შიგან წყალს შთაასხამს“³, ვკითხულობთ
ხელმწიფის კარის გარიგებაში. სულხან-საბას მიხედვით, „ჯამი არს კურკელი
ნოტიოთა: ბადია, ლოდა, უსკურა, პინაკი, ფილჯამი და მისთანანი...“⁴ ე. ი.
ჯამი, თასი, ფიალა... ღვინის ან წყლის სასმისი, სუფრაზე სახმარი კურკელი
იყო, ხოლო ბადია და ჯამთასი ზომით უფრო დიდი და ისიც ნოტიოთა სახმა-
რად გამოიყენება.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ლი-
თონის ფონდში სპილენძის ჯამების მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი
კოლექციაა დაცული: ესენია: დიდი, პატარა, ღრმა, ფრიალა, ქუსლიანი, უქუს-
ლო, პირგადაშლილი, პირმოხვეული, ფარფლიანი, მრგვალპირიანი, სწორკედ-
ლიანი, მუცელგამობერილი, ძირჩადგმული, ორნამენტისანი, სადა — უორნა-
ნენტო, წარწერიანი და ა. შ. ამის მიხედვით დასახელებაც სხვადასხვა აქვთ.
ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ჯამი აუცილებლად ქუსლიანია და ღრმა,
ფიალა და თასი უქუსლო, მრგვალპირიანი და ფრიალა; ბადია და ჯამთასი
დიდი ზომისაა, ღრმა, ქუსლიანი და პირმოხვეული. ფონდში დაცული თა-
სებისა და ჯამების უმრავლესობა შემოწირულია ცნობილი ქართველი მეცნიე-
რის ექვთ. თაყაიშვილის მიერ 1911 წელს; თასების მდიდარი კოლექცია ჩა-
მოტანილია სვანეთიდან, რაჭიდან (სოფ. კრებალო), ხევსურეთიდან, თუშეთი-
დან, სოფ. თელეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან, მესხეთ-ქაჯახეთიდან, გორის
რაიონიდან და სხვ.

ჯამების ამ მდიდარი კოლექციიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ცალს გა-
მოვყოფთ, კერძოდ, მათ, რომლებსაც ქართული წარწერა აქვთ გაკეთებული.
ეს არის შემორჩალური ჯამი, კოლექცია № 3—36/2, რომელიც გივი ამილახ-
ვარის საკუთრება ყოფილა. ის საშუალო ზომის, ღრმა, ქუსლიანი, ორმხრივ-
მოკალული, სადა — უორნამენტო სპილენძის საღვინე ჯამია. გარედან, წარ-
წერის ქვემოთ, ღრმად ამოღარული ორი წრეხაზი შემოუყვება. წარწერის ზე-
მოთ, პირის გარშემო, ერთსტრიქონიანი, ორი სიტყვისაგან შემდგარი მხედ-



ქართულწარწერაანი სპილენძის ჭაშები.

Медные миски с грузинской надписью.

რელი წარწერაა ამოკარული. წარწერა კარგადაა დაცული. იწყება ქანწილით, განკვეთილობის ნიშნად იხმარება ორი წერტილი.

როგორც ცნობილია, ქანწილი დამახასიათებელი ყოფილა ძველი ქართული წარწერებისათვის, თუმცა იგი ყოველთვის არ იყო სავალდებულო, რადგან არის შემთხვევები, როდესაც წარწერას ქანწილის ნაცვლად ჯვარი უზის წინ. ამ შემთხვევაში, ჯამზე ამოკარულ ორსიტყვიან მხედრულ წარწერას ქანწილი უზის წინ და ასე იკითხება: „ქ. ამილახორის გივსა“. წარწერა გვაუწყებს, რომ ის, გივი ამილახვარის საკუთრება ყოფილა. თასი თუ შეთიდანაა. იგი მუზეუმისათვის შემოუწირავს გიორგი ბოკორიძეს 1936 წელს. თასის ზომებია: სიმაღლე — 6,5 სმ; პირის დიამეტრი — 12,3 სმ; ძირის დიამეტრი 6 სმ. ჯამი კარგადაა დაცული.

მეორე თასი, კოლექცია № 6—36/13, რომელიც აგრეთვე გიორგი ბოკორიძეს შემოუწირავს მუზეუმისათვის, დაცულია ზემოთ აღნიშნულ ფონდში. ის სპილენძის, პატარა ზომის, ორმხრივმოკალული, ფრიალა, ნაპირგადმოკეცილი მრგვალიპირიანი და ქუსლიანი თასია. გამოკვერილია სპილენძის ერთი ფირფიტისაგან, კალა შიგნითა პირზე ალაგ-ალაგ გადაცლილია. მრგვალი, დაბალი ქუსლი მიჩილული აქვს ძირზე. იგი ღვინის თუ წყლის სასმისი თასია. სადაა, უორნამენტო. თასს გარედან, პირის გარშემო ერთსტრიქონიანი წარწერა შემოუყვება, რომელიც შედგება შვიდი სიტყვისაგან. წარწერა იწყება ქანწილით. განკვეთილობის ნიშნად სამი წერტილია ნახმარი. წარწერა იკითხება ასე: „ქ.: შევწირე... „მე.: ბერ კამ.: წამინდის.: გირგის.: თელეთს“. წარმოდგენილი წარწერა გვაუწყებს, რომ იგი ბერიკას შეუწირავს თელეთის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის. თასის ზომებია: სიმაღლე — 3,5 სმ; პირის დიამეტ-



ორნამენტირებული და ქართულწარწერა-
ანი ზალია.

Орнаментированная «Бадия» с
грузинской надписью.

საილენძის ქართულწარწერაანი კვაზი
და ჭაში.

Медный котел с грузинской над-
писью.



რი — 11 სმ; ძირის დიამეტრი — 5,2 სმ. თასი კარგადაა დაცული, წარწერა ცალკე ლამაზი მხედრულითა და ღრმად ამოღარვის წესით არის შესრულებული. სპილენძის ჭურჭელი საქართველოში მზითვის ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტს შეადგენდა. ფონდში დაცულია სამზითვო სპილენძის ჯამი, კოლექცია № 28—45/78. ჯამი სპილენძისაა, ორმხრივმოკალეული, ღრმა, პირგადაშლილი და ქუსლიანი; ქუსლი ერთ ადგილას დაზიანებულია; ჯამი შიგნიდან სადაა, უორნამენტო; გარედან კი მდიდრულად არის შემკული: ამოღარვით შესრულებულია თაღისებური ორნამენტი (ქართული აივნისათვის რომ არის დამახასიათებელი) სამყურა ყვავილის მსგავსი დაბოლოებით. თაღებს შორის ზოგან ბადისებრი ორნამენტია ამოღარული, ზოგან კი ფრინველები. თაღებს შორის თავისუფალ ადგილს ამოღარული რომბები და რომბებს შორის პირის ირგვლივ ჭვარციანი სხივის გამოსახულება ავსებს, რომელიც წრეხაზებს შორის სიმეტრიულადაა განლაგებული. დატოვებულია თავისუფალი ადგილი, რომელიც ხელოსანს, როგორც ჩანს, გათვალისწინებული ჰქონდა დამლისათვის ან ინიციალებისათვის.

ჯამს აქვს ერთსტრიქონიანი ქართული წარწერა: „ქ-ხა ნფერენას ზითესა“. ორივე სიტყვა ასონაკლულია. ყოველშემთხვევაში, წარწერა გვაუწყებს, რომ იგი მზითვეში გაუტანებიათ კონკრეტული პიროვნებისათვის. ჯამი გულდამაყარხანდას ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ არის ჩამოტანილი 1945 წელს და სოფ. კანდას, ქოროლოს „ხთიშობლის“ ხატის „უნჯი“-დან არის წამოღებული. ჯამის ზომებია: სიმაღლე — 5,5 სმ; პირის დიამეტრი — 10 სმ; ძირის დიამეტრი — 4, 8 სმ.

ლითონის ფონდში დაცულია აგრეთვე, სპილენძის ბადია, კოლექცია № 133—64/8. ის მოდიდო, ორმხრივმოკალეული, ღრმა, ქუსლიანი, მრგვალი, ოდნავ პირგადაშლილი, სადა, უორნამენტო ჭურჭელია. გარედან, ორ ადგილას მკრთალად ამოღარული წრეხაზი შემოუყვება. აქვს წარწერა. წარწერა იწყება ქანწილით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი წერტილი: „ქ. მერაბისა“.

ბადია ძველია, ნახმარი, ოდნავ დაზიანებული: ალაგ-ალაგ კალა გადატლილი აქვს, რამდენიმე ადგილას ჩაჭეკულია. მისა ზომებია: სიმაღლე — 9 სმ; პირის დიამეტრი — 15—16 სმ; ძირის დიამეტრი — 6,7 სმ. ბადია ქართული ნახელავია, შექმნილია 1964 წელს.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველ გამოფენაზე ექსპონირებულია დიდი ზომის, ორმხრივმოკალეული სპილენძის ბადია. იგი ღრმა, ქუსლიანი, გარედან ორნამენტირებული ჭურჭელია. მას გარედან პირის გარშემო ერთსტრიქონიანი მხედრული წარწერა დაუყვება. წარწერა იწყება ქანწილით, განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. ჩვენ მხოლოდ სამი სიტყვის წაკითხვა მოვახერხეთ. წარწერა იუწყება „ქ. მექვაბე ქიტესას“...

სპილენძის ქართულ ჭურჭელზე გაკეთებულ წარწერებს უპირატესად ინფორმაციული ხასიათი აქვთ. ისინი ძირითადად გვამცნობენ გამკეთებლის ვინაობას, კუთვნილებას, საქმიანობას, სურვილებს და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოგრაფიული მასალისა და ფონდში დაცული ექსპონატების მიხედვით, სპილენძის ჭურჭელზე წარწერებისა და მდიდრული ორნამენტით შემკობის



დიდი ტრადიცია საქართველოში არ ყოფილა. ამაში ნათლად დავრწმუნდებით თუ ლითონის ფონდში დაცულ სპილენძის ქართულ ჭურჭელს შევადარებთ აზერბაიჯანულ, შუა აზიურ, სპარსულ ჭურჭელს. სამაგიეროდ, ქართველი ხელოსანი — მესპილენძე უფრო ფორმის დახვეწასა და ზედაპირის ზედმიწევნით დამუშავებაზე ფიქრობდა. კედვის კვალი ისე აშკარად ეტყობა ჭურჭლის ზედაპირს, რომ იგი ხშირად ორნამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. „კვებს რომ ურტყამდით „ქრელიც“ გამოდიოდა, ნახატს საგანგებოდ არ ვუკეთებდით, კარგად გამოვკვრავდით და ეს იყო ჭურჭლის შემკობა“ (აღნიშნავს ჩხარელი ოსტატი კარპო სახელაშვილი, 1979 წ.). როგორც ნიკო რეხვიაშვილი აღნიშნავს, „ქართულ ჭურჭელს ახასიათებს სისადავე, სიმტკიცე, სიმარტივე, სიმარჯვე, პრაქტიკული და ესთეტიკური მიზანშეწონილობა. ეს ქმნის იმ განსაკუთრებულ თავისებურებას, რომელიც ახასიათებს მას და რომელსაც შეიძლება ეწოდოს ფორმა — შინაარსის სისავეს“⁵.

¹ გარიგება კელშიფის კარისა, ივ. ჭავჭავაძის რედაქციით, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 385-87.

² იქვე, გვ. 389.

³ იქვე, გვ. 389.

⁴ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, თბ., 1966, გვ. 407.

⁵ ნ. რეხვიაშვილი, ვერცხლის ქართული ჭურჭელი, საქ. საბ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, 1956, გვ. 213.

სოფელ მათხოჯის სიძველენი

სოფელი მათხოჯი მდებარეობს ქვემო იმერეთში, მდინარე ცხენისწყლის დაეკებაზე, რაიონის ცენტრიდან 5 კმ-ის დაშორებით, ამ სოფელს საინტერესო წარსული აქვს, იგი მდიდარია ისტორიული ძეგლებითაც. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ ის საინტერესო მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია სოფ. მათხოჯთან და მკითხველს ვავაცნოთ ამ სოფლის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლები.

ისტორიული წყაროებით, სოფელში უძველესი დროიდან გადიოდა დიდი მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ერთი მათგანი აღმოსავლეთ ლაზიკას დასავლეთთან, მეორე კი ლაზიკის სამეფოს ლეჩხუმთან და სევანეთთან აკავშირებდა ცხენისწყლის ხეობით.

შუა საუკუნეებში სოფელი მკიდროდ ყოფილა დასახლებული. 1209 წ. აქ თამარ მეფეს თავისი სახსრებით „წმინდა ვასილის“ სახელზე დიდი ბაზილიკა აუგია.

საინტერესოა ისიც, რომ მათხოჯი შუა საუკუნეებში ქუთათელი ეპისკოპოსის სამწყსო ყოფილა, შემდეგ კი ხონელი ეპისკოპოსის სამწყსო გამხდარა. ხონელ ეპისკოპოსს რამდენიმე ყმაც გაუჩენია. რაც შეეხება დედათა მონასტერს XVII ს. ცნობებით ის ჰყონდიდელი მიტროპოლიტის სამწყსოს შეადგენდა და დადიანის კარი მეცენატობდა.

დასავლეთ საქართველოს კათალიკოს მალაქია გურიელს (1616—1639 წწ.) მათხოჯში ჰყავდა 28 კომლი ყმა და „სასახლე საყდრითა, ტახტითა, დარბაზით, დიდის სეფა სახლითა, საწოლის სახლითა, საწოლის სახლის კიშკრითა და ჯიხურითა“.¹

XVII ს. დასასრულს დავით კათალიკოსს მათხოჯში აქვს სასახლე, „ოცდაათის კომლის ყმით და ორი აზნაურისშვილის რატიანით“. აქვე რამდენიმე კომლი ჰყავთ წულუკიძეებს და ხონელს. ამ სამწყსოს დიდ ყურადღებას აქცევდა დიდი მღვდელთმთავარი გრიგოლ კათალიკოსი.

ქუთათელ ეპისკოპოსს 1820 წლის აღწერით მათხოჯში ყავს 30 კომლი ყმა, 161 სული სრულწლოვანი მამრობითი სქესის მიწის მუშაკით, რომელთა ვალია მიაწოდონ თავის სენიორს 204 მანეთის (ვერცხლის ფულის კურსით) გადასახადი. ე. ი. სამჭერ გაიზარდა გადასახადი აღრინდელთან შედარებით. ამაზე მეტი ყმა უნდა ჰყოლოდა თვით ადგილობრივ ეკლესიას.²

რამდამეოცნობა: ავტორი ზონის რაიონის მკვიდრი, მრავალი წელი აკლავს ქვემო იმერეთის მატერიალური კულტურის ძეგლებს, ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ სოფელ მათხოჯთან დაკავშირებულ ზოგიერთ საინტერესო საკითხს და ძეგლებს ისტორიას.


მათხოჯის ციხე. ციხეს მეტად მარჯვე სტრატეგიული ადგილმდებარეობა აქვს. მაღალი ბორცვიდან ხელისგულივით მოჩანს ქვემო იმერეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და სამეგრელოს აღმოსავლეთი მხარე. ციხე კეტავდა აღმოსავლეთ ლაზიკიდან დასავლეთ ლაზიკაში მიმავალ სატრანზიტო გზას, რომელიც ბუმბუას ხიდის გავლით სებასტოპოლისისაკენ მიემართებოდა და დარაჯობდა ცხენისწყლის ხეობით ლეჩხუმ-სვანეთისაკენ მიმავალ გზას. მისი მფლობელი ასევე აკონტროლებდა მიმოსვლას ცხენისწყლის ფონზე მათხოჯ-ხუნწის მონაკვეთს.

საუკუნეების მანძილზე ციხე ქვემო იმერეთის საიმედო ფორპოსტი იყო. ხალხური გადმოცემით, მათხოჯის ციხეს დიდი როლი შეუსრულებია თურქებთან ბრძოლაში. ციხე ახლო-მახლო მცხოვრები მოსახლეობის საიმედო თავშესაფარიც ყოფილა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ცხენისწყალი წინათ ციხის ბორცვის ძირში ან შორიასლო მოედინებოდა, რაზედაც მეტყველებს აქ შემორჩენილი რიყეები და რიყის ქვების სიმრავლე.

დღეისათვის შემორჩენილი ციხე უნდა იყოს დიდი ციხის ციტადელი, ხოლო ე. წ. „ნაიციხარა“, რომელიც მის დასავლეთით 200-დე მეტრზე მდებარეობს საფუძვლამდეა დარღვეული. როგორც ჩანს, გვიან პერიოდში ციხე გადაუტანიათ უფრო აღმოსავლეთით, მიუვალ ბორცვზე.

მათხოჯის ციხე აგებულია კლდოვან თიხოვან ბორცვზე, რომელიც სამი მხრიდან (დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან) მიუვალა.



მათხოჯის ციხე.

Крепость Матходжи.



აღმოსავლეთიდან ციხეს დაჰყურებს დიდი, მისკენ დახრილი მთა, რომლის ბეჭობი ციხის მთავარი კოშკის ძირიდან 15 მ-დეა დაცილებული. მარჯვე მესიერებს ადვილად შეეძლოთ ესროლოთ ციხის დამცველებს, რამაც განაპირობა მთავარი კოშკით აღმოსავლეთი მხარის საგანგებო გამაგრება.

ციხე ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვებით. კედლის სისქე ერთ მეტრს აღემატება. ალაგ-ალაგ ჩანს საბრძოლო ბილიკი, ხოლო სალოდებები და სათოფურები ჩამოქცეულია. ციხე დულაბითაა ნაგები, აქვს მომრგვალებული ფორმა. მთავარი კოშკის პირველი სართული ყრუა, მეორე სართული გადარჩენილია, მაგრამ არ გააჩნია სალოდებები და სათოფურები.

ჩანს, საბრძოლო ჭრილები ზედა სართულებში იყო განლაგებული. რამდენსართულიანი იყო კოშკი ახლა ამის თქმა ძნელია. ციხე ძირში ფართოა, ზევით კი შევიწროებული, მოხდენილი ფორმის. ნანგრევებს მის შიგნით პატარა ბორცვი წარმოუქმნია, ნანგრევები ყრია ასევე გარეთ, ციხის აღმოსავლეთით. ჩამოქცეულია კოშკის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლების პერანგი. 30 წლის წინათ საყრდენი მიწის დამეწყურის შედეგად ჩამოინგრა ციხის სამხრეთი კედლის ერთი ნაწილი, 1987 წელს კიდევ ჩამოიქცა ერთი ნაწილი.

ციხეს შემორჩა სამხრეთ-დასავლეთის ერთი ცილინდრული კოშკი, რომლის ყრუ ნაწილია გადარჩენილი, სალოდებები და სათოფურები ჩამორღვეულია. ტერიტორია დაახლოებით 300 კვ. მ-ია. კედლები სუროთია დაფარული, ხოლო ეზო ბუჩქნარით. ჩრდილო-დასავლეთ კედელში კარია დატანებული. აქედან ხვეული ბილიკი ჩადის ბორცვის ძირში. ციხის აღმოსავლეთით ტყიდან გამოყვანილი ყოფილა სასმელი წყალი, რაზედაც მიანიშნებს თიხის მიღები, რომლებიც ნიადაგის ეროზიის გამო ამჟამად კარგად ჩანს. ამ წყალგაყვანილობით სარგებლობდა ქვედა ციხე, რომლის მხოლოდ ცალკეული კედლების ნაშთები ჩანს.

სწორედ დამეწყური ადგილების შორიახლო დაზევრებითი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელიც არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლებმა ჩაატარეს, მოპოვებულ იქნა ენეოლითური, გვიანბრინჯაოსა და ანტიკური ხანის საინტერესო ძეგლები. აქვე, ამ თხუთმეტობდე წლის წინათ აღმოჩნდა განძი — ე. წ. კოლხური თეთრი (დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში).

მათხოჯის ციხე საისტორიო წყაროებში არ მოიხსენიება. 1959 წელს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა, მოსწავლე აეთანდღე ჩიმაკაძის მეგზურობით დაათვალიერა ციხე. ექსპედიციის ანგარიში გამოაქვეყნა 1970 წელს. მეცნიერი აღნიშნავდა, რომ მათხოჯის ციხე აგებული უნდა იყოს VI საუკუნეში, ეგრისში ჰეგემონიისათვის ირანსა და ბიზანტიას შორის გამართული ხანგრძლივი ომების დროს. სხვა ადგილას ნ. ბერძენიშვილი წერდა, რომ „მათხოჯის ციხე უცილობლად ბატონობდა ცხენისწყლის მარცხენა მხრით მიმავალ გზაზე სკვიმნიიიდან ლაზიკაში, ისევე, როგორც ბატონობდა ამ ახლო ქვეყანაზე“.³

აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის აზრით ციხესამაგრე ონოგურის ცხენისწყლის აღმოსავლეთით, მის შორიახლოა საძიებელი.⁴



მათხოვის „წმ. ვახლის“ ეკლესია.

Церковь св. Василия в Матходжи.

მკვლევარმა ზ. წიტიანიშვილმა შესწავლა რა წულუკიძის რაიონში აღმოჩენილი ვერცხლის მონეტები, მათზე აღნიშნული ბერძნული ასო „O“ ქალაქ ონოგურის დაუკავშირა და გამოთქვა ვარაუდი, რომ ონოგურისი ეს არის მათხოვის ციხე, რადგან ის უნაგირის მავგარ ბორცვზე მდებარეობსო. აღნიშნულის შესახებ ჩვენც გამოვთქვით მოსახრება მონოგრაფიაში „ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან“, სადაც ვფიქრობთ ობიექტურად, ავითია სქოლასტიკოსის და პროკოფი კესარიელის ცნობებზე დაყრდნობით, თანაც მათ მიერ აღნიშნული ადგილობრივი გეოგრაფიული, ფოლკლორული და ტოპონიმიკური მასალების გათვალისწინებით ონოგურისი მათხოვის გაღმა მხარის უნაგირას ნაციხეზარაზე გადავიტანე⁵.

მათხოვის ციხის დეტალური შესწავლა მეტად საშური საქმეა.

მათხოვის ეკლესია. მათხოვის ეკლესია აუცილებლად ძველი (1209 წელს აგებული) ბაზილიკის დარღვეული კვებით. შემდგომში მომრავლებულ მრევლს მცირე ზომის ეკლესია ვეღარ აკმაყოფილებდა. ამიტომ მათხოვის მოსახლეობას თხოვნით მიუმართავს იმერეთის ეპისკოპოსისათვის, რათა ნება დაერთო დაერღვიათ ძველი ეკლესია და აეგოთ ახალი.

ეკლესია ჭვარ-გუმბათოვანია. მისი ზომებია 19×19 მ-ზე, ჩრდილოეთი მკლავის სიგანე 4,5, სიგრძე 8,5 მ. დასავლეთის მკლავის სიგრძე 8,5 მ. სიგანე კი 5,5 მ. ასეთივე ზომისაა მისი მოპირდაპირე მკლავებიც.

ეკლესია კომპაქტური ნაგებობაა, რომლის გვირგვინია ლამაზი, რვასარკმ-
ლიანი გუმბათი. ჭერის დასავლეთის მკლავს ეყრდნობა ორ მრგვალ-ბოლოვანი
შემდგარი თლილი ქვის თაღოვანი კამარებით შემკული სამრეკლო. საგარეო ნაგებობა

ეკლესია ნაგებია კარგად დამუშავებული ეკლარის ქვით. იგი ნათღებოდა
გუმბათის 7 თაღში გამოკვეთილი. 7 სარკმლის კრილით: ამ ათიოდე წლის
წინ აქ 4 საკმაოდ შესამჩნევი ბზარი გაჩნდა, 1986 წელს კი გუმბათის წვერი
ჩამოინგრა. ეკლესია XX ს. დასაწყისში თუნუქით გადაუხურავთ. ამჟამად
სახურავი თითქმის მთლიანად დაზიანებულია და აწვიმს ფრესკებს.

ეკლესიის აღმოსავლეთ მკლავს აქვს სამი სარკმელი, დასავლეთისას ორი.
ასევე აქვს სარკმლები მათ მოპირდაპირე მკლავებსაც. ეკლესიას აქვს სამი კა-
რი.

ეკლესია 70 სმ ცოკოლზე დგას. იატაკად გამოყენებულია სწორ-
კუთხა თლილი ქვა. ნაგებობას აქვს შეიდი ნიშა. კედლების სისქე 1 მ-ია.
დღეისათვის მთლიანად განადგურებულია კანკელი, შუაზეა გაპოხილი სა-
კურთხეველის ქვა. კედლებს დატანებული აქვს ქვევრისმაგვარი ამორტუტ-
ნული ქვები აკუსტიკისათვის. სამრეკლოზე მოხვედრა შეიძლება დასავლეთ,
სადიაკვნის კედელში დატანებული ხეული კიბით. ნაგებობაში ალაგ-
ალაგ ჩართულია ძველი ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვები, დასავლეთის ფასადს
ამშვენებს დიდი, რელიეფურად გამოკვეთილი ჭვარი, რომლის ბოლოს ორი
სტილიზებული გველი გამოსახული.

ეკლესიას 50 ყმა და საკუთარი მამულები გააჩნდა, აქ ესევენა „წმიდა
ვასილის“ ცხოველმყოფელი ვერცხლის დიდი ხატი. ამჟამად იგი დაცულია
ხელოვნების მუზეუმში.

ეკლესიაზე ასეთი წარწერაა:

„ჩიი დაწილსა აღშენდა ეკლესია ესეს-ი მათხოჯით და მღვდლების
იოანე მელაძის და გიორგი და ანდრია ჩიმაკაძეებისაგან“, წარწერა გვაუწყ-
ებს, რომ ეკლესია აგებულია 1864 წელს ადგილობრივი მოსახლეობის
სახსრებითა და თაოსნობით. არქიტექტორი უცნობია.

ხელოვნების ეს საინტერესო ნიმუში, რომელიც თითქმის დანგრევის
პირასაა მისული მოვლა-პატრონობას საჭიროებს.

მათხოჯის „წმიდა ნინოს“ დედათა მონასტერი.

მონასტერი ოზოდირის ქედის სამხრეთ-დასავლეთის განშტოების ყვე-
ლაზე თვალსაჩინო და ლამაზ ბორცვზეა აგებული. ეს შემალღება იმ ბორც-
ვის გაგრძელებაა, რომელზედაც მათხოჯის ეკლესია მდებარეობს. ადრე სწო-
რედ აქ მდგარა „წმიდა ვასილის“ სახელობის ძველი საყდარი... ამ ეკლესი-
ის მალაღმბატურული ჩუქურთმებით შემკული რამდენიმე ქვა უსისტემოდაა
გამოყენებული მონასტრის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე და ამავე
მხრიდან შესასვლელი კარის კიბის საფეხურებზე.

შენობა ნაგებია საგანგებოდ სუფთად, დამუშავებული მოყვითალო სწორ-
კუთხა ქვებით.

მონასტრის სამივე კარი თითქმის განადგურებულია, სახურავი ჩამოქ-
ცეულია. გაბზარულია სამრეკლოს სახურავიც, რომელიც გადახურულია მო-
კალული თუნუქით.

სამრეკლო სამსართულიანია. მისი პირველი სართული წარმოადგენს ნავის დასავლეთ გაგრძელებას, მეორე, შედარებით მცირე, წარმოადგენს მესამე თეს სათაესს და ასასვლელს ზარბთან. გადაბურვა რკინა-ბეტონისაა, რელიეფი მელშიც დატანებულია წრიული ხერელი, სადაც მიდგმული ყოფილა კიბე მნათეს ასასვლელად. მესამე სართული ეყრდნობა რვა დიდ, ლამაზ ქვის ბოძს, რომლებიც ერთმანეთს თაღოვანებით უკავშირდება. კუთხოვან კარნიზს ეყრდნობა კონუსური ფორმის სახურავი. სამრეკლოს გუმბათი შიგნიდან მოხატულია და განათებულ ცის კამარას მოგვაგონებს. მოლურჯო ფერის ფონზე ვარდისფერი, რვაქიმიანი ვარსკვლავებია გამოსახული. აქვე შემორჩენილია ზარბის ჩამოსაკიდი ძელები. სამრეკლოს აქვს ჩრდი-ველი თემის კარიდან დასავლეთისაკენ მიმავალი კიბე, რომელიც ადის მეორე სართულზე. კიბე ქვისაა, მოაჯირი კი რკინის. მეორე და მესამე სართულების ოთახების ზომებია 3—3 მ-ზე. თუ მონასტრის სიმაღლე ცოკლის ჩა-უთვლელად 6 მეტრს არ აღემატება სამრეკლოს სიმაღლე 10 მეტრია. ეკ-ლესიის ინტერიერი 15 მ სიგრძისაა, სიგანე 8 მ. მას აქვს 8 სარკმელი.

ეკლესიის გარეთა ზომებია 10×17 მ-ზე; აღმოსავლეთ კედელს ამკობს 5, როგორც ჩანს, ძველი ჩუქურთმიანი ქვა. ცალკე სამრეკლოს ამშვენებს ანგელოზის გამოსახულება, რომელიც დღეისათვის საკმაოდ დაზიანებულია.

მონასტრის ეზო შუა საუკუნეებში დიდი გალავნით ყოფილა შემორა-გული. ამჟამად მას ამშვენებს რამდენიმე ცაცხვი, ძელქვა და ასწლოვანი ბუჩქ-ამ ბოლო წლებში ის სასაფლაოდ იქცა.

მონაზონთა სენაკები ეკლესიის აღმოსავლეთის დაეკებაზე, ხელოვნუ-რად მოსწორებულ ადგილზე იყო განლაგებული. მონასტრის გაუქმების შემ-დეგ ისინი შალე განადგურდა. 1956 წ. აქ რამდენიმე მონაზონი იყო შე-მორჩენილი, რომლებიც ეწეოდნენ ხელსაქმეს, მისდევდნენ მეცხოველეობას, მაგრამ რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ისინიც გააძევა. უფრო და-სანანი ის არის, რომ განადგურდა რამდენიმე ხატ და უამრავი საღვთისმეტყ-ველო ლიტერატურა.

მიუხედავად იმისა, რომ მათხოჯის მონასტერი ერთა უძველესთაგანია, მასზე ცნობები გავაჩნია მხოლოდ XVII საუკუნიდან. მონასტრის მეცენა-ტობდა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი (1611—1657 წწ.) და შედი-ოდა ამ დროს არა ქუთათელის ან ხონელის სამწყსოში (ხონში არქივისკო-პოსის კათედრა დაწესდა 1529 წ.), არამედ ჰყონდიდელი მიტროპოლიტის სამწყსოს შეადგენდა.

საისტორიო წყაროების მიხედვით პირველად აქ მდგარა ხის მონასტე-რი, რომელიც დაურღვევიათ 1872 წელს და ორი წლის განმავლობაში ახალი „წმიდა ნინოს“ დედათა მონასტერი აუგიათ.

1915 წელს მონასტრის თხოვნით იმერეთის ეპისკოპოსს — გიორგის სამსართულიანი სამრეკლო აუგია და წარწერაც შესაბამისი ამოუტყვეთია მასზე: „აღშენდა იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის დროს 1915 წ.“.

ეს წარწერა ახლაც კარგად იკითხება სამრეკლოს მესამე სართულის სამხრეთის ფასადზე.

1 „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. 3, გვ. 503.

2 სარგის კაკაბაძე, „იმერეთის საეკლესიო უმთომფლობელობა 1820—1825 წლებში“ საისტორიო საბუთები, წიგნი 4, გვ. 63.

3 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 8 გვ. 460.

4 იხ. გვორგიტი, ტ. 3 1936, გვ. 62

5 ა. ფაილოძე, ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან, 1984, გვ. 7—8.

Г. ГОРДАДЗЕ, Г. ГУДЖАБИДЗЕ

К ИСТОРИИ ХУДЖАБИ

В статье дан краткий обзор сведений о Худжаби, содержащихся в исторических источниках, документах или публикациях, начиная с 1721 года до настоящего времени; автором в одной из записных книжек из архива Е. Такашвили найдено краткое, полевое, описа-

ние Худжабского монастыря, сделанное ученым в августе 1894 года; приведено соображение об этимологии Худжаби; предложен ряд рекомендаций с целью возвращения Худжабского монастыря и его окрестности к грузинской действительности.

Г. ГУДЖАБИДЗЕ

ХРАМ ХУДЖАБИ

Недалеко от старинного грузинского селения, ныне именуемого Ахкерпи и расположенного на территории Марнеульского района ГССР, в глубоком ущелье, на правом берегу р. Худжабисцхали, в окружении развалин Худжабского монастыря стоит крестовокупольный храм.

Это строение, сохранившее до наших дней свои основные формы, искусствоведы единогласно относят к группе памятников XII—XIII в. в. (Икорта, Кваатахеви, Ветания, Кабени, Питарети, Цугругашени, Ахтала и др.), определяющих второй этап развития живописного стиля в истории средневекового грузинского зодчества.

Г. ЧИЛАШВИЛИ

ЦЕРКВИ С. КОРИАНИ

В статье даются сведения о двух ранее неизвестных в литературе памятниках, расположенных неподалеку

от г. Кварели, которые относятся к типу трехцерковных базилик. В статье дано краткое описание храма (план и внутреннее пространство, фасады, барабан купола, западный портал) и сохранившихся фрагментов настенной живописи в дьяконнике. Здесь в верхнем регистре бывшей росписи, на северной стене и частью на склоне короба, из сильно поврежденных сцен евангельского цикла лучше различается «Крещение»; в среднем регистре, в северо-западном углу, на плоской поверхности пилластра, размещен светский портрет. От изображения мужчины в позе моления осталось лишь размытое лицо, повернутое в тричетверти к востоку, и кисти поднятых в мольбе рук.

Приводится соображение о времени выполнения росписи.



УНИКАЛЬНЫЙ ТИП ГОРСКОГО ПОСЕЛЕНИЯ

Рассмотренный в статье материал наглядно показывает тот факт, что ущелья Пирикита-Арагни и Ардотис-цкали были сравнительно легкодоступны для северокавказских племен. Одновременно, с этим высокий Кавказский хребет и его отроги отделяли население названных ущелий от соотечественников, и в годину испытаний, едва ли могли надеяться на их помощь.

Это и обусловило то обстоятельство, что здесь до позднего времени функционировал тип поселения, предназначенный, в основном, для самозащиты. Из характеристик данного типа следует отметить его сооружение на труднодоступной местности, однородность составлявших его построек и большая плотность застройки, что придавало ему вид крепости.

П. ГАПРИНДАШВИЛИ

КУРГАННЫЕ ЗАХОРОНЕНИЯ И МЕГАЛИТИ В ДЖАВАХЕТСКОМ ОКРОКАНЕ ОКОЛО ВАРДЗИА

В окрестностях знаменитого скального монастыря Вардзиа изучено множество курганных захоронений, которые расположены на многоярусных террасах и высокогорных плато. В этих курганах имеются погребальные камеры т. н. типа «дарани», что характерно только для этого региона.

На основании изучения сравнительного материала — конструкция, строительный материал, характер орнамента и формы керамической посуды дают возможность датировать эти курганы эпохи средней бронзы.

Курганы «даранной культуры», группа мегалитических сооружений и карьер строительного материала впервые выявлены непосредственно на берегу р. Куры.

Изучение этих мегалитических сооружений имеет значительный интерес т. к. пока, что не выявлены поселения этой эпохи.

В статье рассматриваются первые итоги полевых работ и перспективы археологических изысканий.

М. ДЗНЕЛАДЗЕ, Н. ХУБУЛУРИ

НОВООТКРЫТЫЙ ПАМЯТНИК ЭЛЛИНИСТИЧЕСКОЙ ЭПОХИ ИЗ КВЕМО КАРТЛИ (АБУЛМУГСКИЙ НЕКРОПОЛЬ).

В 1985 году Археологическая экспедиция Машаверского ущелья (рук. К. Кахиани) в ущелье Абулмуги обнаружила и исследовала могильник раннеэллинистической эпохи.

Следует отметить погребение (22) перекрытое молотильной доской (рис. 2, 3).

В ущелье Абулмуги засвидетельствованы памятники разных эпох, особенно средневековые (могильники, церкви, бани и жилищные постройки).

Заслуживает пристальное внимание обряд захоронения — I вариант: покойника хоронили в скорченной позе на правом боку (несмотря на пол и возраст), ориентировка NW—SO (рис. 9), а в одном случае (погр. 27) NO—SW; II вариант: вторичное использование погребения. Кости покойника лежали у ног или рядом второго (позже похороненного) покойника (рис. 5); III — вариант:

На могильнике Абулмуги открыты 27 погребений (рис. 1). из них 25 каменные погребения (ящики), 2 — грунтовыми могилами, перекрытые каменными

тоже вторичное использование погребения, но в этом случае неполный и смещенный костяк (в одном случае двух индивидумов) лежал на крыше погребения (рис. 7).

На могильнике Абулмутн обнаружен

многочисленный и разнообразный инвентарь конца IV—III вв. до н. э., широко представленный на памятниках античной Грузии, древней Армении и Кавказской Албании.

Т. ТОДУА, З. КВИЦИАНИ

ОБРАЗЦЫ СКУЛЬПТУРЫ ПОЗДНЕАНТИЧНОЙ ЭПОХИ ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

В настоящей работе рассмотрены обнаруженные в разное время при раскопках городищ грузинского Причерноморья образцы скульптур — Диониса Рыбака, полужантасического мужчины и женский бюст. Для этих скульптур-

ных изображений характерны, с одной стороны, сохранение и развитие древних, традиционных форм и черт, а с другой — примитивность и схематизм, что объясняется провинциальностью приморских городов Западной Грузии.

Л. ДЖИБЛАДЗЕ, И. МУХИГУЛАШВИЛИ.

ОСТАТКИ МЕТАЛЛУРГИЧЕСКОГО ПРОИЗВОДСТВА В СЕЛЕ ПИЧОРИ ГАЛЬСКОГО РАЙОНА

Археологическая экспедиция Абхазии Центра археологических исследований АН СССР с 1981 г. ведет раскопные работы на искусственных холмах с. Пичори Гальского района.

Основные работы производятся на Центральном холме, где было выявлено существование 8 культурных слоев, которые охватывают период начиная со II пол. III тысячелетия, кончая IV в. до н. э.

На Центральном холме нижних

слоев были обнаружены уникальные материалы; литейные формы трубчатого топора, формы для отливки мотыг, 8 бронзовых мотыг с овальным лезвием и разные комбинированные двухстворчатые и четырехстворчатые формы. Обнаруженный материал в селе Пичори свидетельствует о том, что II пол. III тысячелетия в нижнем течении р. Энгури существовал древнейший очаг металлургии и металлообработки.

Н. ШАНШАШВИЛИ, Г. НАРИМАНИШВИЛИ

СЕМАНТИКА ОДНОГО ПОГРЕБАЛЬНОГО РИТУАЛА

На левом берегу р. Арагви, у села Цицамури, Мцхетской археологической экспедицией был раскопан курган, датированный среднебронзовой эпохой.

Во время раскопок был выявлен оригинальный погребальный ритуал — понойник лежал на овце (баране).

По нашему мнению, погребение понойника на овце свидетельствует об определенном ритуале, который имел от-

ношение к структуре космоса в мировоззрении племен населявших Восточную Грузию в среднебронзовой эпохе. В этих представлениях овца (баран) выполняли роль посредника (медиатора) между мирами.

Не исключено, что овца в Цицамурском кургане была именно таким посредником, который переправлял душу усопшего в вечную обитель.

**ФОНДЫ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ МИСКИ
С ГРУЗИНСКИМИ НАДПИСЯМИ**

В фонде металле отдела этнографии Государственного музея Грузии хранится несколько медных мисок с грузинскими надписями. К ним относятся: мемориальная миска, принадлежавшая Гиви Амилахвари, коллекция № 3—36/2, миска, пожертвования Телетской церкви Св. Георгия, коллекция № 6—36/13.

Медная посуда в Грузии являлась одним из необходимых атрибутов приданного. В фонде хранится и такая медная миска коллекция № 28—45/78.

Надписи на медной грузинской посуде носят преимущественно информационный характер. По этим надписям мы определяем личность мастера, принадлежность, род занятий, поделания и т. д.

А. ПАЙЛОДЗЕ

**СЕЛО МАТХОДЖИ И РАСПОЛОЖЕННЫЕ В НЕМ
ПАМЯТНИКИ КУЛЬТУРЫ**

Автор несколько лет изучает прошлое Квемо Имерети. Настоящая статья освещает вопросы истории села Матходжи, имеющего интересное прошлое и

богатого историческими памятниками крепостью, церковью, монастырем св. Нины и т. д.

G. GORDADZE, G. GUJABIDZE

TO THE HISTORY OF KHUJABI

The article gives a concise survey of the literature, concerning Khujabi monastery, beginning from 1721 up to our days. The author deals with the notes on Khujabi monastery, which were discovered in the notebooks in E. Takaishvili's archives (p. 33-37) and are dated to August 1894.

The author discusses the etymology of the name Khujabi, which needs special investigation and proposes certain recommendations in order to return Khujabi monastery and its surroundings to Georgian reality.

G. GUJABIDZE

KHUJABI CHURCH

The article deals with Khujabi church, which is unanimously included into the group of the 12th—13th c. monuments (Ikorta, Kvatakhevi, Betania, Kabeni, Pitareli, Tsugrugasheni, Akhtala, etc.), determining the second stage of the development of the picturesque style in the history of the medieval Georgian architecture.

The author gives a brief description of the church and the fragments of the murals in the diaconicon, bearing the representation of the Baptism in the vault and a greatly damaged donor portrait on the pilaster.

Certain considerations, concerning the date of the murals are as well presented.

The article deals with two monuments, not far of Kvareli and belonging to unknown in scientific literature, located the type of the three church basilicas.

A. KALDANI

UNIQUE TYPE OF THE MOUNTANEOUS SETTLEMENT

The article deals with the settlements in the gorges of Pirikita-Aragvi and Ardētis-tskali. Geographical peculiarities of the locality preconditioned the emergence of a unique type of the settlement, having, in general, self-defence function.

The author points out the specific traits of the type — its erection in hardly accessible places, homogeneity of its constituting structures, and great building density, giving the settlement the air of a fortress.

P. GAPRINDASHVILI

MOUND INTERMENTS AND MEGALITHS IN JAVAKHETI OKROKHANA NEAR VARDZIA

The article is concerned with the mounds, unearthed on the terraces and mountainous plateau near Vardzia, containing the interments of the so called „darani” type, being characteristic of this region only.

The mounds of „darani” culture and Megalithic structures, being for the first time discovered on Mtkvari river

bank are dated to the mid bronze period, based on the investigation of the comparative material and the ornament character and form of the ceramic vessels.

The investigation of megalithic structures is of certain interest, as far as the settlements of this period are not yet discovered.

M. DZNELADZE, P. KHUBULURI


NEWLY DISCOVERED HELLENISTIC MONUMENT IN KVEMO KARTLI (ABULMUGI NECROPOLIS)

The article deals with the burial ground of the early hellenistic epoch, unearthed in Abulmugi gorge, abound in the monuments of the various periods, especially those of Middle Ages (burial grounds, churches, bathhouses and dwellings).

The authors are specially concerned with the interment rite, as revealed by

the data, unearthed during the excavations.

Abulmugi burial ground comprises numerous and varied objects of the late 4th—3rd cc. B. C. — which are widespread in the monuments of antique Georgia, ancient Armenia and Caucasian Albania.



 საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

SAMPLES OF LATE ANTIQUE SCULPTURE FROM WEST GEORGIA

The article is concerned with monuments of sculpture, unearthed in different periods during the excavations of Georgian Black Seacoast cities, namely — Dionysius, a Fisherman, a semi-fantastic man and a female bust. These sculptures are characterized, on the one

hand, by the preservation and development of old, traditional forms and traits and on the other — by primitive and schematic treatment, which is explained by the provincialism of the seaside towns of west Georgia.

L. JIBLADZE, I. MUKHIGULASHVILI

THE REMNANTS OF METALLURGICAL PRODUCTION IN THE VIL PICHORI, GALI REGION

The article tells of the excavations, held on the artificial hills in the vil. Pichori, Gali region. The authors are specially concerned with the work, fulfilled on the Central hill, where 8 cultural layers, comprising the period of the 2nd half of the 3rd mill. — 4th c. B. C. were revealed.

In the lower layers of the Central hill unique material was unearthed, testifying to the fact, that in the 2nd half of the 3rd mill. there existed the oldest centre of metallurgy and metal-working in the lower reaches of the river Enguri.

N. SHANSHASHVILI, G. NARIMANISHVILI

SEMANTICS OF ONE INTERMENT RITE

The authors tell of an interesting discovery, made by Mtskheta archaeological expedition, while the excavations of a mid bronze mound, near the vil. Tsitsamuri — an original interment rite, when the dead is laid on a sheep.

The authors propose, that the rite is related to the structure of cosmos in the

Weltanschauung of the tribes, who inhabited East Georgia in the mid bronze epoch. According to their beliefs, a sheep had a function of a mediator between the worlds. It is not excluded, that a sheep carried the souls of the dead to an eternal abode.

TS. KAKABADZE

FUNDS OF GEORGIA STATE MUSEUM BASINS WITH GEORGIAN INSCRIPTIONS

Metal fund of the ethnography department of Georgia State Museum owns several brass basins with Georgian inscriptions, among them — memorial basin, belonging to Givi Amilakhvari, coll. № 3-36/2, a basin, donated to Teleti church of St. George, coll. № 6-36/13, a

basin, being part of a dowry, coll. № 28-45/78.

Inscriptions on Georgian brasses are mainly of the informative character. Based on these inscriptions we determine the personality of the master, patronage, the kind of activity, wishes, etc.

A. PAILODZE

THE VIL. MATKHOJI AND ITS MONUMENTS

The author has for years studied the past of Kvemo Imereti. The present article deals with the history of the vil.

Matkhoji and its monuments — a fortress, a church, nunnery of St. Nino, etc.

**«ДЗЕГЛИС МЕГОВАРИ»
(Друзья памятников культуры)**

Сборник восемьдесят третни
(На грузинском языке)

Выходит на общественных началах

ბარბაქანე — სვანეთი. სლაიდი დაშაფებულა საქართველოს ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის
სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში.

На обложке — Сванети. Слайд изготовлен в специализированной экспери-
ментальной лаборатории по фиксации памятников искусств Грузии.

•**ჩველისური ტექსტები შედგინა მარინე ევნიამ.**

გადაეცა წარმოებას 15. 03. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 04.07. 89 წ. ფიზიკურ ფორ-
მათა რაოდენობა 5, სააღრ-საგამომცემლო თაბაბი 5. ანაწყობის ზომა 7×11,5, ქაღალდის
ზომა 70×108¹/₁₆.

უე 01921

ტირაჟი 3000

შეკვ. 642.

ფაბი 1 შაბ.

რედაქციის მისამართი: შეთელის ქ. № 5/7, ტელ. 93-56-14.

Адрес редакции: ул. Шавтели № 5/7; тел. 93-56-14.

საქართველოს კვ. ცვ-ის გამოცემლობის შრომის წითელი
ღროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография изд-ва ЦК КП
Грузии, Тбилиси, Ленина, 14

